ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## რატომ დატოვა დავით ოქიტაშვილმა თანამდებობა



გვ.8

ხუთშაბათი, 5 ნოემბერი, 2009 №287 (5028) ფასი: 30 თეთრი

# ვის უნდა შეეხოს ამნისტია?

ნარკოტიკების მომხმარებლების გამო დეპუტატები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გვ.6



გვ.3

## შალამბერიძე: ნაციონალებიდან გარიცხული ვარ?

ოპოზიციაში გადასვლას არ ვაპირებ

## თელასი გვ.2 გვძარცვავს!

რუსულმა ენერგომაფიამ თბილისელების ჯიბიდან 61 მლნ ლარზე მეტი ამოიღო



## რატომ აჩუქა ხაჯიმბას პუტინმა გენერლის სამხრეები გვ.4



გვ.2

### კონსტანტინე გამსახურდია სხდომების ბოიკოტს არ გეგმავს



გვ.5

### 7 ნოემბერი უნდა გვახსოვდეს, როგორც ხელისუფლების დანაშაული



გვ.4

### ვაშაძემ მედვედევს თავისი პასპორტი გაუგზავნა

## ტალიავინის კომისია საკუთარ დასკვნას ცხინვალში 11 ნოემბერს ჩაიტანს გვ.2

### შრომის კანონი უნდა დაიწვას!

სალარო აპარატებს ფიქსირებული გადასახადი სჯობია



გვ.4

### საქართველოში არ არის ოპოზიცია

საკაშვილს ვერ ვიტანთ, მაგრამ არც რუსეთის ქმედებებს ვამართლებთ



გვ.6

### სუბარი გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველი უმაღლესი კომისრის მრჩევლად აირჩიეს



გვ.3

2 ედუარდ შევარდნაძე გერმანიაში გაემგზავრა

7 შარშანდელმა ომმა ორი ათწლეულით უკან დაგვაბრუნა

8 ოპერისა და ბალეტის თეატრში სარაჯიშვილის 130 წლის იუბილე აღნიშნეს

3 45 წლის ქალი ბინების ძარცვისთვის დააკავეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## რუსეთის პატრიარქი ბაქოში ილია მეორეს შეხვდება



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით, პატრიარქ კირილეს ბაქოში ვიზიტის პროგრამა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან შეხვედრასაც ითვალისწინებს.

პატრიარქი კირილე ბაქოში 6 ნოემბერს ჩავა. ის კავკასიის მუსლიმანთა ხელმძღვანელის შეიხ-ულ-ისლამ ალაჰშუქურ ფაშა-ზადეს 60 წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებს დაესწრება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბაქოში დღეს გაემგზავრა.

**მედიანიუსი**

## ტალიავინის კომისია საკუთარ დასკვნას ცხინვალში 11 ნოემბერს ჩაიტანს

საქართველოში კონფლიქტის გამოწვევი ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისია საკუთარ დასკვნას ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს გადასცემს. ამის შესახებ ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის ე.წ. კომიტეტი იუწყება.

შესაბამის შეთანხმებას პოსტოკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ცხინვალის რეჟიმის ლიდერის წარმომადგენელმა, ბორის ჩოჩიევმა და მისიის ხელმძღვანელმა, ჰეიდი ტალიავინმა სატელეფონო საუბრისას მიაღწიეს. ტალიავინმა ჩოჩიევს აცნობა, რომ დასკვნა ცხინვალის რეჟიმის წარმომადგენლებს ჟენევაში ვიზიტის დროს გადაეცემათ.

ჟენევაში კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე მორიგი რაუნდი 11 ნოემბერს გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

## ედუარდ შევარდნაძე გერმანიაში გაემგზავრა



გუშინ ექს-პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გერმანიაში გაემგზავრა. შევარდნაძე ბერლინის კედლის დანგრევის მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას.

ექს-პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ცნობით, ედუარდ შევარდნაძე გერმანიის მხარის მიწვევით გაემგზავრა. რამდენ ხანს დაჰყოფს გერმანიაში ექსპ-პრეზიდენტი, უცნობია.

**მედიანიუსი**

## ოქტომბერი გილაურისთვის წარმატებული თვე იყო

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის განცხადებით, მიმდინარე წლის ოქტომბერი საფინანსო ბაზრის თვალსაზრისით საკმაოდ წარმატებული თვე იყო.



როგორც გილაურმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, საქართველოს მიერ 2008 წლის აპრილში გამოშვებული ევროობლიგაციის ფასმა ოქტომბერში 100 დოლარს გადააჭარბა. პრემიერის ინფორმაციით, გამოშვებისას ობლიგაციის ფასი 100 დოლარი იყო, საქართველოს რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, გარკვეული პერიოდით, მისმა ფასმა 60 დოლარამდე დაიწია, თუმცა, ოქტომბერში ფასმა 100 დოლარს გადააჭარბა და 11.2 დოლარს მიაღწია.

პრემიერის თქმით, საქართველოს შიდა საფინანსო ბაზარზეც სტაბილური მდგომარეობაა და მთავრობის მიერ გამოშვებული 6 თვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი ეტაპობრივად მცირდება.

მისი განცხადებით, პირველად ეს საპროცენტო განაკვეთი 5 პროცენტზე ნაკლები იყო, დღეს კი, 4,9 პროცენტს შეადგენს.

პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, საქართველოში ავტოტრანსპორტისა და უძრავი ქონების რეგისტრაციაც გაიზარდა. გილაურის თქმით, მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოში 14700 ავტოტრანსპორტი დარეგისტრირდა.

**მედიანიუსი**

# თელასი გვძარცვავს!

### რუსულმა ენერგომაფიამ თბილისელების ჯიბიდან 61 მლნ ლარზე მეტი ამოიღო

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტია ენერგოსექტორში არსებულ უკანონობას აპროტესტებს რა, რუსულ ენერგომაფიასთან პრეზიდენტ სააკაშვილის კავშირზე საუბარობს. პარტიის ლიდერების მტკიცებით, რუსული ენერგოკომპანია, რომელიც თავის მხრივ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილის ბიზნესინტერესებსაც აკმაყოფილებს, უკანონოდ არიცხავს მომხმარებლებს ელექტროენერგიის საფასურს და ამ გზით კომპანია „რაო თელასი" მილიონებს შოულობს.**



ამ საკითხებთან დაკავშირებით გუშინ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ პრესკონფერენცია გამართა და მაგალითისთვის ერთ-ერთი ქვითარი წარმოადგინა, რომელზეც ელექტროენერგიის საფასური უკანონოდ იყო დარიცხული.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, „რაო თელასი" უკნონო ქმედებებს ახორციელებს და უკანონოდ ახდევინებს თბილისის მოსახლეობას მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს.

— საზოგადოებას კარგად ახსოვს ლეიბორისტული პარტიის თავგანწირული ბრძოლის შედეგად ქვეყანაში მოქმედი 12-თეთრიანი ტარიფი, რომელიც სააკაშვილის მიერ ე.წ. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ერთი ხელის დაკვრით იქნა გაუქმებული. ამას შედეგად მოჰყვა საფეხურებრივი ბანდიტური ტარიფის შემოღება, რომელიც მიხეილ სააკაშვილისა და რუსული ენერგომაფიისთვის დედაქალაქის მოსახლეობის ხარჯზე დამატებითი მილიონების კეთების ძალიან კარგ სქემად ჩამოყალიბდა. ამას შეიძლება პირობითად ციფრების დამრგვალების სქემაც ვუწოდთ. ეს ციფრების დამრგვალების სქემა არის სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული და აქედან გამომდინარე, შესაბამისი შედეგებით, — განაცხადა პრესკონფერენციაზე პაატა ჯიბლაძემ.

თბილისის საკრებულოს ლეიბორისტმა დეპუტატმა გუშინვე განმარტა, თუ რაში გამოიხატება „რაო თელასის" მხრიდან თბილისის მოსახლეობისთვის მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ციფრების დამრგვალება.

— იცით, რომ საფეხურებრივი ტარიფის შედეგად დედაქალაქის მოსახლეობა იხდის 101 კვსთ-ის ჩათვლით 13,48 თეთრს, ხოლო 102-დან 202 კვ-სთ ენერგიაში 16-თეთრიან ტარიფს. მომხმარებლები ძირითადად 16-თეთრიან ტარიფს მოიხმარენ. ამ შემთხვევაში, როცა მომხმარებლის მიერ 202 კვ-სთ ელექტროენერგიაა მოხმარებული, ჩვენ უნდა გადავიხადოთ 101 კილოვატისთვის 13 თეთრიანი ტარიფი, ხოლო დანარჩენისთვის — 16 თეთრიანი. ამ შემთხვევაში აბონენტებს „რაო თელასი" პირდაპირ ახდევინებს 202 კვ-სტ-ისთვის 16-თეთრიანი ტარიფით. ამით საშუალო ჯამში გამოდის, რომ დედაქალაქის მოსახლე ერთი ოჯახი დამატებით იხდის 2,55 თეთრიდან 3 ლარამდე. იქიდან გამომდინარე, რომ დედაქალაქის აბონენტთა რაოდენობა 400 000-ს აჭარბებს, გავამრავლებთ შესაბამის ციფრზე და გადავამრავლებთ წელიწადზე, აგრეთვე იმ თვეების რაოდენობაზე, რაც 5 წლის განმავლობაში „რაო თელასი" თბილისში მოღვაწეობს, ვნახავთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში უკანონოდ სააკაშვილმა და რუსულმა და რუსულმა ენერგომაფიამ დედაქალაქის მოსახლეობის ჯიბიდან ამოიღეს 61 მლნ ლარზე მეტი, — განაცხადა პაატა ჯიბლაძემ და იქვე მიუთითა, რომ ეს თანხა თბილისის მოსახლეობას აუცილებლად უკან უნდა დაუბრუნდეს.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, „რაო თელასის" მხრიდან სრულიად იგნორირებულია სემეკის დადგენილების მოთხოვნა, რომლითაც უნდა ხდებოდეს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გამოანგარიშება. დადგენილი ტარიფების მიყენება კი აბონენტებისთვის, პაატა ჯიბლაძის თქმით, ხდება თვითნებურად. ეს კი ფაქტობრივად ნიშნავს მოსახლეობის დაყაჩაღებას და ისედაც გაუმართლებლად მაღალი ტარიფების პირობებში, მძიმე ტვირთად აწვება დედაქალაქის თითოეული ოჯახის ბიუჯეტს.

— მოვუწოდებთ გენერალურ პროკურატურას და სემეკს: აიძულონ რუსული ენერგომაფია ისედაც სამარცხვინოდ დამტკიცებული ტარიფების პირობებში ნუ ახდევინებენ მომხმარებლებს დამატებით მილიონებს, — განაცხადა პაატა ჯიბლაძემ.

# კონსტანტინე გამსახურდია სხდომების ბოიკოტს არ გეგმავს

ნანა მიშელაშვილი

**პარასკევს გაირკვევა, როგორი იქნება პარლამენტში შექმნილი დროებითი კომისიის შემადგენლობა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შემსწავლელი კომისიის შემადგენლობას პარლამენტი 6 ნოემბერს უყრის კენჭს.**

თითქმის გადაწყვეტილია, რომ 11-წევრიანი კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე გამსახურდია იქნება, რომლის სადეპუტატო უფლებამოსილება პარლამენტმა სამშაბათს სცნო. კონსტანტინე გასმახურდია ამ ეტაპზე დამოუკიდებელი დეპუტატია და პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნის რესურსს ვერ ხედავს. გამსახურდია პარლამენტში მუშაობას ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში აპირებს. ყოველ შემთხვევაში ამ კომიტეტში მუშაობის სურვილი აქვს.

გუშინ გავრცელდა არაოფიციალური ინფორმაცია, რომ კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტის სხდომების ბოიკოტირებას აპირებს. თავად კონსტანტინე გამსახურდია ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. რა ურთიერთობა აქვს გამსახურდიას არასაპარლამენტო ოპოზიციასთან და ვის კანდიდატურას დაუჭერს მხარს „თავისუფლების" ლიდერი თბილისის მერის არჩევნებში?

„ახალი თაობა" **კონსტანტინე გამსახურდიას** ესაუბრა:

***— არის თუ არა თქვენთვის ცნობილი, პარლამენტის დროებით კომისიაში რომელი დეპუტატები აპირებენ მუშაობას?***

— ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია წევრების ვინაობა. ამ კომისიაში აუცილებლად ვიქნებით ჯონდი ბალათურია და მე. იმედი მაქვს, რომ პარასკევს ეს პროცედურა დამთავრდება.

***— პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარე თქვენ იქნებით?***

— მე ჩემს კანდიდატურას წამოვაყენებ.

***— სხვა კანდიდატურა კომისიის თავმჯდომარედ მოიაზრება?***

— ჯერჯერობით ასეთი რამ არ მსმენია.

***— პოლიტიკური შეთანხმება თუ არის უმრავლესობასთან ამ საკითხზე, რადგან უმრავლესობის წევრების მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია თავმჯდომარის საკითხი გადაწყდეს?***

— პარლამენტში უმრავლესობა წყვეტს ყველაფერს. იმედია, ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნება.

***— ამ საკითხზე პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრისას საუბარი თუ იყო?***

— ამაზე ზოგადად ითქვა, მათ სასურველად მიაჩნიათ ჩემი კანდიდატურა.

***— ასეთი ინფორმაცია გავრცელდა, რომ თქვენ აპირებთ, პარლამენტის სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადოთ. მართალია თუ არა?***

— ასეთი განცხადება მე არ გამიკეთებია.

***— განცხადება შეიძლება არ გაგიკეთებიათ, მაგრამ ხომ არ აპირებთ სხდომების ბოიკოტს?***

— ამას თუ დავაპირებ, მაშინ ღიად ვიტყვი. ასეთი გადაწყვეტილება მე არ მიმიღია. მე იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება მოიქცევა კორექტულად და იმოქმედებს ეროვნული ინტერესების შესაბამისად. თუ ის არ იმოქმედებს კორექტულად და სისტემატურად მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული, მაშინ ასეთ რამეზეც შეიძლება ვიფიქრო.

***— რომელ საპარლამენტო კომიტეტში აპირებთ მუშაობას?***

— მე გული მიმიწევს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტისკენ. რაც შეეხება დელეგაციას, ევროკავშირთან ურთიერთობის დელეგაციაში მსურს გაწევრიანება.

***— რა მიმართულებით იმუშავებს პარლამენტის დროებითი კომისია და როგორ დოკუმენტს მოამზადებს? ეს სამართლებრივი დოკუმენტი იქნება თუ პოლიტიკური?***

— უფრო სამართლებრივი დოკუმენტი იქნება, რადგანაც საკითხი სამართლებრივია. ის თანაბრად უნდა აინტერესებდეს როგორც ოპოზიციას, ისე ხელისუფლებას.

***— პარლამენტის დროებითი კომისია საგამოძიებო არ არის, სრულფასოვან მუშაობაში ხელი არ შეგეშლებათ, კომისიას დაკითხვის უფლება რომ არა აქვს?***

— ვნახავთ, როგორ იქნება... დაკითხვის უფლება პროკურატურას აქვს. პროკურატურის მასალებსაც შევისწავლით.

***— თუ ელით, რომ კომისიაში რომელიმე ადამიანი არ გამოცხადდება და არ ითანამშრომლებს კომისიასთან?***

— ვერ გეტყვით, შესაძლოა ასეთები იყვნენ...

***— ერთ-ერთი პირველი ვინ უნდა გამოიძახოს კომისიამ?***

— ჯერჯერობით ეს ყველაფერი დადგენის პროცესშია და ვერ გეტყვით.

***— პარლამენტში თქვენი შემოსვლის შემდეგ ასეთი ინფორმაცია გაჩნდა, რომ შესაძლოა ახალი ფრაქცია შეიქმნას, რომლის წევრი თქვენც იქნებით. ეს ინფორმაცია მართალია?***



— ალბათ, ახალი ფრაქცია ვერ ჩამოყალიბდება. ამ პარლამენტში 2 ოპოზიციური ფრაქციაა, მეტი არ არის. წინა პარლამენტისგან განსხვავებით, არ არიან დამოუკიდებელი დეპუტატები. ახალი ფრაქციის შექმნის რეალური შესაძლებლობა ჯერჯერობით არ არის.

***— სხვა რომელიმე ოპოზიციონერი თუ აპირებს, რომ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით ისარგებლოს და პარლამენტში შემოვიდეს?***

— ეს შეკითხვა მათ დაუსვით, მე ნამდვილად არ ვიცი.

***— არასაპარლამენტო ოპოზიციასთან რაიმე კონსულტაციები თუ გაქვთ?***

— ჩვენი წარმომადგენელი მივიდა ოპოზიციურ შეკრებაზე.

***— 7 ნოემბერთან დაკავშირებით გამართულ შეკრებაზე?***

— დიახ. ჩვენ დავაკვირდებით მოვლენებს... 7 ნოემბერი არავის კუთვნილება არ არის.

***— 7 ნოემბრის აქციაში მიიღებთ მონაწილეობას?***

— რა ფორმით, ამას დღეს ვერ გეტყვით, მაგრამ აუცილებლად მივიღებთ.

***— თქვენი პარტია „თავისუფლება" თუ არის ჩამოყალიბებული, რომელ კანდიდატურას დაუჭერს მხარს თბილისის მერის არჩევნებში?***

— ჯერჯერობით ასეთი კანდიდატურა ჩვენ არ გვყავს.

***— ირაკლი ალასანიას კანდიდატურას დაუჭერთ თუ არა მხარს?***

— ჯერჯერობით არავის მხარდაჭერას არ ვაპირებთ.

***— როდის მიიღებს თქვენი პარტია გადაწყვეტილებას, თბილისის მერის პოსტზე ვის კანდიდატურას დაუჭერს მხარს?***

— პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**E-mail: axtaoba@mail.ru**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## სუბარი გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველი უმაღლესი კომისრის მრჩევლად აირჩიეს



საქართველოს ყოფილი სახალხო დამცველი და „ალიანსი საქართველოსთვის“ თანათავმჯდომარე, სოზარ სუბარი გაერო-ს ადამიანის უფლებათა დამცველი უმაღლესი კომისრის მრჩეველთა საბჭოს წევრად აირჩიეს.

გაეროს აადამიანის უფლებათა დაცვის უმღლესი კომისრის საბჭო, სულ ხუთი წევრისგან შედგება, თითოეული მათგანი პირობითად დაყოფილ მსოფლიოს ხუთი რეგიონიდან ერთ-ერთი რეგიონის წარმომადგენელია. საბჭოს წევრებს თვითონ გაეროს გენერალური მდივნის უშუალო მონაწილეობით ხდება.

როგორც „მედიანიუსს“ სოზარ სუბარმა განუცხადა ის ამ აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრაულრ აზიას წარმოადგენს. მისივე თქმით, ეს მისთვის მოულოდნელი იყო და ისიც კი არ იცის, თუ ვინ წარადგინა საბჭოს მრჩეველთა კანდიდატების სიაში.

— საბჭოს ოთხი წევრი მსოფლიოში პატივსაცემი მეცნიერია. მხოლოდ მე ვარ პრაქტიკოსი ადამიანის უფლებათა დამცველი. პირველი შეკრება უკვე გვქონდა, სადაც მომდევნო ორი წლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები დავსახეთ. ამ საბჭოს წევრობა მართლაც დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ჩემთვის, — აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას სუბარმა

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის მრჩეველთა საბჭოს წევრების არჩევა 3 წლის ვადით ხდება. მათ ფუნქციას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში

უმაღლესი კომისრისთვის რჩევების მიცემა და მონიტორინგის განხორციელება წარმოადგენს.

**მედიანიუსი**

## სტიქიის მიუხედავად, ხელისუფლება ერეკლეობაზე უარს არ ამბობს

მიუხედავად იმისა, რომ კახეთის რეგიონი სტიქიური უბედურების ზონად გამოცხადდა, 7 ნოემბერს ერეკლეობის დღესასწაული თელავში მაინც გრანდიოზულად აღინიშნება. ამისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 4500 ლარი დაიხარჯება, — იუწყება რადიო ჰერეთი.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვასილ დავითაშვილმა რადიო “ჰერეთს“ განუცხადა, რომ პროგრამის მიხედვით დღესასწაული ერეკლე მეფის სულის მოსახსენიებელი პარაკლისით დაიწყება და მას გასართობი ღონისძიებები მოჰყვება, მათ შორის მინი ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, ფოლკლორული ფესტივალი და საბავშო ღონისძიებები.

ღონისძიებაში კახეთის მუნიციპალიტეტებიც ჩაერთვებიან და საკუთარი ნობათის გამოფენა-გაყიდვას მოაწყობენ.

ერეკლეობის დღესასწაულზე დაჯილდოვდებიან თელავის საპატიო მოქალაქეები. დღის ბოლოს ზეიმი ღია ცის ქვეშ გრანდიოზული კონცერტით დასრულდება.

**მედიანიუსი**

## ოტობაიაში შეიარაღებულმა პირებმა ორი ქართული ოჯახი დააყაჩაღეს

გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში შეიარაღებულმა პირებმა წუხელ ორი ქართული ოჯახი დააყაჩაღეს. ამის შესახებ “მედიანიუსს“ გალის რაიონიდან სანდო წყარომ აცნობა. ამავე წყაროს ცნობით, წუხელ 10-12-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი ოტობაიაში გვერდი-გვერდ მცხოვრებ თაკალანძეებისა და კვიტიების ოჯახს თავს დაესხნენ.

თაკალანძეებისა და კვიტიების ოჯახიდან წაღებულია ძვირფასეულობა, თანხა და ორ ტონამდე თხილი. ნაცემი არიან ოჯახის წევრები. აღნიშნული ტვირთი ყაჩაღებმა უაზის ტიპის მანქანაში ჩატვირთეს და გაურკვეველი მიმართულებით წავიდნენ.

**მედიანიუსი**

## სტიქიამ პირაქეთა ხევსურეთის სოფლებიც დააზარალა

სტიქიამ პირაქეთა ხევსურეთის სოფლებიც დააზარალა.

ადიდებულმა მდინარემ სოფელ კაწლისხევთან დამაკავშირებელი ხიდი დაანგრია.

ზემო და ქვემო კაწლისხევში უშუქოდ დარჩენილ 21 ოჯახთან დაკავშირება ამ დრომდე ვერ ხერხდება.

სპეციალისტები ხიდის აღდგენითი სამუშაოების დასაწყებად მდინარის დონის დაწევას ელოდებიან.

განადგურებული გზების აღსადგენად სოფლებში დამატებით სპეცტექნიკასაც შეიყვანენ.

**პირველი**

## 45 წლის ქალი ბინების ძარცვისთვის დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს, 45 წლის მაია ვალიშვილი. იგი .თბილისის სხვადასხვა რაიონში ეძებდა გასაქირავებელ ბინებს, უმეტეს წილად მისი ძებნის ობიექტს წარმოადგენდა ხანდაზმული ქალბატონები. ვალიშვილი შედიოდა მათთან ახლო კონტაქტში, ეუბნებოდა რომ რაიონიდან ჩამოსული შვილისათვის ესაჭიროებოდა ბინის დაქირავება, ეხმარებოდა სახლის



დალაგებაში და თაღლითურად შეღწევის შემდგომ, ძარცვავდა მათ ბინებს. დაკავებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, — აცნობეს „მედიანიუსს“ შს სამინისტროდან.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით. გამოძიებას აწარმოებს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო.

**მედიანიუსი**

## ირანის მოქალაქემ საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა

სასაზღვრო სექტორის დასაცავ მონაკვეთზე სასაზღვრო პოლიციამ ირანის მოქალაქე მაჰმუდ მაჰამედ კაზიმ კაზიმი დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, ირანის მოქალაქე დაკავებულ იქნა სასაზღვრო განწესის მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე.

დაკავებულის მიმართ საგამოძიებო-ოპერატიულ განყოფილებაში დაიწყო წინასწარი გამოძიება 344-ე მუხლის 1-ელი ნაწილით.

**ინტერპრესნიუსი**

## ცოფიანმა ტურამ პოლიკლინიკის ორი თანამშრომელი დაკბინა

პოლიკლინიკაში ტურა შევარდა და ამავე პოლიკლინიკის ორი თანამშრომელი დაკბინა. ადგილობრივმა პოლიციამ ტურის მოკვლა მოახერხა და ანალიზების შემდეგ დადგინდა, რომ გარეულ ცხოველს ცოფი ჰქონდა.

როგორც „მედიანიუსს“ მარნეულის გამგებელმა ზაზა დეკანოიძემ განუცხადა, რაიონის გამგეობამ შესაბამისი ზომები უკვე მიიღო, გამოძახებულია ძაღლების დამჭერი ბრიგადები და ქალაქში მყოფ ყველა უპატრონო ძაღლის დაჭერა და ლიკვიდაცია ხდება, რადგან შესაძლოა, ცოფიან ცხოველს პოლიკლინიკაში შევარდნამდე რომელიმე მათგანი დაეკბინა.

მისივე თქმით, დაკბენილი ადამიანებს შესაბამისი პროცედურები უკვე ჩაუტარდათ და მათ მკურნალობის ხარჯებს მთლიანად გამგეობა უზრუნველყოფს.

**მედიანიუსი**

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე **30–30** და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე **30–30** და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

*ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“*

# შალამბერიძე: ნაციონალებიდან გარიცხული ვარ?

### ოპოზიციაში გადასვლას არ ვაპირებ

ნათია ხურცილავა




**ყოფილი დეპუტატი ალექსანდრე შალამბერიძე თბილისის მერობას უმიზნებს. მის გარდა ეს სურვილი სხვა ნაციონალებსაც აქვთ. იბრძოლებს თუ არა მერობისთვის შალამბერიძე, ეს მასზე არ არის დამოკიდებული. მერობის კანდიდატის გამოსავლენად ის ნაციონალურ მოძრაობაში პრაიმერის ჩატარებას ითხოვს. ამ საკითხზე გუშინ მან პრესკონფერენცია ჩაატარა.**

**პრაიმერის ჩატარება მას სხვა მიზეზითაც სურს. შალამბერიძე აცხადებს, რომ შიდა პარტიული არჩევნების ჩატარება დიდი ნაბიჯი იქნება დემოკრატიის განვითარებისკენ.**

— ამ პროცესის ბიძგისმიმცემი უნდა ვიყოთ ჩვენ, „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც სახელისუფლებო და ხალხის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური ორგანიზაცია, — აცხადებს ყოფილი დეპუტატი.

მას საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართაც აქვს თხოვნა. შალამბერიძის აზრით სწორედ ისინი უნდა დაეხმარონ ნაციონალებს.

— ასევე ვთხოვ საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტს (აირაის), რომელსაც საქართველოში პოლიტიკურ პარტიებთან შიდაპარტიული ჩატარების 11-წლიანი გამოცდილება აქვს, დახმარება გაუწიოს „ნაციონალურ მოძრაობას“ ამ პროცესის წარმატებით განხორციელებაში. — მიმართავს შალამბერიძე.

შალამბერიძე ასევე მიმართავს დიმიტრი შაშკინსაც, როგორც აირაის ყოფილ ხელმძღვანელს და მოქმედ მინისტრს, რომ სამართლებრივი დახმარება გაუწიოს „ნაციონალურ მოძრაობას“ პრაიმერის ჩატარებაში.

იგივე ინიციატივით ყოფილი დეპუტატი მიმართავს ფონდ ღია საზოგადოებას.

— მიმაჩნია, რომ დემოკრატიის განვითარებაში საკმაოდ ჩამოვრჩებით. ეს პროცესი დავაგვიანეთ და ამის დაწყება დღესვე არის საჭირო, რომ ღიაობა და გამჭვირვალობა გახდეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების წესი და შევძლოთ ნორმალური, დემოკრატიული საარჩევნო პროცესზე გადასვლა. ჩემი მხრიდან სურვილს გამოვთქვამ აქტიურად ჩავერთო ამ პროცესში, როგორც ორგანიზატორი და ასევე თბილისის მერობის ერთ-ერთი კანდიდატი შიდაპარტიულ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან. მიმაჩნია, რომ დემოკრატიის განვითარების პროცესი, რომელიც ძალიან დაგვიანებულია, დღესვე უნდა დავიწყოთ და მოსახლეობას მივცეთ საშუალება, რომ ყოველგვარი გადადების გარეშე ცხოვრება დაიწყონ დემოკრატიულ და თავისუფალ გარემოში. — ამბობს ალექსანდრე შალამბერიძე.

ამ განცხადებით უკვე მიმართა ალექსანდრე შალამბერიძემ საქართველოს პრეზიდენტს, პარტიის გენერალურ მდივანს ზურაბ მელიქიშვილს. თუმცა, „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომ ალექსანდრე შალამბერიძე არ არის პარტიის წევრი. პრესცენტრის ამ განცხადებას შალამბერიძე პასუხობს, რომ მას არ დაუტოვებია პარტია და არც შესაბამისი განცხადება დაუწერია. გამოდის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარტიიდან გარიცხა შალამბერიძე. თუმცა, არც ეს განცხადება არ კეთდება „ნაციონალურ მოძრაობაში“.

— პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ მე ვარ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. არ დამიწერია განცხადება, რომ უარს ვამბობ წევრობაზე. თავის მხრივ არც პარტიიდან არ მიმიღია არანაირი ინფორმაცია არც წერილობითი განცხადების სახით, არც ზეპირი განცხადების სახით, რომ არ ვარ პარტიის წევრი. 2004 წლიდან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ვარ. მე მხარს ვუჭერ „ნაციონალური მოძრაობის“ დეკლარირებულ იდეებს. მის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ქართველების და საქართველოს ერთიანობას, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის კეთილდღეობას. მე არ ვარ ერთი კაცის მხარდამჭერი. მე იდეას ვუჭერ მხარს და არა კაცს — სააკაშვილს. — განაცხადა პრესკონფერენციაზე ალექსანდრე შალამბერიძემ.

შალამბერიძე უმრავლესობის წევრებს ურჩევს, რომ თუ რამე „ღონისძიება“ იქნება მის მიმართ გატარებული, ჯობია ოფიციალურად გააკეთონ და არა კულუარულად.

— თუ რამე უნდათ, ეს არ უნდა გაკეთდეს ჩუმად, კულუარულად. საჯაროდ განაცხადონ, გარიცხული ვარ?! რას აპირებენ და როგორ აპირებენ. მე ჩემი აზრი მაქვს და ამას თავისუფლად გამოვთქვამ ყოველთვის. ამ შემთხვევაში მე გამოვხატავ იმ აზრს, რომელიც პრეზიდენტმა გაეროს ტრიბუნიდან განაცხადა. მან თქვა, რომ საქართველოში დემოკრატია ვითარდება. მე სრულიად ვჯდები ამ კონტექსტში. ჩემი შეთავაზებაც პრაიმერთან დაკავშირებით სწორედ აქედან მომდინარეობს. — აცხადებს ყოფილი დეპუტატი.

თუ რაში არ ეთანხმება „ნაციონალურ მოძრაობას“ შალამბერიძე ამ კითხვას ასე პასუხობს:

— არ ვეთანხმები იმაში, რაც გააკეთეს, არ ვეთანხმები იმაში, რომ ერთი კაცის იმედით იარეს. მე რასაც ვურჩევ, მათ იმის იგნორირებას ახდენენ. ილუზია არ მქონდა, რომ ეს ჩემი განცხადება უცებ იქნებოდა ატაცებული „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ. თუმცა, ვამბობ, რომ ერთ კაცზე დამოკიდებული ქვეყანა არ უნდა იყოს, მხოლოდ პრეზიდენტი არ უნდა წყვეტდეს ქვეყანაში ყველაფერს. ქვეყანაში ინსტიტუტები უნდა ამუშავდეს. პრეზიდენტის ხელისუფლებაშია მოქცეული აღმასრულებელი ხელისუფლება, ის იმავდროულად არის მთავრობის მეთაური. რადგან ერთ ხელშია კონცენტრირებული უაღრესად დიდი ძალაუფლება დაკნინება ხდება ისეთი მნიშვნელოვანი ხელისუფლებისა, როგორიც არის პარლამენტი. დღეს პარლამენტი მხოლოდ სიის ამოკითხვით არის დაკავებული, რადგან მას არ აქვს საქმე. სასამართლო ხელისუფლება არ არის დამოუკიდებელი. ადგილობრივი ხელისუფლება კი საერთოდ არ არსებობს. დემოკრატიის ამოცანა არის პრეზიდენტის ძალაუფლების შეზღუდვა. ამ შეზღუდვაზე გადის სისტემის ამუშავება. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დაგვარწმუნა იმაში, რომ ერთი კაცის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის სწორი. ყოველი გადაწყვეტილება ინსტიტუტების მიერ უნდა იქნეს მიღებული, კამათში და შეჯერებაში. ეს არის იმის გარანტია, რომ არ იქნეს დაშვებული ისეთი შეცდომები, როგორიც სააკაშვილმა დაუშვა. — ამბობს ალექსანდრე შალამბერიძე.

მიუხედავად განსხვავებული აზრისა, მმართველი პარტიისგან ალექსანდრე შალამბერიძე აცხადებს, რომ ის არ აპირებს ოპოზიციაში გადასვლას. ამის მიზეზად ის ოპოზიციის მიერ გამოტანილ ლოზუნგს „გადადგეს სააკაშვილი“ ასახელებს.

— ფაქტიურად მე ვარ უმცირესობაში, „ნაციონალურ მოძრაობაში“, მაგრამ ოპოზიციაში გადასვლას არ ვაპირებ. ოპოზიცია უშვებს დიდ შეცდომას, როდესაც მისი ლოზუნგია „გადადგეს სააკავშილი“. დღეს მთავარია პრეზიდენტის ძალაუფლების დეცენტრალიზაცია შესუსტება, — ამბობს ყოფილი დეპუტატი.

## სახლის სახურავის შეკეთებისას დამხმარე მუშა გადმოვარდა

ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტალში სახლის სახურავის შეკეთებისას დამხმარე მუშა გადმოვარდა და დაიღუპა.

ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტლის, მე-5 კორპუსის, მე-5 სართულის სახურავიდან გადმოვარდა ინდმეწარმე „დავით დვალი“-ს მუშა 56 წლის თამაზ შანიძე. აღნიშნული სამსახური მერიის მიერ იყო დაქირავებული და იქ სახლის სახურავის შეკეთების სამუშაოებს ახორციელებდა.

თვითმხილველები აცხადებენ, რომ შემთხვევა დაუდევრობის გამო მოხდა. აღნიშნულ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება. დაღუპულის დასაფლავების ხარჯებს მერია გაიღებს.

**ინტერპრესნიუსი**

# ვაშაძემ მედვედევს თავისი პასპორტი გაუგზავნა

## ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის მოქალაქე აღარ არის



თეა მარხვაი ე

ამიერიდან ჩვენს ტანჯულ ოპოზიციას ერთით ნაკლები სანერვიულო ექნება. მათ უკვე დიდი ხანია ნერვები ეშლებოდათ იმის გამო, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის მოქალაქე იყო. ამაზე ოპოზიცია განსაკუთრებით მას შემდეგ ანერვიულდა, რაც ხელისუფლებამ ისინი მოსკოვთან სიამტკბილობაში დაადანაშაულა.

ბოლო თვეების განმავლობაში მათ არაერთხელ იკითხეს გაგვაგებინეთ, რატომ არ ტოვებს გრიგოლ ვაშაძე რუსეთის მოქალაქეობასო. ეს კითხვები მათ ჯერ კიდევ ვაშაძის კულტურის მინისტრობის დროს გაუჩნდათ. მას შემდეგ კი, რაც მან საგარეო უწყება ჩაიბარა, ოპოზიციას ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოუხსნიათ.

ისე, რაც მართალია მართალია, ბოლო პერიოდში ამ თემაზე არაფერი უთქვამთ. ეტყობა წარუმატებელმა აქციებმა ვაშაძე სულ დაავიწყათ. რუსეთის დუმაში ატეხილი ამბავი რომ არა, ჩვენებურებს შესაძლოა აღარც კი გახსენებოდათ ვაშაძის ჯიბეში რუსეთის მოქალაქის პასპორტი რომ იდო.

ორი დღის წინ ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთის დუმაში მოკლემეტრაჟიანი სკანდალი აგორდა. ფრაქცია „სპრავედლივაია რასიის" წევრმა სემენ ბაღდასაროვმა თავი გაინერვიულა და ვაშაძისთვის რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევა მოითხოვა.

სამართლიან რუსს, ბაღდასაროვს უსამართლოდ მოეჩვენა ვაშაძის რუსეთის მოქალაქეობა. მისი თქმით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ანტირუსულ კამპანიას ეწევა და მას რუსეთის მოქალაქეობა უნდა ჩამოერთვას.

ეს ინფორმაცია ჩვენებურებმა რადიოსადგურის „ეხო მოსკვის" მეშვეობით შეიტყვეს. ამ ინფორმაციამ ოპოზიციაც ააღელვა და პოზიციაც. ნაციონალებმა ამ თემის განხილვა პარლამენტის სხდომაზეც კი სცადეს.

მართალია მათ რუსეთი არ უყვართ, მაგრამ მაინც ეწყინათ, ვაშაძეს მოქალაქეობის წართმევას რომ უპირებდნენ. ჩვენებურებმა იმედი გამოთქვეს, რომ რუსეთი ამას არ გააკეთებდა. მათი თქმით, ამაში ტრაგიკული არაფერი არ იქნებოდა, უბრალოდ რუსეთი თავის სახეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა.

რუსეთის ვერაგობაში და ავზნიანობაში ნაციონალებს საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციაც დაეთანხმა. ამასთან, ერთმაც და მეორემაც სავსებით სამართლიანად იკითხეს — კი მაგრამ, ეს ვაშაძე რატომ არ ტოვებს რუსეთის მოქალაქეობასო. ასეთ კითხვებს ოპოზიცია ადრეც სვამდა. ამაზე ვაშაძე ან დუმდა, ანდა ფილოსოფიურ პასუხებს იძლეოდა.

რუსეთის მოქალაქეობაზე გრიგოლ ვაშაძემ უარი მხოლოდ გუშინ თქვა. ეს ამბავი საზოგადოებამ გუშინ მთავრობის სხდომაზე შეიტყო.

მანამდე კი გავიგეთ, რომ დუმამ უარი თქვა ვაშაძისთვის რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევაზე. უფრო ზუსტად კი, განაცხადეს, ჩვენ ეგეთი პრაქტიკა არა გვაქვსო. ეს ამბავი თბილისში ძალიან სწყენიათ. რადგანაც ამ საკითხთან დაკავშირებით მმართველი ძალა დიდი სკანდალის აგორებას აპირებდა.

თავად ვაშაძემ სამართლიან რუსებს პასუხი სამშაბათს, საღამოსვე პრესცენტრის პირით შეუთვალა.

***— გრიგოლ ვაშაძე რუსი პოლიტიკოსების ინიციატივას — მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას მიესალმება და ძალიან ნასიამოვნებია ამ ფაქტით, ამასთან, ვაშაძე თვლის, რომ რუსების მხრიდან მოქალაქეობის ჩამორთმევაზე განცხადების გაკეთება ცოტა დაგვიანდა კიდეც, — ასე შეუთვალა საგარეო უწყებამ რუსებს.***

რუსეთის დუმამ კი მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა გადაიფიქრა. დუმის დეპუტატმა კონსტანტინე კოსაჩოვმა კი კოლეგებს რადიკალური განცხადებების გაკეთებისგან თავის შეკავება ურჩია.

— რაც უფრო თავს შევიკავებ რადიკლური ქმედებებისგან, მით უფრო მალე გამოჩნდება რუსულ-ქართული ურთიერთობის ნორმალიზაციის პერსპექტივები, — მიიჩნევს კოსაჩოვი.

კოსაჩოვის „კეთილგანწყობა" ვაშაძემ არაფრად მიიჩნია. მან გუშინ რუსეთის მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ განცხადება დაწერა.

— მე აღარ ვაპირებ რუსეთის მოქალაქეობის შენარჩუნებას. სამშაბათს დავწერე განცხადება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე. ამავე წერილს მე დავურთე რუსეთის პასპორტიც. განცხადება უკვე რუსეთშია გადაგზავნილი. მიუხედავად იმისა, რომ სათათბირო აღარ აპირებს ჩემთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას, მე რუსეთის მოქალაქე აღარ ვარ და ჩემი მოვალეობები ამოვწურე, — აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ.

ვაშაძეს რუსეთის მოქალაქეობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს მიენიჭა. აქამდე ის ორმაგ მოქალაქეობას ატარებდა. ამიერიდან კი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა იქნება.

# რატომ აჩუქა ხაჯიმბას პუტინმა გენერლის სამხრეები

თეა მარხვაი ე

ქართველი ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის პრეზიდენტის ვინაობა უკვე ცნობილია. მათი ვარაუდით, გამარჯვება უკვე მოპოვებული აქვს სერგეი ბაღაფშს. ბაღაფშის გამარჯვებაში ეჭვი არც „ექსპერტთა კლუბის" წარმომადგენელს გოჩა გვარამიას ეპარება. თუმცა მას პუტინის გაჩუქებული „პაგონები" მოსვენებას არ აძლევს.

აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტის დაკავებისთვის ცესკოში 5 კანდიდატს აქვს განაცხადი შეტანილი. გოჩა გვარამიას აზრით, რეალური ბრძოლა მხოლოდ ორ კანდიდატს შორის წარიმართება. ესენი კი ბაღაფში და ხაჯიმბა არიან.

საპრეზიდენტო არჩევნებს გოჩა გვარამია მოსკოვში დაჯგუფებათა შორის ბრძოლად განიხილავს. მისი აზრით, ბაღაფშსა და ხაჯიმბას სხვადასხვა კლანები მფარველობენ.

— აფხაზეთის „საპრეზიდენტო არჩევნები" უნდა განვიხილოთ, როგორც რუსეთის ზოგიერთ მმართველ დაჯგუფებას შორის ბრძოლა ოკუპირებული რეგიონის კონტროლისთვის, — მიიჩნევს გოჩა გვარამია.

ბაღაფშისა და ხაჯიმბას საარჩევნო დაპირისპირება ზოგს მოსაწყენად ეჩვენება, ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელი კი აქ დიდ ინტრიგას ხედავს. ეს ინტრიგა კი პუტინის ნაჩუქარ სამხრეებს უკავშირდება.

— განსაკუთრებულ ინტერესს ამ ბრძოლას ის აძლევს, რომ რეალურ პრეტენდენტთაგან ერთ-ერთის უკან რუსეთის პრემიერი პუტინი დგას, რომელმაც 2004 წლის მარტში, რუსეთის პრეზიდენტის რანგში, პირადად გადასცა ხაჯიმბას ფსბ-ს გენერლის სამხრეები და ამ სახით ღიად დააფიქსირა ამ კანდიდატურის მხარდაჭერა წინა არჩევნებზე. მაგრამ, ცნობილ გარემოებათა გამო, პუტინის პროტეჟე მაშინ დამარცხდა, გამარჯვებული ბაღაფში კი მთელი ამ წლების მანძილზე აქტიურად გამოხატავდა სრულ ლოიალობას კრემლის მიმართ და მოსკოვის გავლენიანი წრეების მხარდაჭერის მოსაპოვებლად მუშაობდა, — აცხადებს ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელი.

დანარჩენ კანდიდატებს, მისი აზრით, არანაირი შანსი არა აქვთ. თუმცა ბესლან ბუთბამ შეიძლება ვიცეპრეზიდენტობას გამოჰკრას ხელი.

— თუ საქმე მეორე ტურამდე მივიდა, პარტია ერა-ს ლიდერი ბესლან ბუთბა კოალიციას შექმნის რაულ ხაჯიმბასთან ერთად და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ექნება პრეტენზია. თავის მხრივ, ბაღაფშსაც ჰყავს მხარდამჭერები აუტსაიდერ კონკურენტთა შორის, კომპანია „აფხაზეთის საზღვაო სანაოსნოს" ხელმძღვანელი ზაურ არძინბა, რომელიც უშუალოდ დაკავებულია თურქეთთან კონტრაბანდული საქმიანობით. რაც შეეხება პროფესორ ვიტალი ბგანბას, ის თავის მხარდაჭერას ვაჭრობის საგნად აქცევს. მას კარგად ესმის, რომ გამარჯვების არავითარი შანსი არ აქვს და ეცდება, რომ შესაძლო გამარჯვებულისგან რაიმე მაღალი პოსტი მიიღოს, — მიიჩნევს ექსპერტი.

ექსპერტის აზრით, არჩევნებში გამარჯვებულის ვინაობას ამომრჩეველთა ხმები არ გამოავლენს.

— აქ ბევრად მნიშვნელოვანია ცესკოში ხმის დათვლის შედეგები. ეს კი ნიშნავს, რომ გამარჯვებულად ის დასახელდება, ვისაც უფრო მძლავრი მხარდაჭერა აღმოაჩნდება მოსკოვიდან. თუმცა, გასათვალისწინებელია წინა არჩევნების გამოცდილებაც, როცა პუტინმა ვერ გაიყვანა თავისი კანდიდატურა. ამ ფონზე გვარამია არ გამორიცხავს ექსცესებს მიმდინარე წინასაარჩევნო ბრძოლის დროს, მაგრამ აღნიშნავს, რომ თუ მთელს აფხაზეთზე რუსი სამხედროების კონტროლის ხარისხს გავითვალისწინებთ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაპირისპირებას ასეთი მწვავე ხასიათი ჰქონდეს.ვინც არ უნდა გაიმარჯვოს აფხაზეთში, მას მთლიანად გააკონტროლებს კრემლი, ხოლო რუსეთი, აღიარა რა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ყველანაირად ცდილობს, დაარწმუნოს მსოფლიო თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, — აცხადებს გვარამია.

# შრომის კანონი უნდა დაიწვას!

## სალარო აპარატებს ფიქსირებული გადასახადი სჯობია

გერა მამულაშვილი

პროფკავშირები მოვაჭრეების სალარო აპარატებისგან ორი წლით განთავისუფლების ინიციატივით კიდევ ერთხელ გამოდიან. ისინი ამის ნაცვლად ფიქსირებული გადასახადის დაწესებას მხარს უჭერენ. პროფკავშირები მოითხოვენ, რომ ყველა ის სავაჭრო ობიექტი, რომელსაც დღიური 100 ლარზე ნაკლები ბრუნვა აქვს, სალარო აპარატების მოხმარების ვალდებულებისგან განთავისუფლდეს და ორი წლით ფიქსირებულ გადასახადზე გადავიდეს. ორგანიზაციაში თვლიან, რომ ინიციატივის გაზიარების შემთხვევაში მოგებული დარჩება მოვაჭრეც და ბიუჯეტიც.

„ახალ თაობასთან" ინტერვიუში საქართველოს პროფკავშირების ლიდერი ირაკლი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ სალარო აპარატების ვალდებულების შეჩერების მიუხედავად, საგადასახადო ინსპექტორები დადინ და აწუხებენ იმ ინდმეწარმეებს, რომლებსაც სავაჭრო წერტილზე დამხმარეები ჰყავთ. მისივე თქმით, რეალურად ასლარიანი სავაჭრო ბრუნვის მქონე მოვაჭრეები ქვეყნაში დადგენილ საარსებო მინიმუმზე უფრო ნაკლებ შემოსავალს იღებენ. პეტრიაშვილი აცხადებს, რომ თუ ეს ინიციატივები (მათ შორის დისკრიმინაციულ შრომის კოდექსთან დაკავშირებული) გაზიარებული არ იქნება, მაშინ ეს აუცილებლად გაზრდის იმ ნეგატივს ხელისუფლების მიმართ, რაც დღეს ქვეყანაში რეალურად არსებობს.

***— რამ გამოიწვია თქვენი მხრიდან აღნიშნული ინიციატივის წამოყენება?***

— უამრავ ადამიანს პრობლემები ექმნება ამ გაუაზრებელი საგადასახადო კანონის შედეგად. ინდმეწარმეებს თითქოსდა შეუჩერდათ სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულება, მიუხედავად ამისა, საგადასახადო ინსპექტორები დადიან და მათ აწუხებენ. რაში მდგომარეობს ამ საკითხის სპეციფიკა? აცხადებენ, რომ იქ, სადაც ერთი ადამიანია დასაქმებული, ეს ვალდებულება მხოლოდ მათ შეუჩერდათო. მაგრამ მთლად ერთი ადამიანი ვერ იქნება იქ, რადგან დამხმარეებიც ჰყავთ ხომ? სადაც,



ვთქვათ, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით ვაჭრობენ ბაზრობებზე, სადაც ხალხია დასაქმებული. ამ ხალხს კი პრობლემებს უქმნიან და აჯარიმებენ. მეორეც — ამ ადამიანებს არც სახელმწიფოსთვის უთხოვიათ სამუშაო ადგილები და ხელისუფლებასაც არ მოუკლავს თავი მათთვის ამ ადგილების შექმნით; თვითონ იპოვეს ეს სამუშაო ადგილები. ამასთან მინდა გითხრათ, რომ ის კატეგორიები, ვისთვისაც ჩვენ ამ სალარო აპარატების ვალდებულების შეჩერებას ვითხოვთ, მათი დღეში ასლარიანი ბრუნვა აქვთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი შემოსავალს სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე უფრო ნაკლებს იღებენ. აქედან გამომდინარე, როგორც მინიმუმი, უზნეობაა კიდევ ამ ადამიანების დახარისხება; ამით სამუშაო ადგილებიც მცირდება და ბიუჯეტში თანხების მობილიზებაც ვერ ხერხდება. აქედან გამომიდინარე, პრობლემები ექმნება იმ სოციალურ პროგრამებსაც, რაც ბიუჯეტიდან უნდა იყოს დაფინანსებული. იცით, რომ ონკოლოგიაში და სხვა დარგებში მსგავსი პრობლემები შეიქმნა. ვფიქრობთ, რომ თუ ჩვენი ინიციატივა მოწონებული იქნება, ეს კანონში აისახება და 2012 წლამდე შეუჩერდებათ სალარო აპარატების სარგებლობის ვალდებულება, ქვეყნის ბიუჯეტშიც მეტი თანხები შევა; ფიქსირებული გადასახადებით სამუშაო ადგილებიც შენარჩუნდება და ამ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროს მეტ-ნაკლებად უფრო ადვილად გადაივლის ეს სიტუაცია; ათობით სამუშაო ადგილი არ გაუქმდება, როგორც ეს დღეს ხდება.

***— ეს გარე მოვაჭრეებსაც შეეხება თუ ისინი ამ შემთხვევაში სხვა კატეგორიაში გადიან?***

— პრობლემაც ისაა, რომ ამ ხალხს, ვისაც პატიოსნად სურს დადგეს, ივაჭროს და გადაიხადოს გადასახდები, იმ ხალხს იძულებულს ხდიან, რომ გარემოვაჭრეებად იქცნენ; ანუ ყოველგვარი გადასახადების გარეშე იმუშაონ. იმიტომ, რომ პატიოსნად მუშაობა იმას ნიშნავს, ერთ მშვენიერ დღეს ჩამოივლის საგადასახადო ინსპექტორი და აგაკრავთ ხუთასლარიან ჯარიმას. იმის გამო, რომ თქვენთან ერთად თქვენი და, დედა, ქმარ-შვილი დგას და გეხმარებთ იმ სამუშაოს შესრულებაში, რომელიც რის ვაივაგლახით გაქვთ.

***— რა დამოკიდებულებას ელით თქვენს ამ ინიციატივებზე ხელისუფლების მხრიდან?***

— ჩვენ თანმიმდევრულად მივყვებით ყველა იმ პრობლემას, რომელიც არის და ვსვამთ ამ საკითხებს. პროფკავშირებს შეიარაღება არ აქვს და ნატოს ჯარები ჩვენ არ გვყავს არსებული პრობლემების გადასაწყვეტად. პროფკავშირების ძალა მის წევრებშია. ვფიქრობ, რომ ჩვენს წევრებსა და დასაქმებულ ადამიანებში ყველა ის თემა, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ, არის რეიტინგული და ეს პრობლემები ადამიანებს რეალურად აქვთ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე აქციებს, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ, ხალხი და ასევე მისი მხარდაჭერა ჩვენს წინადადებებს ნამდვილად არ აკლია. ჩვენ წინადადებებს ვაყენებთ და ვფიქრობთ, რომ ისინი არსებული ლოგიკიდან გამომდინარეა; თუ ვინმე ამ ლოგიკას მაინც არალოგიკურ გადაწყვეტილებას დაუპირისპირებს, ეს მისი პრობლემა იქნება. ამიტომ ის ნეგატივი, რომელიც ზოგადად არსებობს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ ამ ქვეყანაში, აუცილებლად გაიზრდება.

***— თქვენი ორგანიზაციის მხრიდან ასევე გაცხადდა, რომ ხელისუფლება დღეს იძულებულია არსებულ შრომის კოდექსში ცვლილებები შეიტანოს; კონკრეტულად რომელ მომენტებზე მიდის საუბარი?***

— მე რომ ადამიანმა მკითხოს, მთლიანად შრომის კოდექსი უნდა დაიწვას და ახალი დოკუმენტი უნდა დაიწეროს. მაგრამ ჯერჯერობით ამ ქვეყანაში ამას მე არ მეკითხებიან. აქედან გამომდინარე, ჩვენ უკვე სამი წელია ვამბობთ, რომ ეს შრომის კოდექსი არის შუა საუკუნეების სტანდარტის მქონე. ეს კოდექსი ანგრევს სამოქალაქო საზოგადოებას, დისკრიმინირებულს ხდის შრომით სფეროს საქართველოში. ამას არა მარტო მე, არამედ იგივეს ამბობს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია; ამაზე საუბრობს ევროკავშირი და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამაზე უკვე საუბრობს ქართული სასამართლო. მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც წერია, რომ ვერ აღადგენს ჩვენს წევრს სამსახურში (მარათალია ჩვენი წევრის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება იყო თბილისის მერიის მხრიდან), რადგან დისკრიმინაციის საფუძველს იძლეოდა შრომის კოდექსი. შრომის კოდექსში ეს დისკრიმინაციული მუხლები კი შეზღუდული არ არის.

ამაზე მეტი რა მოტივაცია უნდა იყოს ამ ქვეყანაში შრომის კოდექსის შესაცვლელად? მასში შესწორებების შესატანად? ჩვენ გვაქვს 38 პუნქტიანი ინიციატივა, რომელიც შესულია სამმხრივ კომისიაზე; ჩვენ პარლამენტშიც გვაქვს შეტანილი საკანონმდებლო ინიციატივა 48 ათასი კაცის ხელმოწერით. ეს არის კონსტიტუციური ნორმა, რომ 30 ათასზე მეტი ხელმოწერის შეგროვებით პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შეხვიდე. ჩვენს ოცდათვრამეტიან დოკუმენტს საქართველოს შრომის კოდექსი შესაბამისობაში მოჰყავს ჩვენი ხელისუფლების მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო დოკუმენტებთან. საქართველო მიერთებულია მათ, რის შედეგადაც ეს დოკუმენტები ქვეყნის კონსტიტუციის შემდეგ უპირატესი მოქმედების ძალას იძენენ. საუბარია 87-ე და 98-ე კონვენციებზე, რომლებიც კოლექტიური მოლაპარაკებებისა და ასოციაციების, ანუ პროფკავშირების თავისუფლებას ეხება. ასევე იგნორირებულია ევროპის სოციალური ქარტია, რომლის 19 მუხლის 4 პუნქტს შეუერთდა საქართველო. ამ კონტექსტში განიხილება შრომის კოდექსის უამრავი მუხლი, მაგალითად, საზოგადოებისთვის ცნობილი და მტკივნეული მე-3 მუხლის „დ" და მე-3 მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც დამსაქმებელს ათავისუფლებს ვალდებულებისგან ახსნას, თუ რატომ ათავისუფლებს ადამიანს სამსახურიდან. დასაქმებულებთან არ უნდა იდებოდეს მოკლევადიანი კონტრაქტები, რაც იძლევა საშუალებას, რომ სწრაფად, ამასთან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლო ადამიანი სამსახურიდან. ამ დროს შეიძლება ისინი განთავისუფლებული იყვნენ პროფკავშირების წევრობის გამო, მაგრამ ამას ვერსად დაამტკიცებენ. დღეს უამრავი ფაქტია იმის დამადასტურებელი, რომ ეს შრომის კოდექსი ძალიან ცუდად მუშაობს. უამრავი ფაქტი ამტკიცებს, რომ ადამიანებს სამსახურებიდან უშვებენ იმის გამო, რომ ისინი არიან პროფკავშირების წევრები, არიან ქალები, არიან ეროვნული უმცირესობები და ა.შ. ყველაფერი ეს ერთს ნიშნავს: საქართველოს შრომის კოდექსი არის ღიად დისკრიმინაციული. მაგრამ ამ საკითხშიც ჯერი უკვე ხელისუფებაზე და პარლამენტზე არის მიმდგარი, გაითვალისწინებენ თუ არა ამ ინიციატივებს. თუ არ გაითვალისწინებენ, ამისი პოლიტიკური ფასი საკმაოდ მაღალია. საქართველოს შეიძლება „ჯიესპი პლიუსი" ჩამოერთვას. ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გაფორმებასაც შეიძლება დიდი საფრთხე შეექმნას. პროფკავშირებიც დაინტერესებულია, რომ ასეთი სავაჭრო ურთიერთობები ქვეყანას რეალურად ჰქონდეს.

# 120 წელი აკადემიკოს გრიგოლ წულუკიძის დაბადებიდან

**მიმდინარე წლის 6 ნოემბერს, 14 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მცირე სააქტო დარბაზში (მ. კოსტავას ქ. 77) გაიმართება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გრიგოლ ანტონის ძე წულუკიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომა.**

გრ. წულიკიძე დაიბადა 1989 წლის 17(29) აპრილს ქ. ქუთაისში. 1906 წელს დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და გაემგზავრა ავსტრიაში უმაღლესი განათლების მისაღებად. 1913 წელს დაამთავრა ქ. ლეობენის უმაღლესი სამთო სასწავლებელი და იმჟამად რუსეთის იმპერიაში მოქმედი კანონის გამო იძულებული შეიქმნა შესულიყო ქ. ეკატერინოსლავის სამთო ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1914 წელს და დაიწყო საინჟინერო მოღვაწეობა გროზნოს ნავთობის სარეწებში.

1918 წელს გრ. წულუკიძე დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო ტყიბულის ნახშირის მომპოვებელ საწარმოებში, ჯერ მმართველის მოადგილედ (მთავარ ინჟინრად), შემდეგ კი მმართველად. ქვეყნისათვის ძალზე რთულ ორხელისუფლიანობის (მენშევიკური და საბჭოური) პირობებში ბატონმა გრიგოლმა გამოავლინა დიდი შემოქმედებითი და ორგანიზაციული უნარი და უზრუნველყო ტყიბულის საწარმოთა მართვა-გამგეობის სრულყოფა და მათი რაციონალურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბება.

1922 წელს გრ. წულუკიძე დაინიშნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (სმუს) ახლად ჩამოყალიბებული სამთო კომიტეტის თავმჯდომარედ. სამთო კომიტეტში მუშაობის პერიოდში დიდი იყო ბატონი გრიგოლის როლი ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის აღდგენა-განვითარების საქმეში. სწორედ მაშინ მოხდა ჭიათურის მრავალრიცხოვანი საწარმოების ნაციონალიზაცია (1923-24 წწ.), რეგიონში ამერიკული ფირმის „ჰარიმანი და კომპანია“ შემოსვლა და აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მისი გაწვევა (1925-28 წწ.) ჭიათურის მანგანტრესტის დაარსება (1928) და მანგანუმის მადნის მომპოვებელ-გადამამუშავებელი საწარმოების აღდგენა-განვითარება (1928 წლის შემდეგ).

გრ. წულუკიძის ყურადღების ობიექტი იყო აგრეთვე საქართველოს სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი რეგიონები: სპილენძის, ტყვია-თუთიის, დარიშხანის, სახურავი ფიქლების, ცეცხლგამძლე თიხების, სამშენებლო მასალის, ოქროს, ვერცხლისა და სხვა საბადოები. ბატონი გრიგოლის მხედველობის არეში მოექცა აგრეთვე ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის პრობლემები.

გრ. წულუკიძეს მიაჩნდა, რომ მსგავსი რეგიონების სამრეწველო ათვისებისათვის საჭირო იყო მათზე გეოლოგიური საძიებო სამუშაოებისათვის წარმოება და განვითარება. მისი დაჟინებული მოთხოვნით 1926-27 წწ. შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოში გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების პირველი ხუთწლედის სახელმწიფო გეგმა, რომლის რეალიზაციის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ქვეყანაში სხვადასხვა სამთო-გეოლოგიური სამსახურების დაფუძნებას სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო ბალანსზე აყვანასა და მათ პერიოდულ განახლებას. ბატონი გრიგოლის ინიციატივითა და მხარდაჭერით საქართველოში დაარსდა გეოლოგიის, კავკასიის მინერალური ნედლეულისა და ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინტიტუტები.

1923 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის მოწვევით გრ. წულუკიძე დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადჩამოყალიბებული პოლიტექნიკური ფაკულტეტის კათედრის ხელმძღვანელად. 1928 წელს თსუ-ს პოლიტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამშენებლო მექანიკური და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტებით. 1928-37 წლებში გრ. წულუკიძე მუშაობდა ჯერ სამთო-ქიმიური ფაკულტეტის დეკანად, შემდეგ კი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო და სამეცნიერო ნაწილში. 1930 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

1939 წელს გრ. წულუკიძემ პირველმა ქართველმა ინჟინერმა და მეცნიერმა მოსკოვის სამთო აკადემიაში დაიცვა დისერტაცია ტექ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1944 წელს გრ. წულუკიძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და აკადემიაში ახლადჩამოყალიბებული ტექნიკური განყოფილების თავმჯდომარედ. ტექნიკურ განყოფილებაში მოღვაწეობის პერიოდში გრ. წულუკიძემ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მეცნიერებათა აკადემიაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. იგი იყო ლითონისა და სამთო საქმის (1945წ.) და საამშენებლო საქმის (1947წ.) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი.

გრ. წულუკიძეს ჰქონდა მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი საპროექტო ინსტიტუტთან „საქსახშახტპროექტთან“, რომელიც შეიქმნა 1944 წელს მისივე ინიციატივით. ბატონ გრიგოლის კონსულტაციით დაპროექტდა და აშენდა ახალი მაღაროები და შახტები ტყიბულში, ჭიათურაში, ტყვარჩელსა და ახალციხეში.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, გრ. წულუკიძემ გააგრძელა აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა იმ პრინციპების განსახორციელებლად, რომელიც აისახა მის საკვალიფიკაციო ნაშრომში. 1941-48 წწ. გრიგოლ წულუკიძემ მშობლიურ ენაზე სამ ტომად გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომი: „მადნეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების მეთოდები“, რომელშიც პირველად სამთო-ტექნიკურ ლიტერატურაში განიხილებოდა ყველა სახის სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა დამუშავების მსოფლიო გამოცდილება. 1949 წელს აღნიშნული სახელმძღვანელოები ერთ ტომად გამოქვეყნდა მოსკოვში რუსულ ენაზე, სახელწოდებით : „სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავება“, რომლის მთავარი რედაქტორი აკად. მ. აგოშკოვი წიგნის წინათქმაში აღნიშნავდა: „გრიგოლ ანტონის ძე წულუკიძის წინამდებარე წიგნის გამოქვეყნება უნდა განვიხილოთ, როგორც დიდი მოვლენა სამთო-ტექნიკურ ლიტერატურაში“. 1951 წელს ეს წიგნი გამოიცა ბუდაპეშტში უნგრულ ენაზე.

გრ. წულუკიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოში შეიქმნა და განვითარდა სამთო მეცნიერების ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: სასარგებლო წიაღისეულის ღია და მიწისქვეშა დამუშავება, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა, მაღაროს (შახტების) აეროლოგია, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება და სხვა. მოგვიანებით ჩამოთვლილი მიმართულებებით საქართველოში შეიქმნა სამეცნიერო სკოლები, რომლებიც ცნობილნი იყვნენ ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ.

გრ. წულუკიძე გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1950 წლის 22 დეკემბერს შემოქმედებითი მოღვაწეობის სიმწიფის პერიოდში. ნიშანდობლივია, რომ მას არ შეუწყვეტია მუშაობა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. გარდაცვალების შემდეგ ბატონი გრიგოლის სასთუმალთან ნახეს მოსკოვში გამოცემული წიგნის ეგზემპლარი მისი ხელით შეტანილი შენიშვნებით. ჩანს, რომ მეცნიერს განზრახული ჰქონდა განეხორციელებინა მისი განახლებული გამოცემა. სამწუხაროა, რომ მან ვერ შეძლო ამ ჩანაფიქრის ასრულება.

ბატონი გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმიის ინსტიტუტს გამოეყო: მეტალურგიის, არაორგანიული ქიმიისა და ელექტროქიმიის, მანქანათა მექანიკისა და სამთო მექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. სამთო მექანიკის ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა აკად. ა. ძიძიგური, რომლის ინიციატივით საქართველოში სამთო მრეწველობის ორგანიზაციისა და სამთო მეცნიერების დაფუძნებაში გრიგოლ წულუკიძის ღვაწლის აღსანიშნავად, სამთო მექანიკის ინსტიტუტს მიენიჭა მისი სახელი.

ბუნებისაგან მომადლებულ ნიჭთან, მრავალმხრივ განსწავლულობასა და დიდ ერუდიციასთან ერთად, საქმისადმი დიდმა სიყვარულმა, დაუცხრომელმა შრომამ და ხასიათის სიმტკიცემ გახადა გრიგოლ წულუკიძე საქართველოს სამთო მრეწველობის დიდი ორგანიზატორი და სამთო მეცნიერების ფუძემდებელი.

გრ. წულუკიძის მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები დიდი მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ დიდი წინაპრისა და მასწავლებლის, სასიქადულო მამულიშვილის დაბადების 120 წლისთავს. ბატონი გრიგოლის მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია ახალგაზრდა თაობებისათვის.

**სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი**

**საქართველოს სამთო საზოგადოება**

# 7 ნოემბერი უნდა გვახსოვდეს, როგორც ხელისუფლების დანაშაული



**7 ნოემბერს არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები საპროტესტო აქციას გამართავენ და კიდევ ერთხელ გააპროტესტებენ სააკაშვილის ანტიდემოკრატიულ კურსს.**

**7 ნოემბრის აქციას ოპოზიციის ნაწილი არ უერთდება. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამ დღეს ყოველწლიურად უნდა გამოვიდეს და ხელისუფლების არასწორი ნაბიჯები გააპროტესტოს. ამ აზრს იზიარებს „ქალთა პარტიის“ ლიდერი გუგული მაღრაძე, რომელიც „ახალ თაობასთან“ საუბრობს.**

შორენა კოწოწაშვილი

***— ქალბატონო გუგული, რა შეიცვალა 2007 წლის 7 ნოემბრიდან დღემდე და რამდენად იკვეთება, რომ ეს ხელისუფლებისთვის მწარე გაკვეთილი იყო.***

— ამ ორი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. უამრავი არადადებითი მოვლენა მოხდა. ამის შემდეგ გაყალბდა ორი არჩევნები. სამართლიანი იყო საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დანიშვნა, მაგრამ მაშინ დასავლეთის პოზიცია იყო, ვიდრე დღეს არის. იმიტომ, რომ თუ დღეს მსგავს ვითარებას ექნება ადგილი და საქართველოს მოსახლეობა ვინმეს ასე თავგამოდებულად მისცემს ხმას, როგორც ეს მოხდა 2008 წლის იანვარში, არა მგონია, რომ დასავლეთის ქვეყნებიდან იყოს რაიმე მცდელობა, რომ თვალში ნაცარი შეგვაყარონ ან თვითონ დაიმხონ მთელი დემოკრატია და მაინც აღიარონ ის, რაც არ არის საღიარებელი. ასე რომ, 7 ნოემბერი არის ფაქტობრივად გარდატეხის წელი. თუკი მანამდე კიდევ არსებობდა რაიმე იმედები ქვეყნის შიგნით და გარეთ რომ სააკაშვილის ხელისუფლების კურსი დემოკრატიისკენ იყო, გამოიკვეთა, რომ ეს ხელისუფლება ძალიან სწრაფად გაექანა ავტოკრატიზმისკენ.

***— რეალური დემოკრატიული ნაბიჯები ხელისუფლებას საერთაშორისო დონეზე გაკეთებული მძიმე შეფასებების შემდგომაც არ გადაუდგია?***

— არა. გამოიკვეთა, რომ ხელისუფლება დემოკრატიით მართვას არც აპირებდა. იმიტომ, რომ 7 ნოემბერს არ იყო იმის აუცილებლობა, რაც ხელისუფლებამ გამოიყენა. თუ მანამდე ხელისუფლებას შენიღბული ჰქონდა თავისი სახელი და დემოკრატიული ლოზუნგებით ცდილობდა, რომ გადაეფარა ის ავტოკრატიული ბუნება, რაც მას ჰქონდა, 7 ნოემბერს გამოჩნდა. ხელისუფლებამ შეუიარაღებელი, საფრთხის არშემცველი მოშიმშილეების მიმართ გამოიყენა ისეთი დამრბევი საშუალებები, რომელსაც დასავლეთი ძალიან კრიტიკულ მომენტებში იყენებს. გამოყენებულ იქნა ძალიან სერიოზული ფსიქოლოგიური იარაღი, რომელიც იწვევს უამრავ დაავადებას და სასიკვდილო მეტალორბოლასაც კი იწვევს, თუკი ის არის გამოყენებული ასე ახლოდან. ის რაოდენობა მომწამლავი გაზისა, რაც 7 ნოემბერს იქნა გამოყენებული, იყო ისეთი კონცენტრაცია, რაც არ შეიძლება. ამან ასევე უჩვენა ის, რომ ის, რაც დასავლეთის პოლიციამ იცის კარგად როგორ გააკეთოს, ჩვენმა პოლიციამ არ იცის. ამიტომ ჩვენი პოლიცია საშიშია. ჩვენი პოლიცია დამცველი კი არა, პირიქით, საფრთხის შემცველია მოსახლეობისათვის. ამასთან ერთად, ის ძირითადი ლოზუნგი, რომელიც მაშინ იყო, დაინიშნოს ვამადელი საპარლამენტო არჩევნები, ის იყო სრულიად დემოკრატიული და ამ თვალსაზრისით არანაირ აგრესიას არ შეიცავდა. ეს იყო კონსტიტუციური მოთხოვნა, და უკანონო იყო პარლამენტის მიერ უფლებამოსილების გაგრძელება. ხალხის მოთხოვნა იყო სრულიად კონსტიტუციური და პროტესტიც იყო მშვიდობიანი. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ ვერ აიტანა ასეთი პროტესტი და ისეთი დამრბევი საშუალებები გამოიყენა, რომელსაც დასავლეთში ძალიან კრიტიკულ სიტუაციებში იყენებენ. თანაც ეს გზა გადამეტებული რაოდენობით იქნა გამოყენებული. ბუნებრივია, 7 ნოემბერი საზოგადოებრივი გარდატეხაც იყო იმ მხრივაც, რომ ხალხმა ძალიან გაცნობიერებულად და თამამად გამოხატა შემდგომ თავისი პროტესტი, როდესაც იანვარში არჩევნების გაყალბების შემდეგ გამოვიდა უამრავი ადამიანი ქუჩაში. ხალხს უნდოდა თავისი სურვილი — ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლა — რეალობად ექცია. ამიტომ 7 ნოემბერს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა თვალსაზრისით. ადამიანებმა იმიტომ უნდა აღნიშნონ ყოველთვის 7 ნოემბერი, რომ კიდევ ერთხელ გაახსენონ ხელისუფლებას, რომ ჩვენ გვახსოვს მისი ეს დანაშაული. ამიტომ ხელისუფლებას მუდმივად უნდა გაახსენონ. მე, საერთოდ, მიმაჩნია, რომ საზოგადოებამ ყოველთვის პროტესტი უნდა გამოხატოს ხელისუფლების დანაშაულის გამო. რაც შეეხება მადლიერებას, მადლიერება არ უნდა გამოხატოს იმიტომ, რომ ხელისუფლება ყველაფერს ხალხისთვის უნდა აკეთებდეს. მადლიერება იმის გამო, რაც მის სამსახურებრივ საქმიანობაში შედის, ხელისუფლებას არ ეკუთვნის.

***— შეუერთდება თუ არა 7 ნოემბერს დაგეგმილ საპროტესტო აქციას?***

— რა თქმა უნდა. 7 ნოემბრის შემდეგ ხელისუფლება მართლაც დემოკრატიული გამხდარიყო, მაინც უნდა გამოხატოს ხალხმა პროტესტი და ხელისუფლებას აგრძნობინოს, რომ ჩვენ ყველაფერი გვახსოვს. მე მიმაჩნია, ამ დღეს ყველა უნდა გამოვიდეს. ეს არის მშვიდობიანი მანიფესტაცია, რომელიც აღნიშნავს ხალხის მეხსიერების გამოხატულებას.

***— რატომ ფიქრობს საზოგადოებისა და პოლიტიკოსთა ნაწილი, რომ ხალხი საპროტესტო აქციებზე აღარ გამოვა?***

— მე არ ვფიქრობ, რომ უსათუოდ ბევრი ადამიანი უნდა გამოვიდეს. ის ხალხი გამოვა, რომლის მეხსიერებაშიც 7 ნოემბერი ცხოვლად არის დარჩენილი და რომელიც იტყვის: ჩვენ არ შევეგუებით იმას, რომ ქვეყანა გახდეს ისეთი, სადაც 7 ნოემბერი შეიძლება კიდევ განმეორდეს. ოპოზიციურ პარტიებს გვაქვს შეთანხმება, რომ ხელისუფლების ექვსწლიანი მუშაობა შევაფასოთ. მე ალბათ რამდენიმე მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას. ყველა თავისი გემოვნებისა და შეხედულების მიხედვით აფასებს ამას. ეს იქნება დოკუმენტი.

***— თქვენ ახსენეთ ევროპა იგივე პოზიციას არ დაიჭერს ამ არჩევნების დროს ხელისუფლების მიმართ, ოპოზიციის ნაწილი ადგილობრივ არჩევნებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. დემოკრატიულად ჩატარდება მერის არჩევნები იმ ფონზე, როცა გაცხადდა დედაქალაქის მერის გადაწყვეტილება 30 ოლქად დაიყოს თბილისი?***

— სწორედ ის, რომ გიგი უგულავა და ხელისუფლება ცდილობს ისეთი ზომები მიიღოს არჩევნებამდე, რომ სასურველი შედეგი აჩვენონ. არჩევნებამდე ამ ზომების მიღება იმას ნიშნავს, რომ ისინი დარწმუნებული არ არიან იმაში, რომ შეეძლებათ ისეთი მაღალი დონის გაყალბება, რასაც ისინი წინა წლებში იყვნენ მიჩვეული. ამიტომ ისინი ცდილობენ, რომ წინასწარ შეამზადონ ნიადაგი იმისათვის, რომ მანამდე გააყალბონ სიტუაცია. უნდათ სიტუაცია უჯრედებად დაყონ და ყველგან თავიანთი ადამიანი ჰყავდეთ. მათ ოფიციალურად ხელფასს გადაუხდიან. იმისათვის, რომ ვითომ ქალაქის მოსახლეობა ახლოს იყოს ხელისუფლებასთან. მაგრამ სინამდვილეში ეს არის მუშაობის შესაძლებლობა. თუ ადრე თავიანთი კოორდინატორებისთვის უნდა მიეცათ ხელფასი ნაციონალური მოძრაობის სალაროდან, ახლა ისინი ხელფასს მიიღებენ ბიუჯეტიდან. ეს ადამიანები, ბუნებრივია, ხელისუფლების მომხრეები იქნებიან და მაქსიმალურად იმუშავებენ წინასაარჩევნოდ ნაციონალური მოძრაობის ხმებზე.

***— წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს ამნისტია, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებლებს შეეხება?***

— რა თქმა უნდა. რამდენი ხანია თავს ვიკლავდით, რომ ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ უფრო ლმობიერი, ლიბერალური პოლიტიკა ყოფილიყო. მაგრამ ამას ვერაფრით მივაღწიეთ. ახლა კი ამნისტია კეთდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ხელისუფლება არ არის დარწმუნებული, მას ისევე უხეშად შეეძლება გაყალბება. ამიტომ ხელისუფლება არჩევნებამდე ინტენსიურად იმუშავებს. ნაციონალურმა მოძრაობამ იცის, რომელ სადარბაზოში ვინ არის მისი მომხრე, ვინ ოპოზიციისა და ვისთან შეიძლება მუშაობა. მოსახლეობის ამ ნაწილთან ინტენსიურად მუშაობენ და რაღაცებს ჰპირ-

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

# საქართველოში არ არის ოპოზიცია

## სააკაშვილს ვერ ვიტანთ, მაგრამ არც რუსეთის ქმედებებს ვამართლებთ

გიორგი უ ილაური



**ქართველმა პოლიტიკოსებმა მოსკოვში სიარული უკვე ღიად დაიწყეს. ძალიან გააქტიურდა რუსეთში მყოფი ქართული დიასპორაც. ეს კი ხელისუფლებას ბევრი რამის თქმის საფუძველს აძლევს.**

**რატომ არ არიან ქართული დიასპორის წარმომადგენლები კრემლის მონები, ვისზე მეტი წონა აქვს ნათელაშვილს, რატომ არის სააკაშვილი შემოგზავნილი, ამ თემებზე რუსეთის ქართული დიასპორის ერთ-ერთი ლიდერი ვლადიმერ ხომერიკი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

*— მოსკოვში იმყოფებოდნენ ქართული ოპოზიციის წარმომადგენლები — კომუნისტები და ზურაბ ნოღაიდელი, გქონდათ თუ არა მათთან შეხვედრები და რა რეაქცია ჰქონდა ამ ვიზიტებზე ქართულ დიასპორას?*

— მე მივესალმები მოსკოვში ნებისმიერი ქართველის, თუნდაც არაქართველის ან საქართველოს მტრის, მაგალითად, სააკაშვილის ჩამოსვლას. ნებისმიერი პოზიტიური კონტაქტი ხელს უწყობს ქართულ-რუსულ ურთიერთობებში დაძაბულობის მოხსნას. რაც შეეხება საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ვიზიტს სსრკ კომპარტიის 34 ყრილობაზე. მინდა ვთქვა, რომ დელეგაცია ღირსეული და წარმომადგენლობითი იყო. მეც ვიყავი ამ ყრილობაზე მიწვეული, შევხვდი და გავიცანი დელეგაცია. სასიამოვნოდ გამაკვირვა დელეგაციის თანმიმდევრულმა მიდგომამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი იმ საზღვრებში, რომლებშიც ის საბჭოთა კავშირში იყო, ამ პრინციპს ისინი ღირსეულად იცავდნენ როგორც ყრილობაზე, ასევე კულუარებში. საქართველოს დღევანდელი და წინამორბედი რეჟიმების კრიტიკის პარალელურად, მათ მიახვედრეს ყრილობაზე დამსწრე აფხაზური და ოსური დელეგაციებიც, რომ კომუნისტური ერთობის მიუხედავად ისინი მუდამ დაიცავენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სურთ იცხოვრონ მასში აფხაზ და ოს ძმებთან ერთად. ისინი მოუწოდებდნენ კოლეგებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. რაც შეეხება ნოღაიდელის ვიზიტს, მე არ ვიცნობ სააკაშვილის ამ ერთ-ერთ მსახურს, რომელსაც თითქოსდა თვალები აეხილა სააკაშვილისგან განდევნის შემდეგ, სიმართლე გითხრათ, არ მჯერა ამ გადაბრუნებულების, მეტი ნდობა მაქვს მათი, ვინც თავისი რწმენით ჯიუტად ემსახურება რეჟიმს და წასვლის შემდეგაც არ იცვლიან შეხედულებებს. მას არ შევხვედრივარ და არც მაქვს ამის სურვილი, მე ობიექტურობის მხარდამჭერი ვარ, ის კი არ იბრძვის ანტიქართული მმართველი რეჟიმის სისტემის წინააღმდეგ. ის იანკების მსახურია, დარბის მათთან, რათა კურთხევა მიიღოს ამ სისტემის მართვაზე. ქართული დიასპორას რეაქციაზე მის ვიზიტთან დაკავშირებით ბევრი არ ვიცი, არც ის ვიცი, ვის შეხვდა, თუმცა, მითხრეს, რომ ამ შეხვედრებს 50 კაცზე მეტი არ ესწრებოდა, მე გაგებით ვუდგები თანამემამულეებს და უფალს ვთხოვ, რომ ჩემი შეფასებები მიცემული ქართული ოპოზიციის უმრავლესობისადმი მცდარი აღმოჩნდეს.

***— მოსკოვში ნათელაშვილიც აპირებს ჩამოსვლას, როგორ შეხვდება მას ოფიციალური მოსკოვი?***

— ნათელაშვილი ბევრად დიდი წონის პოლიტიკოსია და მიუხედავად იმისა, რომ ჟირინოვსკივით მუდმივი და პროფესიონალი ოპოზიციონერია, მას გააჩნია თავისი ავტორიტეტი და ელექტორატი. მისი ვიზიტი საინტერესოა იმით, რომ ის ექსცენტრიულია და მის უკან სერიოზული სახალხო ძალა დგას, რომელიც ვერადა ვერ ეღირსა ასეთივე სერიოზულ დამოკიდებულებას ხალხისა და ქვეყნის პრობლემებისადმი. ეს განათლებული და ვირტუოზია, და თუ მისი მოღვაწეობა კომერციულიდან იდეურ სიბრტყეში შეტრიალდება, მას აქვს რეალური შანსი შეცვალოს ეს ხალხისთვის საძულველი რეჟიმი და სხვა პროფესიონალებთან ერთად მისცეს ქვეყნის კატასტროფისგან გადარჩენის იმპულსები. 90-იან წლებში მომიწია მასთან ურთიერთობა, მის პარტიაშია ჩემთვის პატივსაცემი მეცნიერი და პოლიტიკოსი ნესტან კირთაძე და სხვები. შალვა ერუდირებული ადამიანია, მასთან შეიძლება საუბარიც და იმის ცდაც, რომ სწორი მიმართულებით წარიმართოს მისი გამოცდილება, ნიჭი და ენერგია. როგორ მიიღებს მას მოსკოვი, ეს კრემლს ჰკითხეთ, ჩემი ხედვით კი ამგვარი კონტაქტები სასიკეთოა ორივე მხარისთვის, რუსი პოლიტიკოსები არ უნდა დისტანცირდებოდნენ მათგან, თუნდაც მათთვის სულერთი იყოს საქართველოს ბედი, ისინი თავიანთ ქვეყანას უნდა ემსახურებოდნენ და არ უნდა დაავიწყდეთ რუსეთის გლობალური ინტერესები კავკასიაში, სადაც ერთიანი და კეთილმეზობლური საქართველო შესაძლოა ამ ინტერესთა გარანტი და ფორპოსტი იყოს. მათ უნდა გაითვალისწინონ საქართველოს ინტერესთა ტერიტორიული და ეკონომიკური მხარე, რა თქმა უნდა, ჩვენი აფხაზი და ოსი ძმების ინტერესთა გათვალისწინებით და ხელი შეუწყონ დიალოგს, დაეხმარონ ქართული სახელმწიფოს აღორძინებას მის ერთიან ტერიტორიულ სივრცეში, მეორეს მხრივ, ამგვარ ვიზიტებს რუსეთში ეჭვის თვალით უყურებენ და ხედავენ ორმაგ სტანდარტებს მათ გამონათქვამებში, ვგულისხმობ როგორც ნოღაიდელს, ასევე ნათელაშვილს, რომლებიც საქართველოსა და ამერიკაში აცხადებენ, რომ რუსეთთან საუბარი შეუძლებელია და ამის შემდეგ მიემგზავრებიან მოსკოვში და ცდილობენ გამოძვრნენ ცარიელი და არაფრის მთქმელი განცხადებებით. გაურკვეველია, მაშინ რაში სჭირდებათ მათ შეხვედრები ხელისუფლებასთან და არა საზოგადოების ან პარტიების წარმომადგენლებთან. მოსკოვი ამას ირონიით უყურებს, თუმცა მაინც კეთილგანწყობით, რუსეთს სურს, იცოდეს ამ ვიზიტების პრაქტიკული მნიშვნელობა და შედეგები.

***— საქართველოს ოფიციალურ მედიაში თქვენ მოგიხსენიებენ, როგორც ფსბ-ს პროექტებს, რომ თქვენ და ქართული დიასპორა კრემლის მონები ხართ, ცდილობთ გაამართლოთ ქართული მიწების ოკუპაცია და არ იცავთ სამშობლოს მთლიანობას.***

— ამ კითხვას იუმორით ვუყურებ და ამავდროულად მებრალებიან ის პროსტიტუტკები, რომლებიც თავიანთი სუტინიორების შეკვეთას ასრულებენ და სინდისს დოლარზე ყიდიან, მე მრცხვენია იმ ჩემი თანამემამულეების გამო, რომლებიც აქამდე ეცემიან, მტკივნეულია სააკაშვილზე გაყიდულების და ზოგიერთი მედიასაშუალების, უსინდისო პოლიტიკანების და ექსპერტების ყურება, არ მინდა მჯეროდეს, რომ ისინი ამ დონეზე ბრიყვები არიან.

რაც შეეხება ფსბ-ს პროექტებს, ან მე არ მესმის არაფერი, ან ფსბ-ს არ აქვს არათუ პროექტები საქართველოს მიმართ, არამედ რამე სერიოზული გეგმებიც კი. მე ვფიქრობ უბედურებაა, რომ რუსეთმა უფლება მისცა ამერიკას ჩაერთო საქართველო ბინძურ ავანტიურებში, ასე რომ, თქვენ გამეტებთ ფსბ-ს მუხანათობას, პროექტები რომ არსებობდეს და საქართველოს ყურადღება რომ ექცეოდეს,

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# 7 ნოემბერი უნდა გვახსოვდეს, როგორც ხელისუფლების დანაშაული

დასაწყისი მე-5 გვერდზე

დებიან. ხელისუფლება ცდილობს აღარ მოუწიოს სიების გადაწერ-გადმოწერა და სახელისუფლო რეზერვის გამოყენებით ცდილობს უფრო მეტი ხმა მიიმხროს. არა მგონია, საქართველოს მოსახლეობის ნახევარი მაინც არ იყოს ისეთი, რომელიც ამ ხელისუფლებას არასდროს დაუჭერს მხარს, მაგრამ აქ ბევრ რამეზეა გათვლა. ეს ყველაფერი მიუთითებს იმას, რომ 7 ნოემბერს და აპრილის აქციებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ეს კვალი კი ის არის, რომ ნაციონალური მოძრაობა ინტენსიურად საარჩევნო რეჟიმშია.

***— შესაბამისად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯერ არდანიშნული ადგილობრივი არჩევნების გაყალბებაზეა ხელისუფლება გადასული?***

— ერთია გაყალბება, როცა უხეშად აყალბებ და 28 ხმის ნაცვლად, 128 ხმას წერ. მაგრამ გაყალბებაა ისიც, როცა მოქრთამვით, დანიშნებით ანუ სხვადასხვა მანიპულაციით იღებ ამომრჩევლების ხმებს. ათასგვარი მანიპულაცია იქნება ისეთი, რომ ოპოზიციას გამორკვევის საშუალებაც არ მისცენ და არჩევნებისთვის თვითონ რაც შეიძლება მეტად მომზადებულები იყვნენ.

***— ქალბატონო გუგული, უნდა იყოს თუ არა, თქვენი აზრით, ბარიერი მერის არჩევნებთან დაკავშირებით?***

— მიმაჩნია, რომ უნდა იყოს. 50 პლუს 1 არის ძალიან აუცილებელი. იმიტომ, რომ ქალაქის მოსახლეობის 10% რომ მივიდეს არჩევნებზე და ხმა 8%-მა ერთ კანდიდატს მისცეს, ის იქნება 8%-ის მერი და არა მთელი ქალაქის. თუ დედაქალაქის მოსახლეობა არ მიდის მერის არჩევნებში, ეს იმას ნიშნავს, რომ არ უნდა მას ეს მერი და მერობის ასეთი კანდიდატი. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ მერი და ყველა არჩევითი ხელმძღვანელი უნდა იყოს 50 პლუს 1-ით არჩეული. სამწუხაროდ, არჩევნებზე მისვლის ბარიერი არ არის. თორემ ესეც რომ იყოს, ეს უფრო დემოკრატიულია. ამ ხელისუფლებას მარაგში კიდევ ბევრი ღონისძიება აქვს. არ არის გამორიცხული, რომ თბილისის მერი იყოს ოპოზიციური, მაგრამ შეიძლება ხელისუფლებამ ჯიბის პარლამენტის მეშვეობით მიიღოს გადაწყვეტილება, რომ გარდა მერისა, ქალაქს ჰყავდეს გუბერნატორი — პრეზიდენტის დანიშნული რწმუნებული, რომელსაც მეტი უფლებამოსილება ექნება, ვიდრე მერს. ამით ხელისუფლება შეეცდება მერის განეიტრალებას. არის კიდევ ბევრი რამ, მაგრამ ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს.

***— როგორც ჩანს, თბილისის მერობისთვის რამდენიმე ადამიანი ემზადება და ოპოზიციიდან ერთი კანდიდატურა არ იქნება. სწორი გადაწყვეტილებაა?***

— მე მაგალითად, სწორად არ მიმაჩნია, რომ ასეთ სიტუაციაში ოპოზიციას ჰყავდეს ბევრი კანდიდატი. საპარლამენტო არჩევნების დროს კი უნდა იყოს მრავალი პარტია. მე მრავალპარტიულობის მომხრე ვარ, მაგრამ მერის არჩევნებში ვისურვებდი, რომ უფრო გამსხვილებულიყო ოპოზიციის ერთი კანდიდატისადმი მხარდაჭერა. თუ ოპოზიციას თბილისის მერის არჩევნებში 3-4 კანდიდატი ეყოლება, მაშინ მოხდება მარტივი რამ: შეიძლება 30% აიღოს ხელისუფლების კანდიდატმა და დანარჩენი 70% გაიყოს 3-4 კანდიდატში. გამოვა, ქალაქი ოპოზიციას უჭერს მხარს, არჩევნებში კი ხელისუფლების კანდიდატი გაიმარჯვებს. ჩემი თხოვნა და რჩევა იქნება ოპოზიციური პარტიების მიმართ, რომ მოახერხონ და გადალახონ ამბიციები და შევჯერდეთ მერობის ერთ კანდიდატზე.

***— დაბოლოს, ქალბატონო გუგული, რამდენად ობიექტური დასკვნა დაიდება ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების გამომწვევი კომისიის მიერ, რომელსაც შეიძლება კონსტანტინე გამსახურდიამაც კი უხელმძღვანელოს.***

— სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში დასკვნის ობიექტურობა დიდად არის დამოკიდებული პოლიტიკურ ნებაზე. მიუწვდება თუ არა კომისიას ხელი ყველა დოკუმენტზე, ეს დამოკიდებულია ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე. შეიძლება ხელისუფლებას დღეს მართლა აქვს პოლიტიკური ნება, რომ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზები მართლა ობიექტურად იყოს გამოკვლეული. თუ ეს ხელისუფლება თვითონ არაფერ შუაშია და მას ამის შესაძლებლობა მიეცემა, რომ თავის ოპონენტები გაანეიტრალოს ამ დასკვნის ობიექტურობით, შეიძლება ეს დასკვნა ობიექტურიც იყოს. მთავარია, დღეს რა აწყობს ამ ხელისუფლებას.

# ვის უნდა შეეხოს ამნისტია?

## ნარკოტიკების მომხმარებლების გამო დეპუტატები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

ნანა მიშელაშვილი

„ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის დაპირისპირების მიზეზი ხდება. საპარლამენტო ოპოზიციამ გუშინ ამნისტიას წუნი უპოვა და იმ პირთა წრის გაფართოება მოითხოვა, ვისაც ამნისტიის ერთჯერადი აქტი უნდა შეეხოს.

ქვეყანაში ახალი ამნისტიის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ორშაბათს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გახდა ცნობილი. მართალია, წინასწარი ინფორმაცია არსებობდა, რომ გიორგობისთვის ამნისტია გამოცხადდებოდა, მაგრამ ამის შესახებ ოფიციალურად 2 ნოემბრამდე არავინ საუბრობდა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა და ამნისტიის შესახებ კანონპროექტი შეიტანა, დეპუტატებმა პოზიციების დაფიქსირება დაიწყეს.

პარლამენტში არავინ დავობს იმაზე, რომ ამნისტია გამოსაცხადებელია. დავის საგანს წარმოადგენს საკითხი, ამნისტია უნდა გავრცელდეს თუ არა სხვა მუხლებზეც თუ მხოლოდ 2 მუხლს უნდა შეეხოს.

ამჯერად ამნისტია შეეხება 260-ე მუხლის პირველ ნაწილს და 273-ე მუხლს, ანუ ამნისტია შეეხება იმ პირებს, რომელთაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა ან გადაზიდვა მოახდინეს. ამნისტიის შემდეგ, ასეთ მსჯავრდებულებს სასჯელი გაუნახევრდებათ.

კიდევ ერთი საკითხი, რაც გუშინ ოპოზიციას აინტერესებდა, შეეხება კანონის მოქმედების ვადას. ამნისტია გავრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებმაც შესაბამისი დანაშაული ჩაიდინეს 2009 წლის 15 ოქტომბრამდე.

— რატომ შეეხება მაინცდამაინც იმ პირებს, ვინც დანაშაული ჩაიდინეს 15 ოქტომბრამდე და არა 25 ოქტომბრამდე ან 1 ნოემბრამდე? რა ლოგიკით ხდება ეს? — ასეთი კითხვა დასვა ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ გუშინ 3 კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა კი აღნიშნა, რომ პატიმრების დაახლოებით 40% სასჯელს იხდის 260-ე და 273-ე მუხლებით.

— ამნისტია არის ჰუმანური აქტი და ერთ ადამიანსაც კი რომ შეეხოს, კარგია, მაგრამ ეს არ არის ამ საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა. დეპუტატმა ერთობლივ სხდომაზე ოფიციალური და არაოფიციალური სტატისტიკაც მოიყვანა.

გიორგი ცაგარეიშვილის ინფორმაციით, ოფიციალური სტატისტიკით, დაახლოებით 50 ათასი ნარკომანია, ფარული სტატისტიკით კი ნახევარ მილიონამდე ნარკომანია. ამ ოფიციალურ და არაოფიციალურ სტატისტიკას დეპუტატი საგანგაშოს უწოდებს.

„ქრისტიან-დემოკრატების“ წევრის მაგდა ანიკაშვილის განცხადებით, კონკრეტული, მიზანმიმართული პოლიტიკა ნარკომანიის წინააღმდეგ არ არსებობს. ანიკაშვილს აინტერესებს, რას ემსახურება ამნისტიის ერთჯერადი აქტი და რას ეუბნებიან კანონმდებლები მათ, ვინც დღეს ციხეში არ არიან, მაგრამ შეიძლება მოხვდნენ.

— თუ ეს ადამიანები არიან დაავადებული, მაშინ ეს კანონპროექტი ამ საკითხს ვერ გადაწყვეტს. რა აზრი აქვს ამ ერთჯერადი აქტის მიღებას? — დაინტერესდა მაგდა ანიკაშვილი.

რაც შეეხება უმრავლესობის წევრებს, მათი ინფორმაციით, ამნისტია შეეხება 1500-დან 2 ათასამდე პატიმარს. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გია არსენიშვილმა განმარტა, რომ ამნისტია ჯამში 2 000 ადამიანს შეეხება, აქედან 598 მსჯავრდებულია, რომელიც უკვე იხდის სასჯელს მხოლოდ ამ მუხლებით, 307 პირის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი და მათაც შეეხება ამნისტია. დანარჩენი პირები კი არის ის კატეგორია, რომლებიც სასჯელს იხდიან რამდენიმე მუხლით და მათ შორის არის ის მუხლები, რომელსაც ამნისტია შეეხება.

გუშინ საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ. „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურია სისხლის სამართლის კოდექსის კიდევ ერთი მუხლის ამნისტირებას ითხოვს.

ბაღათურიას თქმით, ამნისტია უნდა შეეხოს 276-ე მუხლსაც, რომელიც სასჯელს გაუფრთხილებლობით სატრანსპორტო ავარიისთვის ითვალისწინებს. ბაღათურიას აზრით, ამნისტია უნდა შეეხოს 260-ე მუხლის მეორე ნაწილსაც, 273-ე მუხლით მსჯავრდებულები კი საერთოდ უნდა გათავისუფლდნენ.

ბაღათურია იმედოვნებს, რომ ამ გადაწყვეტილებას პარლამენტი მიიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პარლამენტში თანამოაზრეების შეკრებასა და პრეზიდენტისთვის ამნისტიის გაფართოების მიზნით პეტიციით მიმართვას აპირებს.

კიდევ ერთი წინადადება, რომელიც ოპოზიციონერი დეპუტატების ნაწილს გაუჩნდა, შეეხება „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტზე ალტერნატიული წინადადების მომზადებას.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ის საპარლამენტო უმცირესობას ალტერნატიული ვარიანტის მომზადებას სთავაზობს.

ცაგარეიშვილის აზრით, ამნისტია უნდა შეეხოს არა მხოლოდ 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებულ პირებს, არამედ ამავე მუხლის მეორე ნაწილით გასამართლებულებს.

— ამნისტია უნდა შეეხოს 260-ე მუხლის მეორე ნაწილით გასამართლებულ იმ კატეგორიის პატიმრებს, რომლებიც სასჯელს მსუბუქი ნარკოტიკის, კერძოდ, სუბოტექსის მოხმარების გამო იხდიან, — ამბობს ცაგარეიშვილი და ოპოზიციონერ დეპუტატებს ალტერნატიული პროექტის მომზადებას სთავაზობს.

უმრავლესობის წევრები კი აცხადებენ, რომ ამნისტია ამ ეტაპზე სხვა მუხლებს არ შეეხება. უმრავლესობის წევრების განმარტებით, ამნისტია ვრცელდება იმ სახის დანაშაულებში მსჯავრდებულ პირებზე, რომლებიც მათი ქმედების გამო ნაკლებად საშიშნი არიან საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთოებისათვის. „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტს პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს.

# საქართველოში არ არის ოპოზიცია

## მოსკოვში ქართველი პოლიტიკოსების ვიზიტს ირონიულად უყურებენ

დასაწყისი მე-6 გვერდზე

საქართველო აყვავებული და ერთიანი სახელმწიფო იქნებოდა და არა ამერიკული ჩექმის ქვეშ მყოფი არშემდგარი ქვეყანა. დიდი სიბრიყვეა, როცა ქართველებს კრემლის მონებად ასაღებენ? რუსეთში ცხოვრობს უმაღლესი ქართული ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, მთელი მსოფლიოა აღფრთოვანებული კრემლის ისეთი „მონებით“, როგორებიცაა ლეო ბოკერია, გიორგი დანელია, ზურაბ წერეთელი, ზურაბ სოტკილავა, კასრაშვილი, იაშვილი, ბასილაშვილი, ხუციევი, გვერდწითელი, მელაძე, სიხარულიძე, მამიაშვილი და ბევრი სხვა, შეიძლება, რომ ასეთი დიასპორა ვინმეს მონა იყოს? ეს მხოლოდ მონას შეუძლია მოიფიქროს. ან სად ნახეთ რუსეთში ქართველი, რომელიც ამართლებს ან ცნობს ოკუპაციას? ის სააკაშვილი კი მართლაა ამერიკის მარიონეტი, რომელიც ყლაპავს ქართველ ერს და სახელმწიფოს, აჩაღებს სამოქალაქო და ძმათამკვლელ ომს. რას იზამდა საქართველო ამ ვითარებაში რუსეთის პოტენციალი რომ ჰქონოდა? ბევრი ქართველი მიხვდება ამას. რატომ გვიკვირს, რომ აგრესორი უნდა დაისაჯოს? ჰუსეინი და მილოშევიჩი ხომ დასაჯეს? მიშიკომ, რომელმაც დაღუპა ასობით ქართველი, ოსი და რუსი სამშვიდობო არ უნდა დაისაჯოს? ის დამნაშავე და ნაძირალაა. რატომ ვფიქრობთ, რომ რუსეთს არ აქვს მისი ინტერესები, რომელთა გამო მივიღეთ ეს სიტუაცია? უნდა ვაღიაროთ ქართველებმა, რომ ავირჩიეთ ავადმყოფი და შემოგზავნილი პრეზიდენტი, რომ შევცდით ნაციონალიზმის გზის არჩევისას, შევცდით, რომ ორიენტაცია ავიღეთ ჩვენი მენტალობისთვის უცხო ამერიკაზე, უფლება მივეცით, ომი დაეწყო ჩვენს ძმებ ოსებთან. საქართველოს მაგივრად მის პრობლემებს არავინ გადაწყვეტს, ჯერ კიდევ არის შანსი, უნდა დავსვათ კითხვები და მათზე ვუპასუხოთ. ამის შედეგ გაჩნდებ ნდობა ჩვენ მიმართ და შეგვეძლება მოლაპარაკებაც და ჩვენი ინტერესების ცივილიზებული დაცვაც, შევქმნით წინაპირობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და კულტურული ღირებულებების დაბრუნებისთვის. რუსეთში მცხოვრები არც ერთი ქართველისგან არ გამიგია, რომ ის შეეგუება საქართველოს ტერიტორიების დაკარგვასა და ურთიერთობის შეწყვეტას აფხაზ და ოს ძმებთან. ნუთუ ებრალიძე არ იბრძვის ტერიტორიული მთლიანობისთვის? ნუთუ ადამიანს, რომლის ფინანსები საქართველოს ბიუჯეტის ტოლია, შეიძლება კიდევ რამე უნდოდეს თავის ქვეყნის ერთობის, კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობის გარდა? მე მის გვერდში ვდგავარ და ვფიქრობ, ჩვენ თანამოაზრეებთან ერთად მივიყვანთ ამ საქმეს გამარჯვებამდე. სახალხო დიპლომატიითა და კავშირებით ყველაფერს ვაკეთებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ნორმალური ურთიერთობების აღდგენისთვის როგორც რუსეთის, ასევე ოსებისა და აფხაზების მიმართ, რომელთა კეთილი ნების გარეშე ეს პრობლემა არ მოგვარდება.

***— ბოლო დროს პატრიარქსა და საპატრიარქოსაც აბრალებენ რუსეთთან და ფსბ-თან კავშირებს.***

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სიბინძურე მინახავს, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ქართველთა ნაწილი ამ შეურაცხმყოფელ განცხადებებს გააკეთებდა ეკლესიისა და პატრიარქის მიმართ. ეს ბინძურები ბედავენ ხელყონ პატრიარქი, ადამიანი, რომელიც საქართველოს სინდისი და ნამუსია, კაცი, რომელზეც ამყარებს ქართველი ერი ქვეყნის გამთლიანების და აყვავების იმედს. ხელისუფლებამ ცინიკურად გაითამაშა ეს მისი მორჩილი თავისუფლების ინსტიტუტის საგველედან გამოსული ჩხრიალა თეა თუთბერიძის პირით, ეს ყველა ზღვარს სცილდება და შეურაცხყოფს მთელ ქართველ ერს, იმ წმინდას, რომლითაც ცოტა ხნის წინ ასე ამაყობდა საქართველო. რუსეთის ქართული დიასპორა შეძრწუნებული და შეურაცხყოფილია პატრიარქის წინაშე წაყენებული ბრალდებებით. ამ ადამიანმა შეინარჩუნა საქართველოს ეკლესიური ტერიტორიული მთლიანობა და კავშირი რუსულ ეკლესიასთან. ხელისუფლებას არ უნდა ეპატიოს პატრიარქის წინააღმდეგ დაწყებული სიბინძურე, მათი შთამომავლობა თავზე ნაცარს უნდა იყრიდეს და მარადიული სირცხვილით ცხოვრობდეს. ამ ქმედების მიზეზი სააკაშვილის შიში და შურია. მისმა გუნდმა იცის, რომ პატრიარქის არათუ მოთხოვნა, უბრალო თხოვნაც სააკაშვილის გადადგომაზე რამდენიმე საათში ალგვის სააკაშვილს ტახტიდან. პატრიარქის ერთი სიტყვა უფრო ძლიერია, ვიდრე ეს ბუტაფორიული ოპოზიცია, ერთად აღებული. პატრიარქის დახმარებით რუსეთი შემოტრიალდება საქართველოსკენ და ხელს შეუწყობს აფხაზებთან და ოსებთან პოზიციების დაახლოებაში. სააკაშვილის ამბიციები ვერ იტანს, როცა ხედავს, თუ რა პატივით ექცევიან პატრიარქს რუსეთში, პრეზიდენტი, პრემიერი და რუსეთის პატრიარქი, მაშინ, როცა მიშიკოს თვლიან დამნაშავედ.

***— როგორ ნაწილდება ქართული დიასპორის სიმპათიები საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ ძალთა მიმართ?***

— ქართული დიასპორა რუსეთში კარგად ცხოვრობს და ვითარდება, ერთადერთი საზრუნავი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა და ქართველების გაჭირვებაა. მიშიკოს შეგიძლიათ გადასცეთ, რომ მის პრიმიტიულ, ბინძურ პიარზე იმუნიტეტი გამოგვიმუშავდა. ქართლი დიასპორის 99.9% ვერ იტანს მიშას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი (მათ შორის მეც) ამართლებენ რუსეთის ქმედებას. მე ვერასდოს ვერ შევეგუები საქართველოს ტერიტორიების დაკარგვას, დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობას, სატრანსპორტო მიმოსვლის შეწყვეტას, სავიზო რეჟიმის გამკაცრებას, საქართველოს მოქალაქეებისთვის სამუშაო კვოტების არარსებობას, ამ ჩამონათვლის უსასრულო გაგრძელება შეიძლება. რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ძალებს, აქ დიასპორას შეხედულებები ჭრელია, თუმცა, ყველა ხედავს, რას წარმოადგენს თითქმის ასი მიზერული პარტია, ბოლო პერიოდმა აჩვენა, რომ საქართველოში არ არის ოპოზიცია, არიან მხოდ ლიდერები, რომლებსაც სურთ მიშიკოს შეცვლა და არწმუნებენ ამერიკას, რომ უკეთესად შეძლებენ მსახურობას, მათ არ სურთ იმ სისტემის შეცვლა, რომელმაც დაღუპა საქართველო, მათი ძირითადი მასა მიშიკოს ყოფილი თანამებრძოლები არიან, ისინი აბრიყვებენ ხალხს, არ შუძლიათ რამის შეცვლა და მხოლოდ საგარეო დახმარებების იმედზე არიან. თუ ვსაუბრობთ რეალურ ლიდერზე, ასეთად ჩანს მხოლოდ საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი, მსხვილი ბიზნესმენი ალექსანდრე ებრალიძე. ეს მოქმედებს და იმოქმედებს მხოლოდ კონსიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებში, პრეზიდენტობა მისთვის თვითმიზანი კი არა, ინსტრუმენტია ქვეყნის და მასში მცხოვრები ხალხის ინტერესების გასატარებლად. არაა გამორიცხული, რომ დრო სხვა ლიდერებსაც გამოაჩენს.

# შარშანდელმა ომმა ორი ათწლეულით უკან დაგვაბრუნა

შორენა გონგლაძე

**კონფლიქტების მოგვარება პირველ რიგში რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას გულისხმობს, ასე მიაჩნია ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში გულბაათ რცხილაძეს, თუმცა დღევანდელი ხელისუფლების პირობებში რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება წარმოუდგენლად მიაჩნია. ამ და სხვა საკითხებზე გულბაათ რცხილაძე „ახალ თაობასთან" საუბრობს.**

***— ბატონო გულბაათ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის მიერ მოსალოდნელ პროვოკაციებზე საუბრობს და აცხადებს, რომ საქართველოს შესაბამისი ორგანოების მიერ მიმდინარეობს ყველა იმ გადაადგილების და მოქმედების შესწავლა, რასაც რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში ახორციელებს. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს საფრთხე?***

— საქართველოს „შესაბამისი ორგანოების“ მიერ რუსეთის მოქმედებების „შესწავლა“ ერთხელ უკვე ძალიან ძვირად დაგვიჯდა. „ანალიტიკოსებმა“ ვერ გათვალეს ელემენტარულად გასათვლელი რუსეთის რეაქცია ცხინვალში თბილისის მიერ შეიარაღებული ძალების შეყვანის შემთხვევაში და საქართველო რუსეთთან ომში ჩაბეს გასული წლის აგვისტოში. უფრო ადრე კი რუსებმა დააკავეს ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე მოქმედი ქართული აგენტურა, მათ შორის ერთი საქართველოს მოქალაქე, უშიშროების მაღალჩინოსანი გიორგი ხერკელაძე, რომელსაც ახლახან სერიოზული ვადით სასჯელი შეუფარდეს... ამიტომ, ყველასათვის აჯობებდა, „ორგანოები“ რუსეთს შეეშვან და ცოტა მოდუნდნენ, კიდევ რამე უბედურებას არ გადაგვყარონ.რუსეთიდან კი საფრთხე იმ შემთხვევაში გველის, თუკი ჩვენ თავად ვეცდებით მის გამოწვევას და მისთვის პრობლემების შექმნას ჩრდილოეთ კავკასიაში. ძალიან ცუდი ინფორმაციაა, რომ ისედაც უკანონოდ არსებული ტელეკომპანია „ალანიის“ ბაზაზე რაღაც პროპაგანდისტული არხის შექმნა (სახელწოდებით „პერვი კავკაზსკი კანალ“) იგეგმება, რომელიც საქართველოდან გავრცელდება ჩრდილოეთ კავკასიაში და ამ ტელეარხის ფუნქციონირებაში მონაწილეობას სხვებთან ერთად მიიღებს ჯოხარ დუდაევის ქვრივი ალა დუდაევა. იმედია, ამ სისულელეს ბოლო მომენტში გადაიფიქრებს საქართველოს ხელისუფლება და არ დაუშვებს, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ამასწინანდელი ბრალდებები პანკისის ხეობაში ტერორისტების მომზადებასთან დაკავშირებით უფრო წონადი გახადოს. შეგახსენებთ, რომ რუსეთის თავდაცვის ახალ დოქტრინაში პრევენციული სამხედრო მოქმედებები რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ — დასაშვებია. მთავარი სამიზნე ისევ ანტირუსულად განწყობილი საქართველო იქნება.



***— რამდენიმე ხნის წინ ბაზალეთზე გაიმართა შეხვედრა რეინტეგრაციის სამინისტროს ინიციატივით, რომელიც კონფლიქტების მოგვარების ახალ სტრატეგიას შეეხო, თვლით თუ არა, რომ ეს არის ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი, შეცვალოს რუსეთთან მიმართებაში აღებული პოლიტიკური კურსი?***

— მართალი გითხრათ, ამ უფუნქციო სამინისტროს მიერ გამოვლენილი ინიციატივები არ მაინტერესებს, ეს არის მკვდრად შობილი სამინისტრო, რომელმაც თავი მოიჭრა საომარი რიტორიკით და კიდევ რაღაც ინიციატივებზე ლაპარაკობს ყოველივე იმის მერე, რაც მოხდა. რომელ რეინტეგრაციაზეა საუბარი, ველარ უნდა გავიგოთ, რომ შარშანდელმა ომმა ორი ათწლეულით უკან დაგვაბრუნა და კონფლიქტური რეგიონების დაშოშმინებისა და საქართველოსკენ შემობრუნების შანსი მწარედ დაგვაკარგინა ძალიან დიდი ხნის მანძილზე. რა თქმა უნდა, ბაზალეთის შეხვედრა არ მოასწავებს ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯს, შეცვალოს რუსეთთან მიმართებით აღებული პოლიტიკური კურსი, ვინაიდან სხვა არანაირი ინფორმაცია არ არსებობს ამის სავარაუდებლად. პირიქით, გრძელდება ანტირუსული ისტერიის გაღვივების მცდელობა ხელისუფლების მხრიდან, ყოველი ახალი დღე საქართველოს ხელისუფლებაში მას-მედიის წინაშე გაკეთებული რუსეთის სალანძღავი განცხადებებით იწყება და მთავრდება. მე, უბრალოდ, იმ კოლეგა-ექსპერტების გამკვირვებია, ვინც ამისთანა შეხვედრებზე მიდის და შემდეგ სახის ჭკვიანური გამომეტყველებით კმაყოფილებასაც გამოთქვამს.

***— როგორია თქვენი ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით, რა არის იმისათვის საჭირო, რომ რეალურად დაიწყოს კონფლიქტების მოგვარება, როგორ გესახებათ ის პირველი ნაბიჯები, რომელიც საჭიროა გადაიდგას ამ მიმართულებით?***

— გვინდა-არ გვინდა, ეს გზა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებაზე გადის. ვერავითარ პირველ ნაბიჯებზე ვერ ვისაუბრებ, რადგან დღევანდელი ხელისუფლების პირობებში წარმოუდგენელია რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება. ამერიკელი ნეოკონსერვატორების თოჯინა დღევანდელმა „ვარდების“ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ყოველივე ქართულის დისკრედიტაცია მოეხდინა რუსეთში - ქართული ღვინით დაწყებული „ვალიკო მიზანდარით“ დამთავრებული, რომელიც ქართველი კაცის დადებითი სიმბოლო იყო რუსეთში...

***— არის მოსაზრება, რომ კონფლიქტების მოგვარება შეიძლება მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენით, თუმცა რუსეთის პირველი პირები აცხადებენ, რომ არ დაელაპარაკებიან სააკაშვილს, როგორ ფიქრობთ, რაშია რელურად პრობლემა, სააკაშვილში თუ საქართველოს მიერ აღებულ იმ კურსში, რომელიც რუსეთისთვის მიუღებელია?***

— ის, რომ კონფლიქტების მოგვარება რუსეთის გარეშე წარმოუდგენელია და ეს აქსიომაა, ზემოთ უკვე აღვნიშნე. ისიც ვთქვი, რომ ამ ხელისუფლების პირობებში რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაც წარმოუდგენელია. რუსეთის პირველი პირები მართლაც არ დაელაპარაკებიან ამ ხელისუფლებას. „ვარდრევოლუციონრები“ იხტიბარს არ იტეხენ და იქით უყენებენ პირობებს რუსეთს, თან ისე იბრიქებიან, თითქოს ომში ბრწყინვალე გამარჯვებისათვის მიეღწიოთ, ნაცვლად სრული კატასტროფისა. საქართველოში უნდა იყოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ცალსახად იტყვის უარს ნატოში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანებისკენ სწრაფვაზე. ეს უნდა გახდეს ყველაფრის დასაწყისი. უკვე ათი წელიწადია, ნეიტრალიტეტის იდეას ვქადაგებ. ეს რუსეთსაც აწყობს და ჩვენი ხალხის ინტერესებშიცაა. ნატო იყო სატყუარა, რომლის საშუალებითაც მესამე ძალამ ურთიერთობები აამღვრია ჩვენსა და რუსეთს შორის, საქართველოს ხელისუფლებამ კი - ჯერ კიდევ გვიანი შევარდნაძის ხანიდან მოყოლებული, ამ მესამე ძალის თამაში ითამაშა.

***— ქართული მხარე მზად არის ამერიკას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგებისთვის შესთავაზოს საქართველოს ტერიტორია თუ ეს მათი სურვილიც იქნება, რა საფრთხეს შეიცავს ეს ქვეყნისთვის?***

— იმავე და უარეს საფრთხესაც შეიცავს, რასაც ანტირუსული პროპაგანდისტური ტელეარხის შექმნა და პანკისში შესაძლო ანტირუსული ჩეჩნური „საყრდენი პუნქტის“ ჩამოყალიბება. მაგრამ ვვარაუდობ, რომ ამჯერად ამერიკა ველარ გასწვდება ამდენს და რუსეთის გამოწვევას ველარ გაბედავს კავკასიაში ასეთი აგრესიული ნაბიჯით, შესაბამისად, ეს კონკრეტული პრობლემა დღის წესრიგში არ დადგება.

***— ამ ეტაპისათვის ცნობილია სავარაუდო კანდიდატები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნებში დააყენებენ საკუთარ კანდიდატურას, ნინო ბურჯანაძე, ირაკლი ალასანია, ზურაბ ნოღაიდელი, შალვა ნათელაშვილი, ალექსანდრე ებრალიძე, ამ ადამიანებიდან, ვის აქვს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისათვის მეტი შანსი და***

გაგრძელება მე-8 გვერდზე


**2998 წლის 2§ ნოემბერს, 16 საათზე დანიშნულია ს.ს. „განთიადის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

2997-2998 წლების მუშაობის შედეგების განხილვა.

ს.ს. „განთიადის“ სამეთვალყურეო საბჭო




მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ <u>სწრაფი გადახდის აპარატები</u>

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# რატომ დატოვა დავით ოქიტაშვილმა თანამდებობა?

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურულ ღონისძიებათა დეპარტამენტის უფროსი დავით ოქიტაშვილი თანამდებობიდან გადადგა. განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ მან საკუთარი სურვილით დაწერა. თუმცა არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ იგი იძულებული გახდა თანამდებობა თბილისში „რივერდანსის" წარუმატებელი კონცერტის გამო დაეტოვებინა. თუმცა, როგორც თავად დათო ოქიტაშვილი აცხადებს:**

— არანაირ „რივერდანსის" კონცერტს ეს გადაწყვეტილება არ უკავშირდება. დიდი ხანია ამ თანამდებობიდან წასვლა მინდოდა. ის, რომ ამ კონცერტის გამო დავტოვე თანამდებობა, არის სიცრუე. უბრალოდ დაემთხვა, თორემ ჯერ კიდევ 23 აგვისტოდან ვაპირებდი ამ ნაბიჯის გადადგმას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობას ვწყვეტ. რამდენიმე პროექტს ჩვენ ისევ ერთად განვახორციელებთ, ვარსკვლავების გახსნის ცერემონია იქნება ეს თუ სხვა მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებები.

***— რატომ აღარ გინდათ თანამდებობაზე მუშაობა?***

— იმიტომ, რომ მივიღე გადაწყვეტილება, ჩამოვაყალიბო საკუთარი საპროდიუსერო კომპანია, რომელიც იქნება დამოუკიდებელი და საქართველოში ჩამოვიყვანო ისეთი ცნობილი ვარსკვლავები და მსოფლიო დონის ხელოვანები, რომლებიც ჩვენი საზოგადოებისთვის ნამდვილად დიდი სიამოვნება იქნება.

***— კულტურის სამინისტროში***



***არ გქონდათ უფლება ასეთი ვარსკვლავები საქართველოში მოგეწვიათ?***

— იცით რაა? თანამდებობა და სამინისტრო არ მაძლევდა იმის საშუალებას, რომ განმეხორციელებინა ისეთი ღონისძიებები, როგორიც თავად მსურდა. ახლა თავისუფალი ვარ და მექნება შესაძლებლობა მოვიწვიო საქართველოში ის ადამიანები, ვინც მინდა, რომ ქართველმა საზოგადოებამ ნახოს. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ სამსახურის დატოვება მიწევს, მაგრამ კერძო საქმიანობას და საჯარო სამსახურს ერთმანეთს ვერ შევუთავსებდი. ჩემს საპროდიუსერო კომპანიას ექნება საკუთარი სტუდია, ფესტივალები, ორგანიზებას გაუწევს როგორც უცხოელი ვარსკვლავების ჩამოყვანას, ისე ქართველების საზღვარგარეთ გაყვანას.

***— მართალია, რომ სტინგისა და ვანესა მეის ჩამოყვანას აპირებთ საქართველოში?***

— ძალიან ბევრი კარგი ხელოვანის ჩამოყვანა მინდა საქართველოში. რაც შეეხება სტინგს და ვანესა მეის, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და თუკი ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და გაფორმდა ხელშეკრულება, მხოლოდ ამის შემდეგ მექნება უფლება მათ კონცერტებზე ხმამაღლა განვაცხადო. წინასწარ კი არაფრის თქმა არ მიყვარს.

***— როდიდან დაიწყებს ფუნქციონირებას თქვენი საპროდიუსერო კომპანია?***

— ძალიან მალე. ამ თვის ბოლოდან ჩვენ უკვე მოვახდენთ ჩვენი კომპანიის პრეზენტაციას. დადგა დრო მაქსიმალურად გამოვიყენო ის კონტაქტები და ავტორიტეტი, რომელიც მაქვს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ამას კი მხოლოდ იმ ორგანიზაციის მეშვეობით მოვახერხებ, რომლის დაარსებაც გადავწყვიტე.

***— პირველი კონცერტი უკვე დაგეგმილი გაქვთ?***

— რა თქმა უნდა. ჩვენი საპროდიუსერო კომპანიის პირველი ღონისძიება 25 და 26 ნოემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. ეს იქნება სუხიშვილების ორდღიანი კონცერტი.

გავრცელებული ინფორმაციით, დავით ოქიტაშვილს ამ თანამდებობაზე მისი მოადგილე, მომღერალი ნინა წკრიალაშვილი შეცვლის.

# ოპერისა და ბალეტის თეატრში სარაჯიშვილის 130 წლის იუბილე აღნიშნეს

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დიდი ქართველი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გალა-კონცერტი გაიმართა.

ქართველი მომღერალი, ლირიკულ-დრამატული ტენორი, საქართველოს სახალხო არტისტი ვანო სარაჯიშვილი თავისი უნიკალური ხმის წყალობით არაერთი თაობის მსმენელს აღაფრთოვანებდა. იგი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა, სადაც მღეროდა მოსწავლეთა გუნდში. მოგვიანებით კი თბილისის სამუსიკო სასწავლებლის ჩელოს კლასში შევიდა. წლების განმავლობაში იგი ქართული ხალხური გუნდის (ხელმძღვანელი სანდრო კავსაძე) მომღერალი-სოლისტი იყო.

ვანო სარაჯიშვილი პეტერბურგში გაემგზავრა და სიმღერას სწავლობდა ჯერ ი. პრიანიშკინოვთან, შემდეგ კი ა.პანაევა-კარცევასთან. პეტერბურგში მისი დებიუტი 1907 წელს შედგა ჯუზეპე ვერდის ოპერა „ტრავიატაში". პარალელურად, ქართველი ხელოვანი იტალიაში კასტელანოს ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ბელკანტოს ხელოვნებას და იტალიის სხვადასხვა ქალაქში გამოდიოდა. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ კი მან მუშაობა იტალიურ დასში განაგრძო.

1908 წლიდან სარაჯიშვილი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ის გამოდიოდა თბილისის საოპერო სცენაზე, სადაც მღეროდა ევროპელი და რუსი კომპოზიტორების ოპერებში, ასევე ასრულებდა ქართველი კომპოზიტორების რომანსებს. 1923 წლის 28 მაისს მან მონაწილეობა მიიღო ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის" ახლად შექმნილი ფრაგმენტების შესრულებაში.

1910-1920 წლები ვანო სარაჯიშვილის შემოქმედების აყვავების ხანა იყო. ის მონაწილეობდა ზაქარია ფალიაშვილის ოპერების დადგმებში, მღეროდა აბესალომისა და მალხაზის პარტიებს. ცნობილია, რომ მალხაზის არია „თავო ჩემო" ფალიაშვილმა დაწერა და ოპერაში სწორედ ვანო სარაჯიშვილის თხოვნით შეიტანა.

ვანო სარაჯიშვილი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ის უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, ხალხი მას სიყვარულით „საქართველოს ბულბულსაც" ეძახდა. მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იგი სისტემატურად მართავდა კონცერტებს. მისი რეპერტუარი ძალიან მრავალფეროვანი იყო. ის თანაბარი ოსტატობით ასრულებდა ქართველი და რუსი კომპოზიტორების რომანსებს, ქართულ ხალხურსა და ნეაპოლურ სიმღერებს.

ვანო სარაჯიშვილი ქართული პროფესიული ვოკალის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. ასეთი პოპულარობა მას ულამაზესმა ხმამ, დახვეწილმა ვოკალურმა ოსტატობამ და ნათელმა სცენურმა ნიჭმა მოუტანა. იგი გადაღებულია კინოფილმ „მამის მკვლელში", შემორჩენილია რამდენიმე გრამფირფიტა მისი ხმით, თუმცა ჩანაწერები არასრულყოფილია. ვანო სარაჯიშვილის სახელი 1947 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას მიენიჭა. იგი თბილისის ოპერის თეატრის ბაღში დაკრძალეს.

ვანო სარაჯიშვილის 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობა მიიღო თეატრის გუნდმა, ორკესტრმა და ოპერის სოლისტებმა ირინე ალექსიძემ, მაყვალა ასპანიძემ, ელდარ გეწაძემ, სულხან გველესიანმა, თეიმურაზ გუგუშვილმა, არმაზ დარაშვილმა, ირინე თაბორიძემ, კახაბერ თეთვაძემ, ლიანა კალმახელიძემ, ირაკლი კახიძემ, ნიკოლოზ ლაგვილავამ, გიორგი მახარაძემ, ირინე რატიანმა, ალექსანდრე ხომერიკმა, ზვიად ხუხუამ. საღამოს რეჟისორი კი მაია გაჩეჩილაძე იყო.

# თბილისი ჩასაბერ საკრავთა ფესტივალს უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში „თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი" გაიხსნება.**

კულტურის სამინისტროს პრესცენტრის წარმომადგენელი ირინე ჩოგოშვილი განმარტავს:

— „თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი" საქართველოში პირველად ტარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი და ევროპელი მუსიკოსები. მოწვეულ მუსიკოსებს შორის იქნებიან უმაღლესი კლასის შემსრულებლები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ქართველი მსმენელის წინაშე პირველად წარდგებიან.

***— რა არის ამ ფესტივალის მიზანი?***

— ფესტივალის მიზანია საზოგადოებაში ჩასაბერ საკრავთა მიმართ ინტერესის გაზრდა და ამ სფეროში უკეთესი სკოლის ჩამოყალიბება, რადგანაც ჩასაბერ ინსტრუმენტზე შემსრულებელი მუსიკოსები ორკესტრის ერთ-ერთი წამყვანი ჯგუფია, რომელიც ორკესტრის დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს.

***— არსებობს კი საქართველოში ჩასაბერ ინსტრუმენტებზე დაკვრის ტრადიცია?***

— სამწუხაროდ, არა. საქართველოში ფორტეპიანოსა და ვოკალის სკოლებისაგან განსხვავებით, ჩასაბერ ინსტრუმენტებზე დაკვრის არცთუ ისეთი დიდი ტრადიციაა. რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არსებობს, მაგრამ საერთო დონე არცთუ ისე მაღალია. სწორედ ამის გამო, ფესტივალის ორგანიზატორებმა (დამფუძნებელი და მთავარი ორგანიზატორი ლევან ცხადაძე), რომლებიც უცხოეთში სწავლობენ და მოღვაწეობენ, გადაწყვიტეს ყოველწლიურად მოიწვიონ მსოფლიოს წამყვანი მუსიკოსები და

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შარშანდელმა ომმა ორი ათწლეულით უკან დაგვაბრუნა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

***დაგვისაბუთეთ რატომ?***

— ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, რადგან 2013 წლამდე კიდევ ბევრი დროა. ზოგადად მე ვიტყოდი, რომ გამარჯვებისათვის მეტი შანსი იმ კანდიდატს ექნება, რომელიც საზოგადოებას კარდინალური ცვლილებების შეტანას შესთავაზებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსში. ამ მხრივ მეტი შანსი ალექსანდრე ებრალიძეს აქვს, ვინაიდან ის სხვა ამ პიროვნებებისგან განსხვავებით, სრულიად ახალი სახეა ქართულ პოლიტიკაში, მისი იდეები და მიდგომა საკითხებისადმი ნოვატორულია და ორიგინალური, განსხვავებით სხვა პოლიტიკოსებისაგან, იგი ჯერ არ დაპირებია ხალხს რაიმეს ისე, რომ სიტყვა გაეტეხოს. არჩევნებზე გადამწყვეტი იქნება რუსეთთან ურთიერთობების საკითხი, ვინაიდან ჩვენი საშინაო პრობლემებიც ეკონომიკა, სოციალური ყოფა და, რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რუსეთზეა დამოკიდებული. ხალხი იმ კანდიდატს დაუჭერს მხარს, ვინც უფრო დამაჯერებელი იქნება იმ თვალსაზრისით, რომ იგი მალე მოაგვარებს რუსეთთან ურთიერთობებს და გზას გაუხსნის ჩვენი პროდუქციის ექსპორტს ამ უზარმაზარ ბაზარზე (ამით წარმოებას მისცემს სტიმულს), სავიზო რეჟიმის გაუქმებას მიაღწევს (რუსეთის სამუშაო ბაზარიც გაიხსნება ჩვენი მოქალაქეებისთვის), საფუძველს ჩაუყრის რუსეთის მედიატორობით ქართულ-აფხაზურ-ოსური თანხმობის მიღწევას საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით... მე ვფიქრობ, რომ საამისო შანსი მხოლოდ ებრალიძეს აქვს, მას არასოდეს ულანძღავს რუსეთი დანარჩენთაგან განსხვავებით და გაცილებით მეტი ნდობა ექნება რუსეთის ხელისუფლების თვალში. ეს დიდი პლუსია. თუმცა არ ვიცი, როგორ მოგვარდება იურიდიული საკითხები, საერთოდ მისცემენ თუ არა მას საქართველოში ჩამოსვლის და მოღვაწეობის დაწყების საშუალებას. თავად ებრალიძე დარწმუნებულია, რომ შეძლებს ყოველივე ამას.

***— ალექსანდრე ებრალიძემ პოლიტფორუმზე დასმულ პასუხებში ახსენა ირაკლი ალასანია და ტროას ცხენად მოიხსენია, როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდა ბატონი ებრალიძე?***

— ვფიქრობ, რომ გულისხმობდა შემდეგს: არ შეიძლება, ცენტრალურ საკითხებში იმეორებდე სააკაშვილის პოლიტიკურ კურსს და თან სააკაშვილს უპირისპირდებოდე. მაგალითისათვის ისევ ნატო-ს საკითხი აიღეთ: ირაკლი ალასანია მეტი რუდუნებით აპირებს ჩვენს „ინტეგრირებას" ამ ორგანიზაციაში, ვიდრე დღევანდელი ხელისუფლება. განსხვავება ის იქნება, რომ თუკი სააკაშვილი ხასიათით ქოლერიკია და ყვირის, რაღაც უცნაურ ხმებს გამოსცემს, აქტიურ ჟესტიკულაციას მიმართავს და მისთ., ალასანია ამას ყველაფერს ფლეგმატურად, მაგრამ შინაარსს რაც შეეხება, უფრო მიზანმიმართულად განახორციელებს. თუმცა ეს ჩემი ვარაუდია, უფრო უკეთ ამაზე ალბათ თავად ბატონი ალექსანდრე გიპასუხებდათ.


შპს „კედარი 2999"-ის დირექტორი იწვევს საზოგადოების პარტნიორთა რიგგარეშე კრებას.

**დღის წესრიგი:**

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდა.

კრება ჩატარდება ქ. თბილისში, მეველის შესახვევი №2; 12 ნოემბერს, 14 საათზე.


## განცხადებები


● ექიმი-გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებსა და ბუასილს. ორსულთა აღრიცხვაზე აყვანა და კონსულტაცია უფასოა. ტელ: 999-533.

● პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით და წურბელებით, მალამოებით უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, რადიკულიტს, თმის ცვენას, ბუასილს ოპერაციის გარეშე, განგრენის საწყის ფორმას, წითელ ქარს, ტროპიკულ წყლულს, დაწყლულებულ ფეხებს, ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, პიგმენტურ ლაქებს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ცხიმგროვას თვალებზე, ჰეპატიტს A,B,C. საერთო მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია. ტელ: 893-39-04-87; 96-38-27. აღმაშენებლის 93.

● გახდომა თვეში 10-15 კგ, გასუქება თვეში 5 კგ-ით, სიმაღლეში ზრდა თვეში 3-5 სმ. ტელ: 34-02-38; 893-12-77-09 ნონა.

● მხოლოდ მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული პროდუქციით ვმკურნალობთ: ნევროზს, უძილობას და გულსისხლძარღვთა დაავადებებს. ტელ: 898-201-101 იკითხეთ ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყავით ტანადნი და ჯანმრთელნი! წონაში სწრაფად კლება და მომატება, ჭარბთმიანობა, თმის ცვენა, ორგანიზმის გაწმენდა უნიკალური მცენარეული საშუალებებით, ოპერაციის გარეშე საკვერცხის კისტის, მიომას, ჩიყვის, კუჭის წყლულის, ბუასილის მკურნალობა 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 34-02-38; 855 49-50-38 ნინო.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● მამაკაცებისთვის!იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 57-66-90 (საღამოს); 899-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871 33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გათავისუფლება, ორგანიზმისა და ღვიძლის გაწმენდით, დამოკიდებულების მოხსნა, ასევე იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შეკავება-შეუკავებლობა, ტკივილი და წვა შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-96-89-15 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 2-დან 25 წლამდე თვეში 3-4 სმ. მცენარეული პრეპარატებით. საუკეთესო შედეგებით. ტელ: 858-46-36-74; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ვმკურნალობ მამაკაცურ პრობლემებს, იმპოტენციას, პროსტატის ადენომას, შარდის შეკავება-შეუკავებლობას მცენარეული პრეპარატებით ხელმისაწვდომ ფასად. საუკეთესო შედეგებით. ტელ: 899-53-68-18, 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბიფე-სის" სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.



# დვალიშვილმა ბუფონს ჯადო ვერ ახსნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ქულა გაუხდათ. მართალია, მათი გადასწრება „იუვენტუსს“, ხოლო დაწევა „ბაიერნს“ შეუძლია, მაგრამ გერმანელებთან ორივე მატჩი მოგებული აქვთ და ურთიერთშეხვედრების წყალობით უკვე მშვიდად არიან. „ბაიერნთან“ სტუმრად მოგებულ მატჩში ანგარიში 37-ე წუთზე იოან გურკუფმა გახსნა, ხოლო ბოლო წუთზე ყველაფერს წერტილი შამახმა დაუსვა.

„ბ“ ჯგუფში ვადამდე მოიპოვა პლეი-ოფში თამაში „მანჩესტერ იუნაიტედმაც“. მართალია, ცსკასთან ფრედ ნათამაშები (3:3) მატჩი უფრო სენსაციის სუნს ტოვებდა, მაგრამ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელით დასუსტებულმა მანჩესტერელებმა თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულეს. არადა, ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ რუს არმიელებს ინგლისიდან 3 ქულა უნდა წამოეღოთ. ცსკა ჯერ ალან ძაგოევის გოლით დაწინაურდა, რომელიც მალევე გაქვითა მაიკლ ოუენმა, თუმცა მილოშ კრასიჩისა და ვასილი ბერეზუცკის გოლებით რუსები 84-ე წუთამდე ისევ იგებდნენ. ამის შემდეგ კი მათთვის ყველაფერი თავდაყირა დადგა — ჯერ პოლ სქოულზმა, ხოლო ბოლო წუთზე ანტონიო ვალენსიამ გუნდს ის ფრე მოუტანეს, რომელმაც ცსკსთან ურთიერთშეხვედრების ხარჯზე პლეი-ოფში გაიყვანა.

ჯგუფის მეორე მატჩში მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა „ვოლფსბურგმა“. გერმანელებმა სტუმრად ზვეზდან მისიმოვიჩის, გენტნერისა და ედინ ჯეკოს გოლებით 3:0 მოუგეს „ბეშიქთაშს“ და 7 ქულა გაუხდათ. საპლეიოფო ბრძოლაში მათი კონკურენტი ცსკაა, რომელსაც 4 ქულა აქვს და გერმანელებთან შინ სათამაშო.

„ც“ ჯგუფი ერთადერთი აღმოჩნდა სამშაბათ დღეს, სადაც ყველაფერი ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული. დღის უმთავრესი მატჩიც ამ ჯგუფში გაიმართა — „მილანმა“ შინ „რეალს“ უმასპინძლა.

თამაში მადრიდელთა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მასპინძლები იტალიურ სტილში მშვიდად თამაშობდნენ და თავიანთ შანსს კონტრშეტევებში ეძებდნენ. ძალიან სურდა გოლის გატანა მილანში „დაბრუნებულ“ კაკას, რომელიც ხშირად ემუქრებოდა მეტოქის კარს. მისმა ერთ-ერთმა დარტყმამ შედეგიც გამოიღო — 29-ე წუთზე კაკას დარტყმული მცველმა აისხლიტა, მაგრამ დიდამ რეაგირება მაინც მოასწრო, თუმცა ბურთთან პირველი ქარიმ ბენზემა გაჩნდა და ანგარიში გახსნა. ზუსტად 6 წუთში მილანელი ჯანლუკა ძამბროტა მეტოქის საჯარიმოში შევიდა და პეპეს ცრუ მოძრაობით მოტყუება განიზრახა, რაც სანახევროდ გამოუვიდა — მეტოქის ფანდზე წამოგებულმა მადრიდელმა ფეხბურთელმა ხელით შეაჩერა ბურთი საჯარიმოში და მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. 11 მეტრიდან რონალდინიომ აუღებელი დაარტყა და დარჩენილი დიდი დროის მიუხედავად საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 1:1.

ფრედ ნათამაშები მატჩის შედეგად ორივე გუნდს 7-7 ქულა მოუგროვდათ, მაგრამ მათ უკვე საკმაოდ მიუახლოვდა „მარსელი“. ფრანგებმა საშინაო მატჩში პირდაპირ გაანადგურეს „ციურიხი“ — 6:1. მარსელელებმა მეტოქის რბევა მე-3 წუთიდან დაიწყეს, როდესაც ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა ეგერტერმა. უკვე მე-10 წუთზე აბრელის გოლით მასპინძლები 2:0 დაწინაურდნენ, რასაც პირველივე ტაიმში ალფონსის საპასუხო გოლი მოჰყვა. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში მამადუ ნიანგმა და მისმა თანაგუნდელებმა — ჰილტონმა, შეირუმ და ბრანდაომ ბოდიშების გარეშე ჩაყლაპეს მეტოქე.

„მარსელს“ 6 ქულა გაუხდა, თუმცა წინ მძიმე მატჩები დარჩა — შინ „რეალთან“ და სტუმრად „მილანთან“.

„დ“ ჯგუფში კი ყველაფერი გაირკვა — „ჩელსი“ და „პორტუ“ 2 ტურით ადრე მერვედფინალისტები გახდნენ. პორტუგალიელებმა სტუმრად ფალკაოს გვიანი გოლით დაამარცხეს კვიპროსული აპოელი და მადრიდული მატჩის შედეგს ელოდნენ, სადაც ყველაფერი მათ სასარგებლოდ ბოლო წუთებში გაირკვა.

აქამდე მოუგებელი და გოლგაუტანელი „ატლეტიკო“ 66-ე წუთზე სერხიო აგუეროს გატანილი გოლით იგებდა მატჩს, მაგრამ დიდიე დროგბამ მათი იმედები დაასამარა. კოტდივუარელმა ფეხბურთელმა 82-ე და 88-ე წუთებზე ორი ბურთი გაიტანა, რომელიც ბოლო წუთზე ისევ აგუერომ გაქვითა, მაგრამ „ატლეტიკოსთვის“ ამ გოლს დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

**პირველი დღის სიმბოლური ნაკრები კი ასე გამოიყურება: დიდა (მილანი); ბრუნუ ალვეში (პორტუ), ვიტორიო ილტონი (მარსელი), ჯანლუკა ძამბროტა (მილანი); ჟერალდო ვენდელი (ბორდო), ბენუა შეირუ (მარსელი), დიეგო (იუვენტუსი), ზვეზდან მისიმოვიჩი (ვოლფსბურგი), ალან ძაგოევი (ცსკა); დიდიე დროგბა (ჩელსი), სერხიო აგუერო (ატლეტიკო).**

# ფაჩულიამ ქორებში ბრჭყალი გამოაჩინა

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში 3 არცთუ წარმატებული თამაშის შემდეგ ზაზა ფაჩულიამ რეაბილიტაცია მოახდინა და გუშინ დილით გამართულ მატჩში „პორტლენდთან“ კარგად ითამაშა.

ფაჩულიას „ატლანტამ“ სეზონი კარგად დაიწყო, სტარტზე 2 საშინაო მატჩი მოიგო და შემდეგ მხოლოდ გასული სეზონის ჩემპიონ „ლეიკერსთან“ სტუმრად წააგო. გუშინ დილით კი ასევე სტუმრად იმარჯვა — 97:91. ზაზა მოედანზე ბოლო დროს დაჩვეულ სათადარიგოთა სკამიდან შევიდა და სულ 14 წუთი დაჰყო, მაგრამ ამ დროის მანძილზე 12 ქულის, 3 მოხსნისა და 2 დაფარების გახერხება მოასწრო. დაფარება საერთოდ სუსტ წერტილად ითვლება ქართველი კალათბურთელისთვის და განსაკუთრებით სასიამოვნო ეს ფაქტია. ქულები კი, როგორც ყოველთვის, 2-ქულიანი და საჯარიმო სროლებით მოუტანა გუნდს — 6 სროლიდან 4-ჯერ უწია მიზანს, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან ოთხივე ზუსტად გამოიყენა.

კარგად ითამაშა მისმა მთავარმა კონკურენტმა ოლ ჰორფორდმა, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა — 11 ქულა, 13 მოხსნა, თუმცა ატლანტელთა რიგებში მათი სათადარიგო ჯამალ კროუფორდი იყო, რომლის მონაგარი 27 ქულა და 7 პასია.

გუშინდელი მატჩებიდან განსაკუთრებით გამოსარჩევი ჩემპიონ „ლეიკერსის“ მძიმე გამარჯვება „ოკლაჰომასთან“, რომლის დამარცხება მხოლოდ ოვერტაიმში მოახერხა. ლეიკერსელთა ლიდერი კობი ბრაიანტი 31 ქულას დასჯერდა, ბაინამმა და არტესტმა კი 22 და 20 ქულას მოუყარეს თავი.

ყველაზე საინტერესო მატჩი კი დალასში გაიმართა, სადაც მასპინძლებმა ბოლო მეოთხედში მოახერხეს „იუტას“ დამარცხება. დასკვნითი 12-წუთეულის წინ სტუმრები 15 ქულას იგებდნენ, მაგრამ დირკ ნოვიცკიმ და კამპანიამ შესანიშნავად ითამაშეს და მეოთხედი 44:18 მოიგეს, ხოლო მატჩი 96:85. ნობიცკიმ 40 ქულას 11 მოხსნა და 5 დაფარებაც მიაყოლა. დაფარებების მხრივ გამოირჩა ერიკ დამპიერიც, რომელმაც იგივე 6-ჯერ გააკეთა.

# პერ მერტეზაკერი: „ბუნდესნაკრებში ლიდერად ვითვლები“

გერმანიის ნაკრებისა და „ვერდერის“ 25 წლის ფეხბურთელი ძალიან პოპულარულია მის სამშობლოში. ბუნდესნაკრებმა მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში უკვე გაინაღდა, რომელიც მეორე იქნება ფეხბურთელისთვის. მერტეზაკერი პირველი მუნდიალით კმაყოფილი არ არის და არც ის აკმაყოფილებს, რომ მისი გუნდი მხოლოდ ევროპის ლიგაზე თამაშობს.

***— რამდენიმე ფეხბურთის სპეციალისტმა გერმანიის ნაკრების დაცვის ცენტრი გააკრიტიკა. თავისთავად ეს კრიტიკა თქვენც გეხებათ.***

— მე ვერ გეტყვით, რა აძლევთ ამის თქმის უფლებას კრიტიკოსებს, რადგან გუნდმა შესანიშნავად ჩაატარა შესარჩევი ეტაპი და ვფიქრობ, არ დაუმსახურებია. რაც შეეხება ჩემს თამაშს, მოხარული ვარ, რომ მწვრთნელი მენდობა და ძირითად შემადგენლობაში მათამაშებს.

***— შესაძლოა, გუნდის ფეხბურთელები კმაყოფილი იყოთ თქვენი თამაშით, მაგრამ ნაკლოვანებებს მაინც ხედავ და დაცვის ცენტრალური მცველის პოზიცია ისევ პრობლემატურია. პირადად თქვენ ვინ მიგაჩნიათ იდეალურ მეწყვილედ?***

— ჩემს ზონაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. მიმაჩნია, რომ ამ პოზიციაზე ბუნდესნაკრებს არაერთი შესანიშნავი ფეხბურთელი ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეწყვილე თითქმის ყველა მატჩში იცვლება.

***— მეკარის პოზიციაზეც ვისაუბროთ. იოაჰიმ ლიოვი უპირატესობას რენე ადლერს ანიჭებს, თუმცა თქვენი თანაგუნდელი ტიმ ვიზეც შესანიშნავ ფორმაშია. ხომ არ გსურთ კარში სწორედ ის იდგეს?***

— გერმანიას მუდამ კარგი მეკარეები ჰყავს როგორც ნაკრებში, ასევე „ვერდერში“. ვიზეს საქმეები ამ ეტაპზე კარგად მიდის და დაამტკიცა, რომ მაღალი დონის მეკარეა, თუმცა ვის ანდობს კარში ადგილს ლიოვი, ეს მისი გადასაწყვეტია.

***— გერმანიის ნაკრებში კიდევ ერთი საკამათო პოზიციაა. თქვენი აზრით, სად უნდა ითამაშოს ფილიპ ლამმა — მარჯვნივ თუ მარცხნივ?***

— ლამი უკვე წლების მანძილზეა ამტკიცებს, რომ მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა აქვს. მართალია, ის დიდი ხნის მანძილზე თამაშობდა მარცხენა ფლანგზე, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მარჯვნივ იმყოფება დაცვის დანარჩენი ფეხბურთელები თავს კომფორტულად ვგრძნობთ.

***— „ვერდერის“ გულშემატკივრებისთვის ძალიან აქტუალური გახდა კიდევ ერთი თქვენი თანაგუნდელის, ტორსტენ ფრინგსის ნაკრებში გამოძახება.***

— ძალიან სასიამოვნოა, რომ ნაკრებში „ვერდერის“ ფეხბურთელები საკმაოდ არიან გამოძახებული. ეს მიგვანიშნებს, რომ თავად კლუბიც საკმაოდ ძლიერია. იყო დრო, როდესაც ფრინგსი თავის პოზიციაზე საუკეთესო იყო, მაგრამ ამჟამად ლიოვი სხვა ფეხბურთელებს უფრო ენდობა. ჩემი მხრივ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ფრინგსის თამაში ძალიან მომწონს და ისევ ისეთ ფორმაშია, როგორც წლების წინ იყო.

***— ლიოვის ტაქტიკურ მონახაზსაც შევეხოთ — გუნდი ბოლო მატჩებში 4-2-3-1 სისტემით თამაშობს. მოგწონთ ლიოვის ასეთი საფეხბურთო ხედვა?***

— ჩემი აზრით, ეს მონახაზი ყველაზე მეტად რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ გვჭირდებოდა, როდესაც ამ შესარჩევი ციკლის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. ასეთ დროს მოედანზე უფრო კომპაქტურად ვართ ერთმანეთთან და მეტ თავდაჯერებას გვმატებს ფეხბურთელებს.



***— ამ სისტემას კარგად მოერგო მესუთ იოზილი, მაგრამ მთლიანობაში თუ აქვს ასეთ ტაქტიკურ მონახაზს მომავალი?***

— იოზილი ძალიან კარგად თამაშობს თავდამსხმელების უკან. მან ეს არაერთ მატჩში დაამტკიცა და ლიოვიც ტყუილად არ ენდობა მას. ჯერჯერობით, ტაქტიკა მისაღებია და რამ უნდა შეუშალოს სამომავლოდ ხელი, არ ვიცი.

***— გინდათ თქვათ, რომ იოზილი არის გამთამაშებელი, რომელსაც გერმანია უკვე წლების მანძილზეა ელოდება?***

— ასე ხმამაღლაც ნუ ვიტყვით. მესუთს აქვს ყველაფერი, რათა კარგად წარმოაჩინოს თავი ამ პოზიციაზე. ეს უფრო მის სწრაფ აზროვნებაზე და თამაშზეა დამოკიდებული, მაგრამ ბოლომდე გასახსნელად მას მოედანზე მეტი თავისუფლება სჭირდება და ამით მომავალშიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს. სადღეისოდ ეს აქვს და იმიტომაც არის ასეთი.

***— მისი დებიუტი ბუნდესნაკრებში თქვენსას ხომ არ გაგონებთ?***

— მსგავსება მხოლოდ ის არის, რომ ნაკრებში მეც ახალგაზრდა ასაკში მიმიწვიეს, მაგრამ იოზილისგან განსხვავებით მე მისი მსგავსი მხარდაჭერა არ მქონია — იურგენ კლინსმანს ჩემი ნაკრებში გამოძახების გამო ძალიან ხშირად და მძაფრად აკრიტიკებდნენ.

***— სამაგიეროდ, ახლა უკვე ვეტერანადაც ითვლებით და ნაკრებში 59 მატჩი გაქვთ ჩატარებული. გარდა ამისა, იმ ფეხბურთელების კატეგორიას მიეკუთვნებით, რომლებსაც გუნდის კაპიტან მიხაელ ბალაკთანაც კი შეუძლია შეკამათება.***

— თუ აზერბაიჯანის ნაკრებთან გამართულ შეხვედრის ეპიზოდს გულისხმობთ, მაშინ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ასეთი ფაქტები ფეხბურთში ხშირად ხდება.

***— კონკრეტულად თუ შეგიძლიათ გვითხრათ რა მოხდა?***

— კონკრეტული სათამაშო ეპიზოდი სხვადასხვა გვარად აღვიქვით, ეს იყო და ეს. შემდეგ ვისაუბრეთ და ყველაფერი მოგვარდა.

***— არის ნაკრებში იერარქიული საფეხურები? მაგალითად, პირამიდის სათავეში ბალაკი და შემდეგ დანარჩენები.***

— რა თქმა უნდა, თავში კაპიტანი იმყოფება, რომელიც უმაღლესი დონის უცხოურ კლუბში თამაშობს, შემდეგ კი სხვა დანარჩენები მოდიან.

***— მათ შორის თქვენც ითვლებით?***

— ფეხბურთში ცენტრალურმა მცველმა პასუხისმგებლობა აუცილებლად უნდა აიღოს. ნაკრებში უკვე 5 წელია ვთამაშობ და შემიძლია გუნდში ლიდერთა შორის ჩავთვალო ჩემი თავი.

***— ამას წინ განაცხადეთ, რომ ძალიან მოგწონთ „მანჩესტერის“ ცენტრალური მცველების თამაში, ახლაც იგივე აზრზე ხართ?***

— მართლაც ძალიან მომწონს ნემანია ვიდიჩი და რიო ფერდინანდი, ასევე ბარსელონელი კარლეს პუიოლი — მათ ჩემპიონთა ლიგაზე სტაბილური და მაღალ დონეზე თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ.

***— მათ მიმართ გამოხატული სიმპათია თქვენს მომავალზე ხომ არ იქონიებს გავლენას?***

— სიმართლე გითხრათ, „ვერდერთან“ ერთად ევროპის ლიგაზე თამაში არ მაკმაყოფილებს.

***— გინდათ თქვათ, რომ თუ „ვერდერი“ ჩემპიონთა ლიგაზე ვერ გავა, გუნდს დატოვებთ?***

— მინდა ყველა დასახული მიზანი „ვერდერთან“ ერთად შევასრულო. თავს ამჟამად კარგად ვგრძნობ და კლუბშიც ყველაფერი კარგად არის.

***— „ვერდერთან“ კონტრაქტი 2012 წელს გიმთავრდებათ, კლუბი კი ტრადიციულად ფეხბურთელებს მაშინ ყიდის, როდესაც კონტრაქტის გასვლამდე ერთი წელი რჩება. ანუ 2011 წლამდე, ფაქტობრივად, სხვა გუნდში გადასვლას ვერ შეძლებთ.***

— არც ვჩქარობ. ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული „ვერდერზეც“ — თუ გუნდმა ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრა მოახერხა, მიზანს მივაღწევთ, ამასთან კლუბი ეკონომიურადაც უფრო ძლიერი უნდა იყოს და შემოთავაზებებზე უარი უნდა თქვას.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| აპოელი-პორტუ | 0:1 |
| ატლეტიკო-ჩელსი | 2:2 |
| ბაიერნი-ბორდო | 0:2 |
| ბეშიქთაში-ვოლფსბურგი | 0:3 |
| მაკაბი-იუვენტუსი | 0:1 |
| მანჩესტერი-ცსკა | 3:3 |
| მარსელი-ციურიხი | 6:1 |
| მილანი-რეალი | 1:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| კპრ-კრ.პალასი | 1:1 |

**არგენტინა. პრიმერა**

| | |
|---|---|
| კოლონი-ურაკანი | 3:0 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-დენვერი | 93:111 |
| კლივლენდი-ვაშინგტონი | 102:90 |
| ფილადელფია-ბოსტონი | 74:105 |
| დეტროიტი-ორლანდო | 85:80 |
| მაიამი-ფინიქსი | 96:104 |
| ოკლაჰომა-ლეიკერსი | 98:101(ოტ) |
| ჩიკაგო-მილუოკი | 83:81 |
| დალასი-იუტა | 96:85 |
| პორტლენდი-ატლანტა | 91:97 |

*ზაზა ფაჩულიამ ატლანტელებს 12 ქულა შესძინა*

### ჩოგბურთი

**ბაზელი. ატპ. ტური**

| | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-ჩიუდინელი | 6:7;6:3;5:7 |
| ლუჩაკი-ჰენრიხი | 3:6;4:6 |
| კოროლიოვი-ბოლელი | 3:6;7:6;6:2 |
| ტროიცკი-ბეკერი | 6:2;7:6 |
| ჯოკოვიჩი-ბეკი | 6:3;7:5 |
| ბენეტო-ნიემინენი | 5:7;2:6 |
| კოელერერი-ლამერი | 6:3;2:6;5:7 |

**ვალენსია. ატპ. ტური**

| | |
|---|---|
| ფერერი-ალმაგრო | 7:5;6:7;6:2 |
| მაიერი-ანდრეევი | 6:3;6:3 |
| ფერერო-კუევასი | 6:2;6:7;3:6 |
| მიურეი-ხიმენო ტრავერი | 6:3;6:1 |
| რობრედო-როხუსი კ. | 6:0;5:7;6:3 |
| სიმონი-ბერდიხი | 6:4;4:6;6:3 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| დეტროიტი-ბოსტონი | 2:0 |
| მონრეალი-ატლანტა | 4:5 |
| ტორონტო-ტამპა ბეი | 1:2(ოტ) |
| ანაჰაიმი-პიტსბურგი | 3:4 |
| ვანკუვერი-რეინჯერსი | 4:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მიხაილ ბოიარსკიმ გულშემატკივრები დაიწუნა

საქვეყნოდ არის ცნობილი, რომ მომღერალი და მსახიობი მიხეილ ბოიარსკი სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ თავგადაკლული გულშემატკივარია. ბოიარსკი კი რუსულ მედიაში მკაცრად აკრიტიკებს საყვარელი გუნდის გულშემატკივართა ნაწილს, რომლებიც გუნდის საზიანოდ იქცევიან.

— ბოლო ტურის საგარეო მატჩში „მოსკვასთან“ ვოიაჟი ერთ-ერთი ყველაზე საწყენი დარჩება ჩემი ფეხბურთის გულშემატკივრობის პერიოდში. ჩვენი ტრიბუნა, სადაც განთავსებული იყვნენ ადამიანები, რომელთა მიმართ გულშემატკივართა დასაძახებლად ენა არ მომიბრუნდება, მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ „ბისტროვი — ღორი!“ სკანდირებდნენ. რადგან გულშემატკივრები საკუთარი გუნდის წინააღმდეგ ასე იქცევიან, აღარ ვაპირებ გუნდს საგარეო მატჩებზე გავყვე, რადგან არანაირი სურვილი არ მაქვს ტრიბუნებზე ამ ადამიანების გვერდით სანკტ-პეტერბურგი წარმოვაჩინო. ასე რომ, ეს ჩემს ბოლო ტურნედ უნდა ჩაითვალოს. ასეთ დროს გუნდიც ცუდ დღეშია. როგორ შეიძლება წარმატებით ითამაშო, როდესაც შენიანიც კი შენს საწინააღმდეგოდ განწყობილი ზის ტრიბუნაზე. მინდა ჩემი საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს ვუთხრა, რომ იმ დღეს მეც სტადიონზე ვიყავი, მაგრამ იმ ვაი-გულშემატკივრებში ნამდვილად არ ვითვლები. მეტიც, იმ დღეს ფეხბურთზე ძალიან ნეგატიური წარმოდგენა დამრჩა და ეს ყველაფერი ჩემი თანაქალაქელების ბრალია. რაც შეეხება „ზენიტს“, მჯერა, რომ ჩემი გუნდი სამეულში აუცილებლად მოხვდება. დარჩენილი გვაქვს 3 მატჩი — „ტერეკთან“, „რუბინთან“ და „მოსკოვის „სპარტაკთან“, სადაც მჯერა, რომ „ზენიტი“ წარმატებით ითამაშებს. განსაკუთრებით ველი ბოლო ტურის მატჩს „სპარტაკთან“. ვფიქრობ, ეს იქნება ყველაზე საინტერესო და კლასიკური მატჩის მაგალითი. ასევე პრინციპული იქნება „რუბინთან“ მატჩიც, რომელიც თავის მხრივ ჩემპიონობის შენარჩუნებისთვის იბრძვის. დარწმუნებული ვარ, კონკურენტ გუნდებთან გამარჯვების შემდეგ „ზენიტის“ ვაი-გულშემატკივრები თავიანთ აზრს შეცვლიან, — განაცხადა ბოიარსკიმ.

## დღის კალენდარი

### 5 ნოემბისთვის



წლის 309-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 56 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

22-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი

ხსენება წმიდა მოციქული იაკობისა, ხორციელად უფლის ძმისა; მღვდელმთავარ ეგნატესი, კონსტანტინოპოლის პატრიარქისა.

მოციქული იაკობი, ხორციელად ძმა უფლისა, იყო ძე მართალი იოსებ დამწინდველისა. სიყრმის წლებიდანვე იგი ღმერთისადმი განსაკუთრებულად მიძღვნილი ადამიანი იყო. როცა მაცხოვარმა ღვთის სასუფევლის ქადაგება დაიწყო, წმიდა იაკობმა ირწმუნა ქრისტე და მისი ერთგული მოციქული შეიქნა. წმინდანი იერუსალიმის ეკლესიის პირველ ეპისკოპოსად დადგინდა. თავისი ეპისკოპოსად ყოფნის 30 წლის მანძილზე წმიდა მოციქულმა მრავალი იუდეველი მოაქცია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. მისი ამგვარი მოღვაწეობით უკმაყოფილო ფარისევლებმა წმიდა იაკობის მოკვლა განიზრახეს. წმინდანი მოწამებრივად აღესრულა დაახლოებით 63 წელს.

მღვდელმთავარი ეგნატე, პატრიარქი კონსტანტინოპოლისა წარმოშობით სამეფო გვარიდან იყო. როცა მისი მამა, იმპერატორი მიხეილ პირველი საიმპერატორო ტახტიდან ჩამოაგდეს, 15 წლის ყრმა ერთ-ერთ მონასტერში დაამწყვდიეს. იმ სავანეში გატარებულმა წლებმა განამტკიცეს ჭაბუკი ეგნატე სარწმუნოებასა და ღვთისმოშიშებაში. შემდეგ იგი სავანის იღუმენად დაადგინეს, მოგვიანებით კი კონსტანტინოპოლის პატრიარქადაც აირჩიეს.

წმიდა ეგნატე აღესრულა დაახლოებით 877-878 წლებში.

### დაიბადნენ:

1549 - ფილიპ დიუ პლესი, ფრანგი მწერალი, გარდაიცვალა 1623 წელს.

1735 - იოჰან კრისტიან ბახი, გერმანელი კომპოზიტორი და პიანისტი, გარდაიცვალა 1782 წელს.

1827 - ნიკოლაი სევერცოვი, რუსი ზოოლოგი, ზოოგეოგრაფი და მოგზაური, გარდაიცვალა 1885 წელს.

1878 - კუზმა პეტროვ-ვოდკინი, რუსი მხატვარი, გარდაიცვალა 1939 წელს.

1888 - ალექსანდრე ჯანელიძე, ქართული გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1975 წელს.

1904 - სვიატოსლავ რერიხი, რუსი მხატვარი, გარდაიცვალა 1993 წელს.

1908 - სერაპიონ ფალავა, ქართველი მეტეოროლოგ-სინოპტიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, გარდაიცვალა 1976 წელს.

1913 - ვივიენ ლი, ინგლისელი მსახიობი, გარდაიცვალა 1967 წელს.

1947 - მანანა დოიჯაშვილი, პიანისტი, პროფესორი, ვ.სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიის რექტორი.

### გარდაიცვალნენ:

1803 - შოდერლო დე ლაკლო, ფრანგი მწერალი, დაიბადა 1741 წელს.

1887 - დიმიტრი ყიფიანი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი.

1914 - ავგუსტ ვაისმანი, გერმანელი ზოოლოგი, დაიბადა 1834 წელს.

1947 - სიმონ ჯანაშია, ისტორიკოსი, აკადემიკოსი, დაიბადა 1900 წელს.

1955 - მორის უტრილო, ფრანგი მხატვარი, დაიბადა 1883 წელს.

1968 - ფრანც დელგერი, გერმანელი ბიზანტინოლოგი, დაიბადა 1891 წელს.

1969 - პეტრე ბუაჩიძე, დერმატოლოგ-ვენეროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დაიბადა 1893 წელს.

1989 - ვლადიმირ გოროვიცი, ამერიკელი პიანისტი, დაიბადა 1904 წელს.

### მოვლენები:

1492 წელი - ქრისტეფორ კოლუმბმა აღმოაჩინა კუნძულები კუბა და ჰაიტი.

1794 წელი - ალექსანდრ სუვოროვმა პოლონეთის აჯანყება ჩაახშო.

1912 წელი - ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა დემოკრატმა ვუდრო ვილსონმა.

1913 წელი - ლუდვიგ III ბავარიის მეფედ აკურთხეს.

1914 წელი - საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ომი გამოუცხადეს თურქეთს.

1917 წელი - 200 წლის შემდეგ რუსეთში აღდგა საპატრიარქო.

1933 წელი - დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი.

1933 წელი - დაარსდა საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება.

1940 წელი - ფრანკლინ დ. რუზველტი მესამედ აირჩიეს აშშ პრეზიდენტად.

1953 წელი - ნიდერლანდელ ფიზიკოსს ფრიც ცერნიკეს ნობელის პრემია მიანიჭეს.

1955 წელი - გაიხსნა ვენის ოპერის თეატრი.

1964 წელი - მარსზე გაუშვეს ამერიკული კოსმოსური ხომალდი „მარინერ 3“.

1968 წელი - ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა რიჩარდ ნიქსონმა.

1967 წელი - ამერიკამ გაუშვა კოსმოსური აპარატი Xთჩ-3 დედამიწის მთლიანი სურათების მისაღებად.

1991 წელი - კიიტი მიაძავა იაპონიის პრემიერ-მინისტრად აირჩიეს.

1995 წელი - ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ხავიერ სოლანა ნატოს გენერალურ მდივნად დაინიშნა.

მედიანიუსი

## ქურდი შიშველი დიასახლისის სილამაზემ დაატყვევა



ბინის ქურდის კურიოზული დაკავების შემთხვევა დაფიქსირდა მოსკოვში. დამნაშავე სახლის პატრონმა, ქალმა დააკავა, რომელმაც ქურდი თავისი შიშველი სხეულის სილამაზით მოაჯადოვა.

როგორც ირკვევა, რუსეთის დედაქალაქის ობრუჩევის რაიონის მკვიდრი ქალბატონი სამსახურიდან შინ დაბრუნების შემდეგ აბაზანაში შევიდა, ბინის კარის დაკეტვა კი დაავიწყდა. ღია კარი 18 წლის მოქალაქემ შეამჩნია, რომელიც მოსკოვში საშოვარზე რიაზანიდან ჩასულიყო.

მან ჯერ ზარი დარეკა, პასუხი რომ ვერ მიიღო, თამამად შეაბიჯა ბინაში და თვალში მოსული ნივთების ჩანთაში ჩალაგება დაიწყო. შემდეგ ქურდს მოულოდნელად საშხაპედან წყლის ხმა შემოესმა. შხაპში სინათლე ანთებული იყო. ქურდმა საშხაპეში შეიხედა და ადგილზე გაშეშდა — სახლის სიმპათიური დიასახლისი შხაპს იღებდა.

დამნაშავე ადგილზე გაიყინა და ქალს თვალს ვერ აშორებდა. მაგრამ ამ დროს ბინაში ტელეფონმა დარეკა, შიშველი ქალი შხაპს მოშორდა და პირდაღებულ ქურდს შეეჩეხა. ეს უკანასკნელი დაფრთხა, ბინის სიღრმეში შევარდა, მეორე საშხაპეში შეიკეტა, სადაც შემოსწრებულმა მილიციელებმა დააკავეს.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, დაკავებულმა ყველაფერი აღიარა. მას ქურდობის მუხლით ბრალდებები წაუყენეს და ორიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

## სასამართლომ სამხრეთკორეელ ტაქსისტებს მანქანაში ტელევიზორის დაყენების ნება დართო



სამხრეთკორეელ ტაქსისტებს ავტომობილის წინა პანელებზე პორტატული ტელევიზორების დამონტაჟების უფლება მისცეს.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რამ პოტენციურად სახიფათო შეიძლება იყოს, შესაბამისი გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო, რომელსაც ქალაქ სეულის ხელისუფლების მიერ 507 დოლარით დაჯარიმებულმა ტაქსისტმა მიმართა. როგორც ირკვევა, სამხრეთ კორეის დედაქალაქში გზებზე საცობები გახშირებულ მოვლენას წარმოადგენს, ამიტომ ტაქსისტები საცობში დგომისას დროის მოსაკლავად მანქანებში პორტატულ ტელევიზორებს აყენებენ.

იმავდროულად, პოლიციის თქმით, გასულ წელს 200 ავტოსაგზაო შემთხვევა იმიტომ მოხდა, რომ მძღოლი საჭესთან გზის ნაცვლად ტელევიზორს უყურებდა. ამ ავარიების შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა, 351 დაშავდა.

2005 წელს სამხრეთ კორეაში მაუწყებლობის ახალი რეჟიმი „დიჯითალ მედია ბროდქასთინგი ამოქმედდა. იგი სიგნალს მობილურ ტელევიზორებზე გადასცემს. ამჟამად, ოფიციალური მონაცემების თანახმად, ამ სისტემით 17.8 მილიონამდე ადამიანი სარგებლობს. მიუხედავად ამისა, ტელევიზორს საჭესთან მათგან ყველა არ უყურებს.

გასულ წელს სეულის ხელისუფლებმა მიიღეს კანონი, რომელიც ავტომობილის წინა პანელზე ტელევიზორის დაყენებას კრძალავს.

ქალაქის ხელისუფლები იმედოვნებდნენ, რომ ტაქსიტებს საჭესთან ტელევიზორის ცქერას გადააჩვევდნენ და სურდათ მანქანიდან ტელევიზორი მთლიანად მოეშორებინათ. მაგრამ მას შემდეგ, რაც დაჯარიმებულმა ტაქსისტმა სასამართლოს მიმართა, მოსამართლემ მიიჩნია, რომ ასეთი აკრძალვა უკანონო იქნებოდა, რადგან იგი 1961 წელს მიღებულ და უკვე გაუქმებულ კანონს ეყრდნობოდა.

## ბუზღუნა ადამიანი უფრო დაკვირვებულად მოქმედებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რომ ზომიერად ნეგატიური განწყობილება ურთიერთობის უფრო კონკრეტული, აკომოდაციური და საერთო ჯამში უფრო წარმატებული სტილის საწინდარი შეიძლება იყოს. თავის ერთ-ერთ ადრეულ შრომაში პროფესორმა ფორგასმა აღნიშნა, რომ ანალოგიურ ზემოქმედებას ჩვენზე ამინდი შეიძლება ახდენდეს. წვიმიანი, მოღრუბლული ამინდები მეხსიერებას ამახვილებენ, ხოლო კაშკაშა მზე უფრო გულმავიწყს გვხდის.

## თბილისი ჩასაბერ საკრავთა ფესტივალს უმასპინძლებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მათთან ერთად ქართველ სტუდენტებს თავიანთი გამოცდილება და ცოდნა გაუზიარონ. ისინი წლის განმავლობაში რამდენჯერმე ეწვევიან საქართველოს და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან თანამშრომლობის საფუძველზე, ინტენსიურად ჩაატარებენ გაკვეთილებსა და ვორქშოფებს.

— ვინ მიიღებს მონაწილეობას ჩასაბერ საკრავთა პირველ ფესტივალში?

— ხუთდღიან ფესტივალში მონაწილეობენ მუსიკოსები საქართველოდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. მათ შორის ფენიქს რენგლი (შვეიცარია, ფლეიტა), მორის ბურგი (საფრანგეთი, ჰობოი), მიშელ ლეტიეკი (საფრანგეთი, კლარნეტი), რადოვან ვლატკოვიჩი (ხორვატია, ვალტორნა), თემურ ბუხნიკაშვილი (საქართველო, ფაგოტი), ნინო გვეტაძე (საქართველო, ფორტეპიანო), ნატალია გაბუნია (საქართველო ვიოლინო), თბილისის ოპერის სიმებიანი კვარტეტი (საქართველო), მანანა დოიჯაშვილი (საქართველო, ფორტეპიანო), სლობოდან ტრკულია (სერბეთი).

რიგით პირველი ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი თბილისის კოსერვატორიის დიდ დარბაზში 5 ნოემბერს გაიხსნება, ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიალი კი 10 ნოემბერს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გაიმართება.

## სოლოლაკში საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა

თბილისში, ასათიანის №3-ში სამშაბათს საღამოს საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა. როგორც „მედიანიუსს“ საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადა, ნგრევას საბედნიეროდ მსხვერპლი არ მოჰყოლია, რადგან სახლი ავარიული იყო და მობინადრეები გასახლებულები იყვნენ, თუმცა ჩამონგრეული კედელი იქვე მდგარ ავტომანქანას დაეცა. მაშველებმა ავტომანქანა ნანაგრევებისგან უკვე გაათავისუფლეს.

მედიანიუსი

## თანამგზავრული ტექნოლოგიები მევენახეების სამსახურში

ინგლისელმა მევენახეებმა მოსავლიანობის გაზრდის მიზნით კოსმოსური ტექნოლოგიების გამოყენების პროექტში მონაწილეობა გადაწყვიტეს. სისტემა „ენოვიუვის“ სახელწოდებით არის ცნობილი და იგი საფრანგეთის ღვინოების კოოპერატიული ინსტიტუტისა და ორგანიზაცია „ინფოტერას“, ევროპის აეროკოსმოსური ფირმა „იეიდისი ასტრიუმის“ ქვეგანყოფილების ერთობლივ პროდუქტს წარმოადგენს.

იდეის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თანამგზავრი ვენახის მიერ არეკვლილ გამოსხივებას აფიქსირებს, როგორც თვალისათვის ხილულ, ასევე უხილავ, ინფრაწითელ დიაპაზონში და მისი საშუალებით შემდეგ ნიადაგის ტენიანობის, ვაზის ფოთლის სიმკვრივის და მტევნის ზომების დადგენა ხდება.

ტექნოლოგიას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სხვადასხვა ტალღის სიგრძის სინათლის სხივების არ-



ეკვლის უნარი სპეციალისტებს ვაზისა და ნიადაგის შესახებ ვრცელი ინფორმაციის მიღებაში ეხმარება. ფოთლის სიმკვრივე მცენარის მდგომარეობაზე მიანიშნებს, მისი საშუალებით შესაძლებელია ყურძენში ტანინებისა და შაქრის შემცველობის განსაზღვრა.

მევენახეებმა კარგად იციან, რომ კონკრეტული ჯიშის ვაზისათვის მომწიფების იდეალური პერიოდი არსებობს, მაგრამ ყველა მტევანი ერთდროულად არ მწიფდება. თანამგზავრების საშუალებით კი შესაძლებელი ხდება ვენახების 2 კვადრატული მეტრი ფართობის „პიქსელებად“ დაყოფა, სპეციალური პროგრამა თითოეულ კვადრატს „ფოთლის ინდექსის“ განსაკუთრებულ ფერად კოდს ანიჭებს.

პროგრამის წარმომადგენლების თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი ვენახის თანამგზავრულ სურათზე ცისფერი ან წითელი თანაბრად არის განაწილებული, ყურძნის კრეფა მთელს ვენახში შეიძლება, მაგრამ თუკი სურათზე წითელი და ლურჯი რაიონები ერთმანეთისაგან გამოყოფილი არიან, ვენახის მფლობელს მოსავლის მხოლოდ გარკვეულ უბნებზე აღება და შესაბამისად, მაღალი ხარისხის ღვინის დამზადება შეეძლება. ინგლისელი მეღვინეები იმედოვნებენ, რომ კოსმოსური ტექნოლოგიებით მოყვანილი ყურძნის ღვინო გაყიდვაში უკვე 2011 წელს გამოჩნდება.

მოამზადა გენადი თვაურმა

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. პოპულარული შადრევანი რომში; 3. რაიმეს გაგების შესწავლის სურვილი; 4. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 5. ფირდოუსის ეპიკური პოემა; 6. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის კინოპრემია; 11. ზღვის ან მდინარის მიუდგომელი კლდოვანი ნაპირი; 13. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 14. საელჩოების, საკონსულოების თარჯიმნის სახელწოდება აღმოსავლეთის ქვეყნებში; 15. პრეზიდენტის რეზიდენცია რომში; 17. პატარა ბაღი; 18. მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 19. ცხენოსნური თამაში ბურთით.

**თარაზულად:** 7. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 8. ჯარის ნაწილების სურსათით, ტანსაცმლითა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი; 9. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 10. მრავალდღიანი საგზატკეცილო ველორბოლაში მწკრივად მრბოლელ ველოსიპედისტთა ჯგუფი; 12. დიდი ზომის სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ინგლისელი პირატი, შემდგომში ადმირალი; 16. მრგვალი ჭია, რომელიც ადამიანის ან ცხოველის ნაწლავებში პარაზიტობს; 18. ისტორიული ციხე-სიმაგრე აფხაზეთში; 20. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 21. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 22. გამომწვარი ფერადი თიხა კერამიკული ნაკეთობისთვის; 23. ნარნარად ფრენა; 24. მე-20 საუკუნის იტალიელი მხატვარი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დაჩი; 2. პანჩი; 3. ქინთი; 5. ბაროზო; 6. ძაბუტონი; 8. დეიტერიუმი; 10. ტრუსკავეცი; 11. ბალანჩინი; 14. სონატა; 15. ცუნიგა; 16. კლოზე.

**თარაზულად:** 1. დამპერი; 4. ქობულაძე; 7. ჩერნი; 9. ფიატი; 12. ბორანო; 13. ქიმია; 14. სტოუნი; 17. ჰიტაჩი; 18. ელექტროკარი; 19. ქიშმიში; 20. კეხურა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მურილიო; 2. დრამი; 3. გრეიდერი; 4. ენეიდა; 5. მატრიცა; 6. წირქოლი; 11. ატენი; 13. ვესპუჩი; 14. ზინგშპილი; 15. ბარომეტრი; 17. რეგატა; 18. სკუნსი; 19. იედო.

**თარაზულად:** 7. გუჯარი; 8. ბრანდვახტი; 9. აილამა; 10. ცილინდრი; 12. კონვერტორი; 14. ზღარბი; 16. ქრისტინე; 18. სენატორი; 20. მუაში; 21. ომი; 22. ჩანჩქერი; 23. პატო; 24. მოტოციკლი.

## ჩინეთში მაფიის „დიასახლისი“ გაასამართლეს



ჩინეთის ქალაქ ჩუნცინში ქალს, რომელსაც ადგილობრივი კრიმინალური სამყაროს ნათლიას უწოდებენ, 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და მნიშვნელოვანი ფულადი ჯარიმის გადახდა დააკისრეს. სასამართლომ 46 წლის სე ცაიპინი დამნაშავედ ცნო. ბრალდებების თანახმად, მას რამდენიმე სათამაშო სახლი ჰქონდა გახსნილი, გარდა ამისა, მას წაყენებული ჰქონდა ნარკომანების მფარველობისა და პოლიციის მოსყიდვის ბრალდებები. სასამართლო პროცესის მიმართ ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ გავრცელებული განცხადების თანახმად, განსასჯელი 16 ახალგაზრდა საყვარელს ინახავდა.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კრიმინალურ კლანებთან ბრძოლის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივმა პოლიციამ ჩუცინში რამდენიმე ასეული ეჭვმიტანილი დააკავა, მათ შორის პოლიციის განყოფილებების ექვსი უფროსი. დაკავებულთა შორის იყო აგრეთვე სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე და სე ცაიპინის ნათესავი ვენ ციანი. გამოძიების დროს ვენ ციანისათვის წაყენებულ კორუფციის ბრალდებებს ფულის გათეთრების, მევახშეობის და გაუპატიურების ბრალდებებიც დაემატა.

სე ცაიპინს გარდა ამისა, კრიმინალური დაჯგუფების ხელმძღვანელობის ბრალდებებიც წაუყენეს. ამ დაჯგუფებას ღამის კლუბებთან და კაზინოებთან აზარტული თამაშების არალეგალური სახლები ჰქონდა გამართული. იტაცებდა და უკანონოდ ჰყავდა ტყვეობაში ადამიანები, პოლიციასთან შეთანხმებით ეწეოდა რეკეტს, იფარავდა ნარკომანებს.

გავრცელებული ცნობების თანახმად მისი კრიმინალური ბიზნესის შემოსავალმა 2 მილიონი იუანს (292 ათასი დოლარი) გადააჭარბა. მათგან 1.2 მილიონი იუანი მან ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს.

„მაფიის ნათლიასთან“ ერთად სასამართლომ იმავე დაჯგუფების კიდევ 21 წევრი გაასამართლა და სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა. მათგან ერთ-ერთს — 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მანამდე ამ დაჯგუფების ექვს წევრს შანტაჟისა და მკვლელობისათვის სიკვდილი მიუსაჯეს. მიმომხილველების თქმით, სპეციალური გადწყვეტილებით ეს პროცესი პრესისათვის ღიად მიმდინარეობდა, რათა ჟურნალისტებისათვის ეჩვენებინათ, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია. მიუხედავად ამისა, გამოძიების შედეგად მხოლოდ ის გაირკვა, თუ რა მასშტაბებს შეიძლება მიაღწიოს კორუფციამ 30 მილიონიან ქალაქში.

## ოჰაიოში სექსუალური მოძალადე დააკავეს



აშშ-ში, ოჰაიოს შტატში, მოქალაქის წინააღმდეგ, ვის სახლშიც ქალის ექვსი გვამი აღმოაჩინეს, დამამძიმებელ გარემოებებში ხუთი მკვლელობის ბრალდებებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გარდა ამისა, 50 წლის ენტონი სოუელს გაუპატიურებაში, თავდასხმასა და ადამიანის გატაცებაში ადანაშაულებენ. თავის დროზე სოუელმა 1989 წელს ჩადენილი გაუპატიურებისათვის ციხეში 15 წელი გაატარა. ამის შემდეგ მისი სახელი სექსუალურ ნიადაგზე ძალადობის ჩადენისაკენ მიდრეკილების მქონე პირთა სიაში შეიტანეს.

ამჯერად იგი საკუთარი სახლის მახლობლად, ქალაქ კლივლენდში დააკავეს. სასამართლო განხილვა ოთხშაბათისათვის დაინიშნა. სამშაბათს პოლიციამ გამოაცხადა, რომ ბრალდებულის სახლში ოთხი გვამი და ერთი თავის ქალაქი აღმოაჩინა. პოლიციის წარმომადგენლებმა პრესკონფერენციის დროს განაცხადეს, რომ ნეშტი სახლის უკან, ბაღში იყო ჩამარხული, თავის ქალა კი სარდაფში, ვედროში იდო.

მეზობლად მყოფმა ადამიანებმა დაღუპული ქალების სულის მოსახსენიებლად სანთლებით ხელში ღამე გაათიეს. ბევრ მათგანს ამ რაიონში ბოლო წლებში დაკარგული ქალების სურათები ეკავა ხელში.

## სამგლოვიარო განცხადებები

### ნიკო ბარნაბიშვილის გახსენება



ერთი წელი გავიდა, რაც სრულიად ახალგაზრდა კაცი მოსწყდი საწუთროს და მარადისობაში გადახვედი. ერთი წელია თვალზე ცრემლი არ შეშრობიათ დედას, ძმას და შენს ცოლ-შვილს.

ნიკო, დრო და მანძილი უფრო აღრმავებს შენი უდროოდ წასვლით გამოწვეულ უსაშველო ტკივილს, რომელმაც თავისი კვალი დატოვა შენიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ოჯახის წევრებს ძალიან უჭირთ ისაუბრონ შენზე წარსულ დროში. შენი ნაადრევი გარდაცვალებით მათ გულებში დატოვე ჭრილობა, რომელიც დიდხანს არ შეხორცდება.

ნიკო, 5 ნოემბერს შენი დაბადების დღეა, შეიკრიბებიან შენი მეგობრები, შენს საფლავზე ისევ გადახალისდებიან ყვავილები, შეისმება კიდევ ერთი ადრე წასული კაცის შესანდობარი და თუკი მათი ეს ღაღადისი შენამდეც მოაღწევს, ნუ დაღონდები, მხოლოდ მათი გულებიდან წამოსული სითბო შეუშვი გულში და დარწმუნდები, როგორ გვიყვარხარ შენიანებს.

დაბადების დღეს გილოცავთ, ნიკო!

**ოჯახის მეგობრები**

საქართველოს ლეიბორისტული პარტია მწუხარებას გამოთქვამს პარტიის პოლიტიკური მდივნის, გიორგი გუგავას მეუღლის თეა ჭანტურიას ბებიის

**ფენია დარასელიას**

გარდაცვალების გამო.

პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ამერიკელი დემოკრატები ამომრჩეველთა კეთილგანწყობას კარგავენ

აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაქ ობამას თანაპარტიელებმა, არაოფიციალური შედეგების თანახმად, ორი წამყვანი შტატის, ვირჯინიისა და ნიუ ჯერსის გუბერნატორის არჩევნები დათმეს.

პირველ შტატში რესპუბლიკელმა ბობ მაკდონელმა გაიმარჯვა, მეორეში — ასევე რესპუბლიკელმა კრის ქრისტიმ. ეს მაშინ, როდესაც ნიუ ჯერსი ტრადიციულად დემოკრატების ფორპოსტად ითვლებოდა.

ეს არჩევნები, რომლის დროსაც გარდა გუბერნატორებისა, რამდენიმე დიდი ქალაქის მერსაც ირჩევდნენ, ნიუ იორკის ჩათვლით, ბარაქ ობამას პრეზიდენტად არჩევიდან ერთი წლის შემდეგ ამერიკელების განწყობის ინდიკატორად არის მიჩნეული.

არჩევნების დროს გარდა ამისა, ნიუ იორკისა და კალიფორნიის შტატის კონგრესმენებსაც ირჩევდნენ.

ამასთან, ადგილობრივ არჩევნებში ამა თუ იმ მხარის გამარჯვების განმსაზღვრელ ფაქტორს ლოკალური ხასიათის არგუმენტები წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, ამა თუ იმ კანდიდადის გამარჯვება ან ფიასკო 2010 წლის შუალედურ არჩევნებში აშშ-ის ორი წამყვანი პარტიის შედეგზე ახდენს ზეგავლენას.

2010 წელს ამერიკაში კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მთელ შემადგენლობას, სენატორების მესამედს და გუბერნატორების ორ მესამედს ირჩევენ.

ნიუ ჯერსიში ამჟამინდელი გუბერნატორი დემოკრატი ჯონ კორზაინი რესპუბლიკური კანდიდატის კრის ქრისტის მხრიდან სასტიკი კონკურენციის წინაშე აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ ჯორჯ ბუშუმცროსთან კავშირისა და აბორტების შესახებ მისი პოზიციების გაზიარების გამო აკრიტიკებდა, ქრისი მეტოქეს ჭარბი წონის გამოც დაესხა თავს.



ნიუ ჯერსის შტატში დამარცხება დემოკრატებისათვის მეტად სერიოზული დარტყმაა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ კორზაინს ბარაქ ობამამ პირადად დაუჭირა მხარი და მის შტატს რამდენჯერმე ეწვია.

ვირჯინიაში დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა კრეიგ დიდსმა თავის მეტოქეს, ბობ მაკდონელს, აშშ-ის ყოფილ გენერალურ პროკურორს გამარჯვება ტელეფონით მიულოცა. ბიულეტენების 80%-ის დათვლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ რესპუბლიკურმა პრეტენდენტმა ხმების 60% მოაგროვა.

გასულ წელს ვირჯინიამ ბარაქ ობამას მისცა ხმა, მაგრამ ამჯერად დამოუკიდებელმა ამომრჩევლებმა რესპუბლიკელ კანდიდატს დაუჭირეს მხარი.

ნიუ იორკში დამოუკიდებელი პოლიტიკოსი მაიკლ ბლუმბერგი უკვე მესამედ ცდილობს მერის პოსტის დაკავებას. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ თავის დემოკრატ ოპონენტს ბილ ტომპსონს იგი საგრძნობლად უსწრებს.

მილიარდერ ბლუმბერგს, ექსპერტების შეფასებით, საარჩევნო კამპანიისათვის პირადი სახსრებიდან 100 მილიონ დოლარზე მეტის დახარჯვა შეუძლია.

მოგვიანებით გავრცელებული ცნობების თანახმად, გამარჯვება სწორედ მას დარჩა.

მერის არჩევნები გაიმართა აგრეთვე ატლანტაში, ჰიუსტონში, ბოსტონში, დეტროიტში, პიტსბურგში.

იმავდროულად, მენის შტატში გაიმართა რეფერენდუმი ჰომოსექსუალური ქორწინებების კანონის მიღება-არმიღების შესახებ. შესაბამისი კანონი ადგილობრივმა კანონმდებლებმა რამდენიმე თვის წინ დაამტკიცეს. იმ შემთხვევაში, თუკი ადგილობრივი ამომრჩეველი კანონს დაეთანხმა, მენის შტატი პირველი ამერიკული შტატი გახდება, სადაც ჰომოსექსუალური ქორწინებები პლებისციტის შედეგად მოიწონეს.

## ბრიტანეთი განათლების სისტემის გარდაქმნას აპირებს

ბრიტანეთის ბიზნესის საკითხების მინისტრმა, ლორდმა მანდელსონმა ცოტა ხნის წინ თავის გამოსვლაში დიდ ბრიტანეთში უმაღლესი განათლების განვითარების ახალი სამთავრობო კონცეპციის შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, სტუდენტებს, რომლებმაც გამოსაშვები გამოცდების ფრიადზე ჩაბარება ვერ შეძლეს, პრესტიჟული განათლების მიღების შანსი არ უნდა დაკარგონ.

კონცეფციის ძირითადი პრინციპების შესახებ საუბრის დროს მანდელსონმა განაცხადა, რომ უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მათთვის, ვისაც მისი მიღება სურს, ასაკის, სოციალური სტატუსისა და მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად.

მინისტრის თქმით, უნივერსიტეტებმა მეტი შესაძლებლობები უნდა შესთავაზონ მომუშავე სტუდენტებს, ადამიანებს, ვისაც განათლების მიღება შინ სურთ, ან შერჩეულ დისციპლინაში მხოლოდ საწყისი კურსის გავლა სურთ.

მინისტრის თქმით, მთავრობის უპირველეს ამოცანას ყველა მსურველის უმაღლესი განათლებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. მისი თქმით, ნიჭიერი ადამიანების წინაშე ხელოვნური ბარიერები არ უნდა იმართებოდეს და ბრიტანეთის მთავრობას სურს, რომ უნივერსიტეტებში სწავლას აგრძელებდეს 18-დან 30 წლამდე ასაკის ადამინების არანაკლებ 50%.

მინისტრმა გაილაშქრა არსებული პრაქტიკის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც პრესტიჟული განათლების მიღების შესაძლებლობა უშუალოდ არის დამოკიდებული გამოსაშვები გამოცდების შედეგებზე. მანდელსონმა განაცხადა, რომ გამოცდების შედეგების მიხედვით სტუდნეტის შესახებ დასკვნების გამოტანა არასწორია და უნივერსიტეტმა უნდა გაითვლისწინის სტუდენტის ინტერესები, სკოლაში სწავლება და რაც მთავარია, მისი შესაძლებლობები.

მინისტრმა აღნიშნა, რომ გარდა სტუდენტების პოტენციალისა, დიდი მინიშვნელობა ენიჭება განათლების პრაქტიკულ ასპექტს. აუცილებელია უნივერსიტეტების უფრო ახლო თანამშრომლობა იმ ფირმებთან, სადაც მომავალში მათი კურსდამთავრებულები იმუშავებენ. უნივერსიტეტები დანარჩენი საზოგადოებისაგან გამოყოფილად არ არსებობენ და ისინი საზოგადოების და ეკონომიკის კონტექსტში უნდა მოქმედებდნენ.

მანდელსონის გამოსვლა უნივერსიტეტებთან დაკავშირებით ბრიტანეთის ხელისუფლების გეგმების ოფიციალურ გამოცხადებად იქცა. მისაღები ზომების დაწვრილებითი ნუსხა გაზაფხულზე გამოქვეყნდება, მთავრობასთან კონსულტაციის შემდეგ. შესაძლოა, გაზაფხულამდე გაურკვეველი დარჩება ბრიტანელთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — სწავლების ღირებულება. მენდელსონის თქმით, ამ მიმართულებით უნივერსიტეტებზე ზეწოლა არ განხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანიების დროს პოლიტიკური პარტიები სწავლების ღირებულების საკითხის განხილვას თავს არიდებენ, განათლების შესახებ დისკუსიის დროს ფულის საკითხი დღის წესრიგში ადრე თუ გვიან მაინც დადგება. ლაპარაკია სწავლების ფართო ფინანსირებაზე.

თავად უნივერსიტეტების წარმომადგენლები მინისტრის მიერ გამოქვეყნებული გეგმის ეფექტურობასთან დაკავშირებით დაეჭვებას გამოხატავენ. ოქსფორდის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ახალგზრდობის უნივერსიტეტებში მიწვევით მთავრობა უმუშევრობის პრობლემის შენიღბვას ცდილობს. მათი თქმით, ახალი კონცეფციის გამოჩენა მომავალ არჩევნებთან და კრიზისთან არის დაკავშირებული. პოლიტიკოსები უმუშევარი ახალგაზრდების უნივერსიტეტებში „შეტენვას“ ცდილობენ, მაგრამ ეს დიდი სიცრუე და დიდი ხარჯებია.

## გერმანიის კანცლერი აშშ-ის კონგრესში გამოვიდა

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა აშშ-ის კონგრესის ორივე პალატის წინაშე გამოვლის დროს აშშ-ს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში უფრო აქტიური მონაწილეობისაკენ მოუწოდა.

მერკელამდე კონგრესში გერმანიის მხოლოდ ერთი ლიდერი, კონრად ადენაუერი გამოვიდა 1957 წელს. მერკელს კონგრესში ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ, გარდა ამისა, სიტყვას მას ხშირად აპლოდისმენტებით აწყვეტინებდნენ.

კაპიტოლიუმის ბორცვზე გამოსვლამდე ანგელა მერკელი აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას შეხვდა. მათი შეხვედრების ერთ-ერთ მთავარ საკითხად კოპენჰაგენში გაეროს მსოფლიო სამიტისათვის მზადება რჩება, რომელიც რამდენიმე კვირაში უნდა გაიხსნას.

ბარაქ ობამამ თეთრ სახლში ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ გერმანია ყოველთვის რჩებოდა აშშ-ის მოკავშირედ უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

კონგრესმენების წინაშე გამოსვლის დროს გერმანიის კანცლერმა განაცხადა, რომ გერმანია მხარს უჭერს აშშ-ს ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, გარდა ამისა, ბირთვული იარაღის შექმნაში ირანისათვის ხელის შეშლის აუცილებლობაზე ილაპარაკა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ვაშინგტონში მიმდინარე ორმხრივი მოლაპარაკებების ერთ-ერთ მთავარ საკითხს ავღანეთში გერმანიის ჯარების ყოფნა წარმოადგენდა.

აშშ ბერლინისაგან ავღანეთში დამატებითი კონტინგენტის გაგზავნას ისურვებდა და ეს მოთხოვნა მრავალი გერმანელის გაღიზიანებას იწვევს.

სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონთან შეხვედრის დროს ორი ქვეყნის წარმომადგენლებმა ახლო აღმოსავლეთის, ფინანსური რეფორმების და გლობალური ეკონომიკის აღდგენის საკითხებზეც ილაპარაკეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## TV პროგრამა

### ხუთშაბათი 5 ნოემბერი

**08.00** ან. სერ. "ფლატმანია" **08.30** სერ. **"ჯგუფი"** **09.00** დოკ. ფილმი "დ. ნ. მ. იმედი და ღირებულება" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** სერ. **"უბრალოდ დესერტი"** **11.00** სერ. **"ხუთი დღე შუაღამემდე"** **12.30** დოკ. ფილმი "ყინულების მკვლევარნი" **13.30** "ჩვენებურები" **14.30** დოკ. ფ. "არქიტექტურა" **15.00** სერ. **"სიყვარულის არდადეგები"** **16.30** ან. სერ. "ფლატმანია" **17.00** სერ. **"კრიმინალური პოლიცია"** **18.00** მხ. ფილმი **"სიამოვნება"** (კ. დენევი) **20.00** მოამბე **20.30** "სიზმარვიზია" **21.00** სერ. **"ხუთი დღე შუაღამემდე"** **22.00** ცხოვრება მშვენიერია **23.00** მხ. ფილმი **"სასტუმრო რუანდა"** **01.20** მხ. ფილმი **"მეგობართა წრე"** (12)

**19.00** ან. ფილმი "ფლატმანია" **19.25** "სიზმარვიზია" **19.40** სერ. **"ხუთი დღე შუაღამემდე"** **20.25** დოკ. ფილმი "დ.ნ.მ. იმედი და ღირებულება" **21.25** სერ. **"სიყვარულის არდადეგები"** **22.00** სპექტაკლი "იოჰან სებასტიან ბახი" **22.30** ჯაზის ლეგენდები რემსი ლუისთან ერთად **23.00** მხ. ფ. **"პიკი საათი-2"** (12)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ვის უნდა 20 ათასი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფრთხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ. **"ანხელის საიდუმლო"** **22.00** პროფილი **23.40** სერ. **"ექიმი პაუსი"** **00.30** პატრული **00.50** მხ. ფილმი **"სირცხვილი"** (18) (პ. არუნდელი)

**08.00** მულტფილმი **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. "დრაკონის ბეჭედი" **15.50** მხ. ფილმი **17.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **19.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **20.20** სერ. **"ტყუპები"** **21.10** ძილისპირული **21.30** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.35** ეტალონი პლუსი **23.40** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მ-კოდი **2 01.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორმაგი თამაში"** **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერ. **"ვინმე"** **13.00** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **15.00** ნანუკას შოუ (გან.) **16.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. **"სიყვარულის აჩრდილი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** იუმორინა **23.00** სერ. **"ვინმე"** **00.00** მხ.ფ. **"მოსიყვარულე ქვრივი"** (15) (კ. მაკგილისი) **01.35** ქრონიკა **01.50** სერ. **"კლონი"**

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.45** მულტფილმი **10.30, 19.30** სერ. **"დედოფალი ელისაბედი"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.45** მხ. ფ. **"ცხოვრების გემო"** **14.50** "სცენა" **15.20** მხ. ფ. **"მოახლე ქალი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **23.00** კონცერტი **00.00** მხ. ფილმი **"უკეთესი არ არსებობს"**

**ერთსულოვნება** **09.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** გადაცემა "პერსპექტივა" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"გამოაღეთ ფანჯრები"** **13.20** კონცერტი **15.10** მულტსერ. "რედვოლი" **15.35** მხ. ფ. **"მიზანი"** მე-2 ს. **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** ტრაპეზი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** დებიუტი **19.15** მხ. ფ. **"მყუდრო სავანე"** **20.35** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მიწათმოქმედი **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "საბჭოთა საქართველო" მე-3ს.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 5 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16-18, ღამით — 6-19
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 11-14
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 11-13, ღამით — -3-7

## ამინდის პროგნოზი 5 ნოემბრისთვის





ქართული ფლორის საოცრება

# „სალხინო"

## უებარი წამალია



"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


# დვალიშვილმა ბუფონს ჯადო ვერ ახსნა

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის მატჩების პირველმა დღემ ბევრი რამ გაარკვია — უკვე ცნობილია 4 გუნდი, რომელიც მერვედფინალში ითამაშებს. ამ ოთხეულში 3 ქვეყნის — ინგლისის (2 , საფრანგეთისა და პორტუგალიის გუნდები შევიდნენ.**



„ა" ჯგუფში მთავარი მატჩი მიუნხენში გაიმართა, თუმცა თქვენის ნებართვით ჯერ თელ-ავივში გამართულ მატჩზე ვისაუბრებთ. ხაიფას „მაკაბიმ", რომლის შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ვლადიმერ დვალიშვილი თამაშობს, თურინის „იუვენტუსს" უმასპინძლა და მეოთხე მატჩი წააგო. ხაიფელები ჯერჯერობით ერთადერთ გუნდად რჩებიან, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში გოლიც კი არ გაუტანია. ამაში კი მთავარი დამნაშავე ტურინელთა მეკარე ჯან ლუიჯი ბუფონია.

დვალიშვილისა და ბუფონის დუელი ბოლო 2 თვეში მესამედ შედგა და ყოველთვის გამარჯვებული იტალიელი მეკარე გამოდგა. წინა მატჩებში ბუფონმა ჩვენებურს გოლის გატანა არ დაანება, ხოლო გუშინწინდელ მატჩში ისეთი ბურთი აუღო, თანაგუნდელებიც კი სახტად დატოვა მოედანზე.

— ის სეივი გაინტერესებთ? სანამ ჩემი თანაგუნდელების გაოცებული თვალები არ დავინახე, მანამდე არც კი ვფიქრობდი, რომ რაიმე არაორდინალური მქონდა გაკეთებული, მხოლოდ შემდეგ გავიაზრე, რომ გუნდი აშკარა გოლს გადავარჩინე. ჩემი გუნდის ამ გადარჩენას ოჯახის წევრებს ვუძღვნი, — განაცხადა ნამატჩევს იტალიელმა მეკარემ.

ამ მომენტის გამოუყენებლობა კი „იუვენტუსმა" მეტოქეს არ აპატია და ტაიმის ბოლოს გატანილი მაურო კამორანეზის გოლით მოიგო თამაში. ტურინელებს ამ მოგებით 8 ქულა დაუგროვდათ, მეორე ადგილზე მყარად მოკალათდნენ და მერვედფინალში გასვლის კარგ შანსს ინარჩუნებენ.

ამ ჯგუფში კი მერვედფინალის საგზური „ბორდომ" უკვე გაინაღდა. ფრანგებმა ამჯერად სტუმრად მოუგეს „ბაიერნს" და 10

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ბუზღუნა ადამიანი უფრო დაკვირვებულად მოქმედებს

ცუდი განწყობილება არც ისე ცუდი ყოფილა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მეცნიერი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ეს პირიქით, სასარგებლოც კია.



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი ჯო ფორგასი, ემოციების სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ბუზღუნის დროს ადამიანი გარემოს უფრო ნათლად აღიქვამს.

ექსპერიმენტების შედეგად მეცნიერმა გამოარკვია, რომ ყოველთვის უკმაყოფილო ადამიანები უკეთეს გადაწყვეტილებებს იღებენ ვიდრე ისინი, ვისაც ყველაფერი უხარია.

გარდა ამისა, ისინი უფრო ადვილად ტყუვდებიან.

კარგი განწყობილება შემოქმედებას უწყობს ხელს, უარყოფითი ემოციები კი ყურადღებას და სიფრთხილეს ავითარებენ. თავისი დასკვნების შესახებ მეცნიერმა ავსტრალიური ჟურნალის „საიენსის" ინტერვიუში ისაუბრა.

მისი თქმით, ბუზღუნა ადამიანს უფრო რთულ სიტუაციაში გარკვევა შეუძლია, რადგან მისი თავის ტვინი საწყისი ინფორმაციული სტრატეგიის ანალიზს განსხვავებულად უდგება.

გამოკვლევების დროს პროფესორი ფორგასი მოხალისეებს სხვადასხვა ფილმებს აჩვენებდა და მათ საკუთარი ცხოვრების დადებითი ან უარყოფითი მომენტების გახსენებას სთხოვდა, რათა მათში კარგი ან ცუდი განწყობილება გამოეწვია.

შემდეგ მათ სხვადასხვანაირი ამოცანების გადაწყვეტას, ამა თუ იმ შემთხვევასთან დაკავშირებით მოწმეების ჩვენებების წარმოდგენას ან თანამედროვე წარმოდგენებში ჭეშმარიტების პროცენტის დადგენას სთხოვდა.

ადამიანები, რომლებიც ტესტირების დროს უფრო ცუდ ხასიათზე იმყოფებოდნენ, უკეთეს შედეგს ამჟღავნებდნენ, ნაკლებ შეცდომებს უშვებდნენ და უფრო საინტერესო მოსაუბრეები იყვნენ.

ავსტრალიელი მეცნიერის აზრით, კარგი განწყობილება, როგორც ჩანს, შემოქმედებას, მოქნილობას, თანამშრომლობას, პრობლემების გადაჭრისას უმოკლესი გზების ძიებას უწყობს ხელს, ნეგატიური განწყობილება კი უფრო დაკვირვებულ, მეტი პასუხისმგებლობით აზროვნებას ააქტიურებს, გარემო სამყაროზე უფრო ყურადღებით დაკვირვებას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, ექსპერიმენტების შედეგად მან დაასკვნა, რომ ნაღვლიანი ადამიანი თავის არგუმენტებს ქაღალდზე უფრო დამაჯერებლად გამოსცემს, რაც მოწმობს,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 5 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

წარმატებული დღეა.

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ამანათიც მიიღოთ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **ლომი** — წარმატებული დღეა, თამამად იმოქმედეთ. **ქალწული** — ისე მოიქეცით, როგორც გსურთ, სხვებს ნუ დაუჯერებთ. **სასწორი** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ამანათიც მიიღოთ. **ღრიანკალი** — ახალი სამსახური გაამართლებს, ყველაფერი კარგად იქნება. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **მერწყული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **თევზები** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან.

გისურვებთ ბედნიერ დღეებს!

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. აზროვნების უნარი, გონება; 2. ძაფზე ასხმული სამკაული; 3. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 4. ბრინჯისგან მომზადებული აღმოსავლური კერძი; 5. სრულყოფილი ფორმების, მშვენიერების მოტრფიალე; 6. საახალწლო ტკბილეული; 8. რაიმეს თანდათანობით გაუარესება, დაცემა; 10. ქურდობისადმი ავადმყოფური მიდრეკილების ადამიანი; 11. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 14. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდება ესპანეთში; 15. ყველა მაჰმადიანის საერთო სახელწოდება; 16. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი.

**თარაზულად:** 1. წითელი ფერის შავწინწკლებიანი მრგვალი ხოჭო; 4. ინგლისელი მწერალი, ჯეიმს ბონდის პერსონაჟის შემქმნელი; 7. ძვირფასი ლითონების წონის საერთაშორისო ერთეული; 9. გასართობი, სანახაობითი დაწესებულება; 12. ქართველი მეცნიერი, ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი; 13. ღვინის პატივსაცემი საახალწლო რიტუალი ძველად საქართველოში; 14. ძველი გერმანული ტომი; 17. სასტუმროების ქსელის მფლობელი, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 18. ალბანელი მხედართმთავარი, ეროვნული გმირი; 19. ქვემეხის ერთ-ერთი სახეობა; 20. ებრაული წესით დაყენებული ღვინო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## იუმორი



***

— თანამედროვე სამოქალაქო ავიაციის საოცრებები: საუზმე ვარშავაში, სადილი ლონდონში, ვახშამი ნიუ იორკში, ბარგი — ბუენოს აირესში...

***

— დედამიწის მოსახლეობის ცხრა მეათედს მიაჩნია, რომ ამერიკა კოლუმბმა აღმოაჩინა.

— ერთი მეათედი დარწმუნებულია, რომ ამერიკა ვიკინგებმა აღმოაჩინეს.

— და აზრადაც არავის მოსდის, რომ ამერიკა სინამდვილეში ინდიელებმა აღმოაჩინეს...

***

— ჩემს კომპზე კლავიატურა არ მუშაობს.

— ყავა?

— ჩაი.

— შაქრით?

— უშაქროდ.

— არაფერია, დილამდე გაშრება...

***

ოფიცერი ჯარისკაცს ეკითხება:

— წარმოიდგინეთ, რომ მოედანზე კრეისერი გამოჩნდა. თქვენი მოქმედება:

— ტორპედოს ვესვრი და ჩავძირავ.

— ტორპედოს საიდან მოიტანთ?

— იქიდან, საიდანაც თქვენ კრეისერი მოიყვანეთ...

## რამდენად დინამიური ხართ

ტესტი

**ტესტის შეკითხვებს სწრაფად გაეცით დადებითი ან უარყოფითი პასუხი**



1. ადვილად ეგუებით ახალ გარემოებებს?
2. რთავთ თუ არა ტელევიზორს, როდესაც ხვდებით, რომ საინტერესოს აღარაფერს აჩვენებენ?
3. შეგიძლიათ თუ არა ყველაფერი გადადოთ საყვარელი საქმისთვის?
4. თუ კარგ ანაზღაურებად საქმეს გთავაზობენ, მაშინვე დათანხმდებით?
5. სწრაფად აღიარებთ შეცდომებს?
6. იცვლით თუ არა აზრს სერიოზული დისკუსიის შემდეგ?
7. ყიდულობთ თუ არა ნივთს, რომელიც მოგეწონათ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ გჭირდებათ?
8. იცით თუ არა, რას გააკეთებთ მომავალ შაბათ-კვირას?
9. ყოველთვის თუ ასრულებთ დაპირებას?

**პასუხები**

*დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით (გარდა მე-5, მე-7 შეკითხვებისა):*

0-3 ქულა: თქვენ გაუბედავი ადამიანი ხართ, დიდ ხანს ყოყმანობთ და შანსს ხელიდან უშვებთ.

4-6 ქულა: გადაწყვეტილებას ფრთხილად იღებთ, მაგრამ არ ერიდებით პრობლემებს, რომლებიც სწრაფ რეალიზებას ითხოვენ.

7-9 ქულა: ლოგიკური, თანმიმდევრული აზროვნების და პრაქტიკული გამოცდილების წყალობით სწრაფ და მართებულ გადაწყვეტილებებს იღებთ.